პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№012(12691) 19 იანვარი ორშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი




# ქრახი

## ინტერი ბერგამოში ჩაფლავდა

### სკუდეტოსკენ გზა ხსნილია

იუვენტუსი ლიდერს უკვე სამი ქულით ჩამორჩება, მილანი ექვსით



## სანიკიძის ორმაგი დუბლი

>> 12




## კაკა სან სიროსა და მეგობრებს დაემშვიდობა

>> 6




## ფაჩულია: სეზონის რეკორდი და მწვანე ბარათი

ზაზა ამერიკაში უკვე შინაური კაცია

>> 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო

# მასკერანოსა და ტევესის თანაგუნდელი თბილისის დინამოში

## მარკოს ჩარასი: ერთ ადგილას დიდხანს არ ვჩერდებოდი

თბილისის „დინამომ" ზამთრის სატრანსფერო პერიოდში საკმაოდ საინტერესო ფეხბურთელები შეკრიბა. ზუგდიდის „მგლებიდან" ჩემპიონმა მარცხენა ნახევარმცველი **შოთა ლომია** დაიმატა და როგორც ამბობენ, ვარჯიშებზე ის საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. ბოლნისის „სიონიდან" მოვიდა ცენტრალური ნახევარმცველი **ალეკო კოშკაძე**, რადგან **მიხეილ ხუციშვილის** წასვლის შემდეგ გუნდში ამ პოზიციაზე მოთამაშე ფეხბურთელის დეფიციტია. ამას გარდა, „დინამოში" სერბი ცენტრალური ნახევარმცველი **ფუად სალიჰოვიჩი** („კომ პოდგორიცა"), ჩერნოგორიელი მარჯვენა ნახევარმცველი **დანილო ტოპიჩი** („ნოვი პაზარი") და 18 წლის კამერუნელი ფორვარდი **ჟევე მეგონტიც** („დუალა") ისინჯებიან.

ამას გარდა, ჩემპიონს გაბონის ნაკრების ფორვარდი **ჯორჯ აკირემიც** დაუბრუნდა. აფრიკელს „დინამოსთან" კონტრაქტი ისედაც აკავშირებდა, მაგრამ აგვისტოს ომის გამო, გუნდიდან წავიდა და ლვოვის „კარპატიში" ჩარიცხვას ცდილობდა. როცა უკრაინელებმა შეიტყვეს, რომ აკირემსა და „დინამოს" შორის ხელშეკრულება მოქმედებდა, ახლოს აღარ გაიკარეს. თბილისის „დინამომ" ფეხბურთელის დაბრუნება ფიფას წესების დახმარებით სცადა. როგორც ჩანს, თავად გაბონელიც მიხვდა, რომ მისი საქციელი ფიფას კანონმდებლობას ეწინააღმდეგებოდა, 4-თვიანი განშორების შემდეგ გუნდს დაუბრუნდა და როგორც თბილისის „დინამოს" ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, სრული მზადყოფნა გამოთქვა, კვლავაც დაიცვას კლუბის ღირსება. აკირემი უკვე გუნდთან ერთად ემზადება და როგორც აცხადებს, ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რომ „დინამოს" სარგებელი მოუტანოს. ამით საკითხი დაიხურა. როგორც გავიგეთ, გაბონელი შეცდომაში შეიყვანეს, როცა დაპირდნენ, რომ თბილისის „დინამოს" მის ტრანსფერზე იოლად დაითანხმებდნენ. „დინამო" კი ის კლუბი არ არის, ფეხბურთელს ასე უნებართვოდ აქეთ-იქით სირბილის ნება დართოს. როგორც ამტკიცებენ, „დინამომ" ფიფას კულისებში კარგად იმუშავა.

ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე კი „დინამოში" არგენტინის ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონის **მარკოს ჩარასის** გამოჩენაა. აი, რას ვკითხულობთ „დინამოს" ოფიციალურ ვებგვერდზე:

*„თბილისის „დინამოში" არგენტინელი მარკოს ჩარასი ისინჯება. 25 წლის მარცხენა მცველს არგენტინის ეროვნულ ნაკრებში ორი ამხანაგური შეხვედრა აქვს ჩატარებული. 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ კი ნაკრების გაფართოებულ სიაშიც შედიოდა. ჩარასი არგენტინის 20-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში ტევესთან, მასკერანოსა და კავენაგისთან ერთად, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონიც გახდა. სამშობლოში ჩარასი „როსარიო სენტრალში", „ველეს სარსფილდსა" (რომლის რიგებში არგენტინის ჩემპიონი გახდა) და „კილმესში" გამოდიოდა. თამაშობდა სოფიის ცსკა-ში, რომელთან ერთადაც ბულგარეთის ჩემპიონი გახდა, „დალასში", „ვასკო და გამაში", აგრეთვე ბრაზილიის მეორე დივიზიონის გუნდებში - „კაბოფრიენსესა" და „სოსიალში". მარკოს ჩარასი თბილისში შაბათს ჩამოვიდა და გუნდთან ერთადაც ივარჯიშა.*

*ჩარასი: "რასაკვირველია, ჯერ „დინამოზე" სრული წარმოდგენა არ გამაჩნია, მაგრამ ვარჯიშზე ვნახე, რომ ფეხბურთელები ძალიან კარგად აზროვნებენ, იყო საკმაოდ სწრაფი და აგრესიული ორმხრივი თამაში. ეს კი ძალიან მომწონს. პირველივე დღეს 5-6 მეგობარიც გავიჩინე. ასე რომ, პირველი შთაბეჭდილება დადებითია. საერთოდ, ერთ ადგილას დიდხანს იშვიათად ვჩერდები. როცა წინადადება მივიღე, „დინამოში" თამაში საინტერესო გამოწვევად ჩავთვალე. ვიცი, რომ ევროპაში დღესაც სახელიანი და დიდი ტრადიციის მქონე გუნდია. ასე რომ, ძალიან მაინტერესებს, როგორი ქვეყანაა საქართველო, როგორი ფეხბურთია აქ და ასე შემდეგ".*



მარკოს ჩარასი

**მერაბ მამულაშვილი**

ზესტაფონი

# ახალი სისხლი

## ანთალიურ მზეს 29 ზესტაფონელი მიეფიცხება

**დღეს „ზესტაფონი" თურქეთში, ანთალიასთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქ სიდეში გაემგზავრა შეკრებაზე, სადაც 2 თებერვლამდე დარჩება და სავარაუდოდ, ექვს საკონტროლო შეხვედრას გამართავს. მანამდე კი იმერული კლუბი თბილისში, სასტუმრო „ირმენში" გაჩერდა, სადაც პრესკონფერენცია და ახალი მოთამაშეების პრეზენტაციაც გამართა. „ზესტაფონმა" 5 ახალწვეული წარმოგვიდგინა...**

გია გეგუჩაძე, „ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი: *„ჩვენს გუნდში ბევრი სიახლეა და გვინდა, ყველაფერი გამჭვირვალე იყოს - რა ტრანსფერები ხორციელდება კლუბში. ამ დროისთვის „ზესტაფონში" 5 ახალი ფეხბურთელია, რომლებთანაც სხვადასხვა ვადით გაფორმდა კონტრაქტები".*

„ზესტაფონმა" ახალწვეულთა ხუთეულს მუდმივნომრებიანი მაისურები გადასცა. მეკარე **ზურაბ მამალაძესთან** 2-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა. მამალაძე ადრე თბილისის „დინამოს" მეკარე იყო, იმ პერიოდშიც, როცა „დინამოს" გეგუჩაძე წვრთნიდა, აქვს ევროთასებზე თამაშის გამოცდილება, მაღალია, გრძელი ხელებით არაერთი გუნდის კარი დაუცავს საქართველოში და, რა თქმა უნდა, გამოცდილება არ დაეწუნება. აქამდე, „ზესტაფონის" პირველი მეკარე **როინ კვასხვაძე** იყო, ვისაც მამალაძის სახით საკმაოდ სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა.




ზესტაფონის ახალწვეულები. მარცხნიდან: მიხეილ კაკალაძე, ზურაბ მამალაძე, შოთა გრიგალაშვილი, გიორგი კაჭკაჭიშვილი, ლევან მელქაძე

მცველ **გიორგი კაჭკაჭიშვილთან** ზესტაფონელებმა 3-წლიან ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. კაჭკაჭიშვილი თბილისის „დინამოს" მეორე გუნდის ფეხბურთელი გახლდათ, „ზესტაფონმა" ის თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაიბირა. კაჭკაჭიშვილი ახმახი ცენტრალური მცველია. შეგახსენებთ, რომ შარშან „დინამოდან" „ზესტაფონში" წასული ახალგაზრდა მცველი **უჩა ლობჟანიძე** დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელია. ცხადია, საინტერესოა, როგორ დაწინაურდება კაჭკაჭიშვილი „ზესტაფონში".

ცენტრალურ ნახევარმცველ **შოთა გრიგალაშვილთან** სამწლინახევრიან ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. თავის დროზე, ისიც გეგუჩაძის მიერ გაწვრთნილი „დინამოს" ფეხბურთელი გახლდათ. უნივერსალური ტიპის შუახაზელია, შეუძლია დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება, არის ტექნიკური, შემქმნელი ნახევარმცველი, მაგრამ „დინამოდან" გეგუჩაძის წასვლის შემდეგ მისი კარიერა წინ ვერ წავიდა. „დინამომ" რამდენიმე კლუბში გაანათხოვრა. ერთი ხანობა, გრიგალაშვილს აზერბაიჯანშიც სურდა წასვლა. როცა „დინამოს" **დუშან უჰრინი** წვრთნიდა, გრიგალაშვილს მასთან უთანხმოება მოუვიდა. შოთათი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ამასწინანდელი თავკაცი **პეტარ შეგრტიც** დაინტერესდა, არაერთხელ უხმო კიდეც გუნდში, თუმც მერე გრიგალაშვილზე გული აიცრუა. ამ საინტერესო ფეხბურთელს თითქოს მოწესრიგება აკლია, თითქოს, რაღაც მუდმივი, მოუგვარებელი პრობლემა აქვს, მაგრამ ახლა უკვე ისეთ გუნდში მოხვდა, სადაც ნორმალური პირობებიცაა და მწვრთნელიც ისეთი ჰყავს, მას რომ ენდობა - გრიგალაშვილისთვის ეს კარგი შანსია.

შეიძლება ითქვას, **მიხეილ კაკალაძეც** გეგუჩაძის ჯილაა - ისიც იმ „დინამოს" ფეხბურთელი იყო, 2004 წელს უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე რომ გავიდა. ბოლო წლებში კაკალაძე, როგორც საინტერესო ფეხბურთელი, აღარავის ახსოვდა და მასაც კიდევ ერთი შანსი მისცა გეგუჩაძემ. კაკალაძემ „ზესტაფონთან" 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

2004/05 წლების სეზონის საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი **ლევან მელქაძე** „ზესტაფონში" სეზონის ბოლომდე დარჩება, მერე კი, შესაძლოა, კლუბისა და ფეხბურთელის თანამშრომლობა გაგრძელდეს. 2004 წლის „დინამოში" მელქაძესაც უთამაშია, მაშინ ის იყო სწორედ გუნდის მთავარი ფორვარდი.

„ზესტაფონმა" სიდეში 29 ფეხბურთელი წაიყვანა, რომელთაგან ზოგი გასინჯვაზეა, ზოგის ტრანსფერიც მოლაპარაკების სტადიაშია. „ზესტაფონი 2-დან" სინჯებზე არიან **ალეკო ლაბაძე** (1990 წელს დაბადებული) და **გიორგი ჭანკოტაძე** (1991). მეორე გუნდიდან პირველში უკვე გადავიდნენ **კარენ მაკარიანი, ანზორ სუხიაშვილი** და **თორნიკე გორგიაშვილი**.

„ზესტაფონმა" სეზონის ბოლომდე გაუგრძელა კონტრაქტი კლუბისა და, საერთოდ, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის კოლორიტ **ზურაბ იონანიძეს, ირაკლი ძარიასა** და **მურთაზ დაუშვილს** კი 3-3 წლით. მოკლედ, „ზესტაფონმა" შეკრებაზე ეს ფეხბურთელები იახლა:

მეკარეები - როინ კვასხვაძე, ზურაბ მამალაძე, გიორგი ძაძამია;

მცველები - სევასტი თოდუა, შალვა ლონლაძე, უჩა ლობჟანიძე, გიორგი კაჭკაჭიშვილი, კარენ მაკარიანი, გიორგი კვესიაშვილი, აკაკი ტეტუნაშვილი, გიორგი ელბაქიძე;

ნახევარმცველები - ნიკა კვასხვაძე, ირაკლი ძარია, მურთაზ დაუშვილი, გიორგი ჭელიძე, ალექსი ბენაშვილი, თორნიკე გორგიაშვილი, გიორგი ხიდეშელი, ანზორ სუხიაშვილი, ნიკოლოზ სტეფანიშვილი, ალეკო ლაბაძე, გიორგი ჭანკოტაძე, შოთა გრიგალაშვილი;

თავდამსხმელები - ზურაბ იონანიძე, ლევან მელქაძე, ნიკოლოზ გელაშვილი, ერიკ რომეო ჩასემი, მიხეილ კაკალაძე, ბესიკ ჩიმაკაძე.

სიაში თბილისის „ამერის" ორი ფეხბურთელია - მარცხენა მცველი **გიორგი ელბაქიძე** და თავდამსხმელი **ბესიკ ჩიმაკაძე**. ორივე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრია. როგორც კლუბის პრესსამსახურის უფროსმა **სერგო ფუტკარაძემ** გვითხრა, მათი და „ზესტაფონის" თანამშრომლობის საკითხი უახლოეს დღეებში გაირკვევა. რაც შეეხება სპარინგებს, ფეროელები სიდეში კრასნოდარის (რუსეთი) „ყუბანს", ლუგანსკის (უკრაინა) „ზარიას", კრივოი როგის (უკრაინა) „კრივბასსა" და პოლტავის (უკრაინა) „ვორსკლას" გაეჯიბრებიან. მიმდინარეობს მოლაპარაკება ბუქარესტის (რუმინეთი) „სტიაუასა" და ოსტრავის (ჩეხეთი) „ბანიკთან".

**დავით თავართქილაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საკონტროლო მატჩი




ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ნაცნობ-უცნობი დინამო

...აღარც გვიკვირს, ამ შუა ზამთარში ჩვენთან საფეხბურთო მატჩები რომ ტარდება. რა თქმა უნდა, ახლა საკონტროლო შეხვედრების დროა და გუნდების უმრავლესობაც, თბილ ქვეყნებში შეკრებაზე წასვლამდეც მაქსიმალურად ცდილობს პოტენციური ახალწვეულების საქმეში ნახვას. ეგ კი არა, ხანდახან ცოტა არ იყოს, კურიოზულ სიტუაციასაც ვაწყდებით: ზოგ საკონტროლო შეხვედრას უფრო მეტი გულშემატკივარი ესწრება, ვიდრე... ეროვნული ჩემპიონატის მატჩს. აი, გუშინ, მაგალითად, დიღმის საწვრთნელ ბაზაზე თბილისის „დინამოსა“ და ცხინვალის „სპარტაკის“ საკონტროლო მატჩს ასამდე კაცი ადევნებდა თვალს. როგორც ყოველთვის, კვლავაც აქტიურად ქომაგობდა „სპარტაკს“ სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **დიმიტრი სანაკოევი**. აქვე იყვნენ აგრეთვე ახლო თუ შორეული წარსულის ცნობილი ფეხბურთელები თუ მწვრთნელები: **ალექსანდრე ჩივაძე, კახა ცხადაძე, გიორგი ნემსაძე, გოჩა ჯამარაული**; მოკლედ, წმინდა საფეხბურთო ატმოსფერო იყო დიღმის საწვრთნელ ბაზაზე; თანაც, ორივე გუნდის მთავარ მწვრთნელს - **რაინერ ცობელსა** და **სერგო გაბელაიას**, რალა თქმა უნდა, მაქსიმალური რაოდენობის ფეხბურთელების გასინჯვა-დაკვირვება ჰქონდათ განზრახული. სანამ მონაწილე გუნდების სასტარტო შემადგენლობებს გაგაცნობდეთ, მანამდე ისიც უნდა ვთქვათ, რომ „დინამოს“ ერთდროულად რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა: **მილოშ კრშკო, ლევან ხმალაძე, მათე ვაწაძე, ილია სპასოევიჩი, ნიკა ფირცხალავა**. ახლა კი „დაპირებული“ სასტარტო შემადგენლობებიც:

„დინამო“: **ლორია - თომაშვილი, ნერგაძე, გ. კაშია, ჩარასი - ტომიჩი, დილმელაშვილი, სალიხოვიჩი, გველესიანი - გ. მერებაშვილი, აკირემი.**

„სპარტაკი“: **კოდალაევი - ქურასბედიანი, გ. კვახაძე, ქარქუზაშვილი, მგალობლიშვილი - მაისურაძე, თურმანიძე, შონია, შ. ჯიქია - ჩივაძე - სირბილაძე.**

ასეთი ტიპის მატჩებში, ჟურნალისტების მაქსიმალური ყურადღება, რალა თქმა უნდა, ახალწვეულების მიმართ არის; „დინამოს“ ძირითადში ასეთი სამი ლეგიონერი გახლდათ: არგენტინელი **მარკოს ჩარასი** (მარცხენა მცველი), ჩერნოგორიელი **დანილო ტომიჩი** (მარჯვენა ნახევარმცველი) და სერბი **ფოად სალიჰოვიჩი** (საყრდენი). გარკვეული სიახლეც იყო ექვსთვიანი პაუზის მერე „დინამოში“ მობრუნებული **ჯორჯ აკირემის** ხილვაც. ახალწვეულები „სპარტაკსაც“ ჰყავდა: **ქურასბედიანი, ჯიქია** და **ჩივაძე** „სიონიდან“ გადმოვიდნენ, **კვახაძე** - „მესხეთიდან“, **ქარქუზაშვილი** - „ბორჯომიდან“, **თურმანიძე** - სამტრედიიდან“. აკირემის მსგავსად, ასევე ნახევარწლიანი პაუზის მერე დაუბრუნდა „სპარტაკს“ მეკარე **ბესიკ კოდალაევი**, ვინც პირველ ეტაპზე მარტვილის „მერანში“ თამაშობდა. რა თქმა უნდა, თითოეულ ახალწვეულს ახალ პარტნიორებთან (გნებავთ - გარემოსთან) გარკვეული დროც სჭირდება; აქედან გამომდინარე, წინასწარ რაიმე დასკვნის გამოტანა ძნელია. თუმცა, იმავე ტომიჩზე ახლავე შეიძლება ითქვას, რომ, ალბათ, დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია. მით უმეტეს, რომ **დავით ოდიკაძისა** და **შოთა კაშიას** წასვლის მერე „დინამოს“, ფაქტობრივად, აღარც დარჩა კვალიფიციური მარჯვენა ნახევარმცველი. სალიჰოვიჩი, ცოტა არ იყოს, ჩაკარგული ჩანდა; აი, ჩარასს კი რა უნდა მოვთხოვოთ - მშვენიერ გუნდებში ნათამაშები არგენტინელი ერთი დღის ჩამოსული იყო თბილისში...

...პირველი ტაიმი შედარებით თანაბარ ბრძოლაში წარიმართა; პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს - გიორგი ჩივაძე „დინამოს“ მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ „სპარტაკის“ გამთამაშებლის უძლიერესი დარტყმა ჯერ ხარიხას მოხვდა, მერე კი კარის ხაზზე დაეცა. „დინამოს“ საპასუხო შეტევაც არანაკლებ სახიფათო იყო - კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს ტომიჩი თავით გზავნიდა კოდალაევის კარის მიმართულებით, მაგრამ მიზანმა ოდნავ უმტყუნა. ტომიჩმა სანადელს მაინც მიაღწია - მატჩის დასრულებამდე დიდი დრო არ იყო დარჩენილი, როცა აქტიურმა ჩერნოგორიელმა კარგად შეირგო ჩარასის ფლანგური პასი და ამ შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა. არადა, ამ გოლამდე „სპარტაკს“, თითქოსდა, ასპროცენტიანი მომენტი შეექმნა, მაგრამ **დიდიე ოვონომ**, მართლაც, ფანტასტიკური რეაქციის წყალობით, აულებელთა კატეგორიას რომ მიეკუთვნება, ისეთი ბურთი მოიგერია! ოვონო ვახსენეთ და ბარემ ის ფეხბურთელებიც ჩამოვთვალოთ, მეორე ტაიმში მოედანზე რომ გამოჩნდნენ: **ლომია, კოშკაძე, ქანთარია, ნემსაძე, ჯიშკარიანი, მინდორაშვილი** („დინამო“); **ხაჭიპერაძე, კობერიძე, ოქროპირიძე, ჯანელიძე, ქორიძე, მეტრეველი, ტლაშაძე, ავალიანი, შერაზადიშვილი, გაბელაია** („სპარტაკი“).

გია ტუხაშვილი

# ქართული მიდი-მოდი

| გუნდი | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრება, საკონტროლო მატჩები |
|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია<br>რამაზ მუმლაძე | დ. ლომაია (ზარია, უკრაინა) | მგელაძე (გაგრა) | 8 იანვრიდან - თბილისში<br>18 იანვრიდან - ანთალიაში |
| დინამო<br>რაინერ ცობელი | **ოდიკაძე (დიორი, უნგრეთი), შ. გრიგალაშვილი (ზესტაფონი)**, შ. კაშია (?) ელიავა (არენდა დაუმთავრდა) | **კოშკაძე (სიონი), ლომია (მგლები)**, ქავთარაძე (ბორჯომი, არენდა დაუმთავრდა), მეგოტი (კამერუნი), სალიჰოვიჩი (სერბეთი), ტომიჩი (ჩერნოგორია), ჩარასი (არგენტინა) | 10 იანვრიდან - თბილისში<br>დინამო-სპარტაკი 1:0<br>23 იანვრიდან - ანთალიაში |
| ოლიმპი<br>ვარლამ კილასონია | გ. ონიანი (?), მერლანი (გაბალა, აზერბაიჯანი), მიკუჩაძე (?), კ. ალადაშვილი (სიონი) | შეყრილაძე (ბორჯომი), თედიაშვილი (მესხეთი), სარალიძე (ლოკომოტივი), რეხვიაშვილი (მგლები, არენდა დაუმთავრდა), ხუბუა (სიონი, არენდა დაუმთავრდა), მიქაბერიძე (მგლები, არენდა დაუმთავრდა), მ. ალავიძე (სტანდარდი, აზერბაიჯანი) | 10 იანვრიდან - რუსთავში<br>23 იანვრიდან - ანთალიაში |
| ზესტაფონი<br>გია გეგუჩაძე | რ. ონიანი (მგლები), ლომაშვილი (?), ბოიომო (?), **ბ. გოცირიძე (დნიპრო, უკრაინა)** | **ლ. მელქაძე (უგუნდოდ), მამალაძე (მგლები), კაჭკაჭიშვილი (დინამო 2), მ. კაკალაძე (სამტრედია)**, წინამძღვრიშვილი, ელბაქიძე, ჩიმაკაძე (სამივე - ამერი), ტეტუნაშვილი (გაგრა) | 5 იანვრიდან - ზესტაფონში<br>18 იანვრიდან - თურქეთში |
| სიონი<br>ოთარ კორღალიძე | ს. იაშვილი (არენდა დაუმთავრდა, ანჟი, რუსეთი), **კოშკაძე (დინამო)**, ჩივაძე, ქურასბედიანი, ოქროპირიძე, შ. ჯიქია (ყველა სპარტაკი), ბ. ნოზაძე (მგლები), ქვაჩახია (?), შავგულიძე (?), ხუბუა (არენდა დაუმთავრდა, ოლიმპი) | ი. ვაშაკიძე (მარტვილი), ლ. ვაშაკიძე (ბორჯომი), ხიდეშელი, შალამბერიძე, (ორივე სპარტაკი), ჯ. მუჯირი (ირანი), კ. ალადაშვილი (ოლიმპი), კაპანაძე (გერმანია), ორბელაძე (დაჩია, მოლდოვა) | 5 იანვრიდან - თბილისში<br>სიონი-IBSU 2:1 |
| ლოკომოტივი<br>გიორგი კიკნაძე.<br>ზაზა ზამთარაძე | სარალიძე (ოლიმპი) | ქუცურუა (მგლები, არენდა დაუმთავრდა) | 11 იანვრიდან - თბილისში |
| მგლები<br>ბესიკ შეროზია | **ლომია (დინამო), მამალაძე (ზესტაფონი)**, ქუცურუა (ლოკომოტივი, არენდა დაუმთავრდა), დარსანია (?), გრიგოროვიჩი (?), რეხვიაშვილი, მიქაბერიძე (ოლიმპი, არენდა დაუსრულდათ), გულორდავა (?) | **რ. ონიანი (ზესტაფონი), ბ. ნოზაძე (სიონი), სომხიშვილი (მესხეთი), რაქვიაშვილი (მესხეთი)**, ბაკარანძე (კოლხეთი), დ. ქირია (ბუხარა, უზბეკეთი), მალიჩავა (უგუნდოდ), ინჯგია (ვიტ ჯორჯია) | 8 იანვრიდან - ზუგდიდში<br>15 იანვრიდან - ჩაქვში |
| მესხეთი<br>კობა თედიაშვილი | გ. კვახაძე (სპარტაკი), **სომხიშვილი (მგლები)**, თედიაშვილი (ოლიმპი), **გრიგალაშვილი (ზესტაფონი), რაქვიაშვილი (მგლები)**, ლეკიშვილი (სიონი), ლ. მერებაშვილი (?) | | |
| გაგრა<br>ვლადიმერ ხაჩიძე | **მგელაძე (ვიტ ჯორჯია)**, მეტრეველი (სპარტაკი), ტეტუნაშვილი (ზესტაფონი) | ბ. ცხადაძე (სტანდარდი, აზერბაიჯანი), კუპრეიშვილი (სპარტაკი) | 9 იანვრიდან - ზესტაფონში<br>15 იანვრიდან - ანთალიაში |
| ბორჯომი<br>გიორგი სუხიაშვილი | ქარქუზაშვილი, ავალიანი (ორივე სპარტაკი), შეყრილაძე (ოლიმპი), ქავთარაძე (დინამო, არენდა დაუმთავრდა), კიკნაძე (?), **ლაცაბიძე (კარიერა დაასრულა)**, ლ. ვაშაკიძე (სიონი) | | |
| სპარტაკი<br>სერგო გაბელაია | ხიდეშელი, შალამბერიძე (ორივე სიონი), მ. ლონლაძე (?), თექთურმანიძე (?), თარხნიშვილი (?), კუპრეიშვილი (გაგრა), ქვილითაია (?) | ჩივაძე, შ. ჯიქია, ოქროპირიძე, ქურასბედიანი (ოთხივე სიონი), მეტრეველი (გაგრა), გ. თურმანიძე (სამტრედია), ქარქუზაშვილი, ავალიანი (ორივე ბორჯომი), გ. კვახაძე (მესხეთი), მგალობლიშვილი (ჩიხურა), კოდალაევი (მერანი), შერაზადიშვილი, ჯანელიძე, ტლაშაძე | დინამო-სპარტაკი 1:0<br>20 იანვრიდან - ქობულეთში |

შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩი

# გოცირიძე დარჩა, ორბელაძეც სიონში ითამაშებს

## ბოლნისელებმა მოგებით დაიწყეს

**სიონი-IBSU 2:1**

1:0 გოცირიძე (60), 1:1 ქემაშვილი (65), სანიკიძე (85)

სიონი: ბობღიაშვილი, სანიკიძე, სვანიძე, კაკაშვილი, ორბელაძე, ლეკიშვილი, დიდავა, შალამბერიძე, ხიდეშელი, დავითაშვილი, გოცირიძე.

*მეორე ტაიმში შევიდნენ:* ბაჯელიძე, ალადაშვილი, შენგელია, ჭელიძე.

IBSU: მეტრეველი, ცხოიძე, კირთაძე, კუჭუხიძე, შ. ფარულავა, კაკაბაძე, ბართაია, უშარაული, ბენდიაშვილი, ქემაშვილი, ნიკოლაძე.

*მეორე ტაიმში შევიდნენ: ჭოლოგუა, ნიკლაური, ჭეჟია, გ. ჯიშკარიანი, ხოსრუაშვილი, ნორაკიძე.*

არბიტრი: ი. ურუშაძე

ბოლნისის „სიონმა" შაბათს პირველი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. ოთარ კორღალიძის გუნდს სპარინგი ქვედა ლიგაში მოასპარეზე IBSU-მ (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი) გაუწია. ეს არის ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტებული კრებული, რომელმაც ნამდვილად კარგი შთაბეჭდილება დატოვა. შზსუ-ს გოჩა ყორყოლიანი წვრთნის. თამაშს კლუბის თურქი პრეზიდენტი **ახმედ დემირიც** ადევნებდა თვალს...

ბოლნისელთაგან მსუბუქი ტრავმების გამო ვერ ითამაშეს **ირაკლი ვაშაკიძემ, ჯაბა მუჯირმა** და **რევაზ ქემოკლიძემ**. ორივე გუნდი თანაბრად მონდომებული იყო, თუმცა „სიონმა" კლასის ხარჯზე შეძლო გამარჯვების მოპოვება. სამივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა. კორღალიძის ბიჭებს ანგარიშის გახსნა შესვენებამდეც შეეძლოთ, მაგრამ ვერ შეძლეს. **სულიკო დავითაშვილის** დარტყმულზე მეტოქე ხარიხამ იხსნა. პირველი გოლი კი **რევაზ გოცირიძემ** გაიტანა. სხვათა შორის, გოცირიძეს „ამერიდან" ბოლნისელთა კლუბში განათხოვრების ვადა დაუმთავრდა, მაგრამ კორღალიძის თხოვნით „სიონში" დარჩენა გადაწყვიტა. მალევე, **ქემაშვილმა** თავურით გაათანაბრა ანგარიში. მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე კი **კობა შალამბერიძის** მიერ მოპოვებული პენალტი **ლევან სანიკიძემ** გოლად აქცია.

*„მოსამზადებელი ეტაპის პირველი ამხანაგური მატჩი გვქონდა. ეს შეხვედრა ორჯერადი დატვირთვების ფონზე ჩავატარეთ და კარგ თამაშს არც ველოდი. სასიხარულოა, რომ ბიჭებმა საბრძოლო სულისკვეთება გამოავლინეს და მოვიგეთ. დაცვაში ბევრი სამუშაო გვაქვს. სერგი ორბელაძე მოლდოვური „დაჩიის" შემდეგ ჩვენს გუნდში ითამაშებს. უკანა ხაზში ირაკლი ვაშაკიძე დაგვემატება. ის ჩვენთანაა, მაგრამ მსუბუქი ტრავმის გამო ვერ ითამაშა. დილის ვარჯიშზე კუნთი იტკინა ჯაბა მუჯირმა. ისიც „სიონში" ითამაშებს და ვფიქრობ, კარგი გუნდიც გვეყოლება" -* გვითხრა ნამატჩევს „სიონის" თავკაცმა ოთარ კორღალიძემ.

ბოლნისელები 21 იანვარს მოსამზადებელ შეკრებაზე ქობულეთში გაემგზავრებიან, სადაც ცხინვალის „სპარტაკთან", „მგლებთან", „ბაიასთან", ფოთის „კოლხეთთან", „ბათუმთან" და სხვა გუნდებთან გამართავენ ამხანაგურ მატჩებს. 1 თებერვალს „სიონი" თბილისში დაბრუნდება და მეორე დღეს აზერბაიჯანულ „სიმურგთან" მოსინჯავს ძალებს. სხვათა შორის, 25 იანვრიდან „სიმურგი" მოსამზადებელ შეკრებას საქართველოში იწყებს.

**დავით ცაბაძე**

ვიტ ჯორჯია

ინტერვიუ გიგა ბეჭვაიასთან

# ჩვენ, დინამო, ოლიმპი და ზესტაფონი...

**რამდენიმე დღეა, რაც „ვიტ ჯორჯია" მეორე ეტაპისთვის მზადებას შეუდგა. ვიტელებმა შეკრებაზე თურქეთს მიაშურეს. საინტერესოა, თუ რა აზრისაა გუნდის მზადებასა და მომავალზე გიგა ბეჭვაია, ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე, რომელიც ამპლუით მცველია, თუმცა ნახევარდაცვაშიც მოუწია გარჯამ და წარმატებებში საკუთარი წვლილიც შეიტანა. ვიტჯორჯიელს თურქულ შეკრებაზე გამგზავრებამდე გავესაუბრეთ...**

- ათი დღეა, რაც შევიკრიბეთ და მზადებას შევუდექით. 35-ე საფეხბურთო სკოლაში ვვარჯიშობთ. მერე თურქული შეკრებაა. გუნდში აშკარად იგრძნობა მონდომება. გასული წელი წარმატებით ჩავამთავრეთ, „ზამთრის ჩემპიონები" გავხდით და წელსაც არანაკლები წარმატებით უნდა ვიასპარეზოთ.

**- საკუთარ თამაშს როგორლა შეაფასებდით?**

- ორი მატჩის გარდა, ყველა შეხვედრაში ვითამაშე. „მგლებთან" მატჩი ტრავმის გამო გამოვტოვე, „ზესტაფონთან" ბოლო ტურში კი დისკვალიფიცირებული ვიყავი. ერთი სიტყვით, სტაბილურად ვხვდებოდი ძირითადში და მწვრთნელი კმაყოფილი რომ არ ყოფილიყო, მაშინ სკამზე ჯდომა მომიწევდა. ასე რომ, უკმაყოფილების საბაბი არ მაქვს, მაგრამ ისიც ვიცი, რომ უკეთაც შემიძლია თამაში და ამას მეორე ეტაპზე დავამტკიცებ.

**- მარჯვენა ფლანგზე დაცვასა და ნახევარდაცვაში გიწევდათ თამაში. თავად როგორ ატყობთ, რომელ პოზიციაზე გამოგდით უკეთ თამაში?**

- ამპლუით მცველი ვარ. როცა დაცვაში მაყენებდნენ, ჩემს წინ გიორგი დათუნაიშვილი მოქმედებდა. ჩვენ იოლად ვუგებთ ერთმანეთს. შუა ხაზში რომ ვიყავი, დაცვაში დათო ხურცილავა იდგა. ერთი სიტყვით, არც ერთ ამ პოზიციაზე თამაში ჩემთვის პრობლემატური არ ყოფილა. სადაც გუნდს დავჭირდები, იქ ვითამაშებ. მაგრამ თუ არჩევანზე მიდგება საქმე, მაინც მგონია, რომ დაცვაში უკეთ ვთამაშობ, თან დათუნაიშვილსაც კარგად ვუგებ... მაგრამ კიდევ ერთხელ



გიგა ბეჭვაია

ვამბობ, ხურცილავასთანაც არ მაქვს პრობლემა და სადაც მწვრთნელი საჭიროდ ჩათვლის, იქ დავდგები და თავსაც არ დავზოგავ.

**- 2008 წლის ბოლოსწინა ტურში გორში „ოლიმპის" ძლევით გაიფორმეთ „ზამთრის ჩემპიონობა". იმ შეხვედრაში გაგაძევეს. სხვათა შორის, ამის გამო ბევრს გაუჩნდა კითხვა...**

- აკუასაგასთან სათამაშო ეპიზოდში წესები დავარღვიე. ეს იყო და ეს. დიახ, ეს იყო სუფთა სათამაშო ეპიზოდი და არაფერი სხვა. არბიტრმა მე წითელი ბარათით დამსაჯა, აკუასაგა კი გააფრთხილა.

**- „ზამთრის ჩემპიონობა" საბოლოო გამარჯვების გარანტიას არ იძლევა. შეძლებთ ოქროს მედლების მოპოვებას?**

- სწორედ ამისთვის ვიბრძვით. ვნახოთ, რამდენად გამოგვივა. ჩვენი გუნდის გულშემატკივარს ერთს ვპირდები მხოლოდ - ჩვენ ცდას არ დავაკლებთ.

**- „ვიტ ჯორჯიის" ამჟამინდელი კონტინგენტით ეს რამდენად შესაძლებელია?**

- შეუძლებელი ნამდვილად არ არის. მთავარია, ყველა მატჩში მობილიზებულები ვიყოთ და ქულები ტყუილად არ დავკარგოთ. შარშან ახლოს ვიყავით ჩემპიონობასთან, მაგრამ ბოლოს ქულებიც დავკარგეთ და შესაბამისად - ოქროც. წელს ანალოგიური რამ არ უნდა დავუშვათ.

**- შარშანდელი შემადგენლობიდან მხოლოდ ერთი ფეხბურთელი არ გყავთ...**

- დათო ლომაია „ზარიაში" გადის სინჯებს და მისი საკითხი ამ დღეებში გადაწყდება.

**- როგორ ფიქრობთ, ვინ იქნება ლომაიას შემცვლელი?**

- ლომაია დაცვის ცენტრში მართლაც დიდი ძალაა, მაგრამ გუნდში არიან მცველები და თუ დათო „ზარიაში" გადავა, ჩვენთან არიან ამირან ყველაშვილი, ნიკა მგელაძე, რომელიც ახლახან დაგვემატა, კაპიტანი ლექსო კვახაძე... ასე რომ, დაცვაში არ უნდა გაგვიჭირდეს.

**- თურქეთში გასამგზავრებელთა სიაში რამდენიმე ახალი ფეხბურთელია. დუბლებიდან გადმოყვანილ მოთამაშეებზე რას იტყოდით?**

- ნიჭიერი ბიჭები არიან, მონდომება არ აკლიათ. თურქეთში მომზადება მათთვის კარგი შანსი იქნება ძირითად გუნდში დასამკვიდრებლად. მათზეა დამოკიდებული, როგორ გამოიყენებენ ამ შანსს.

**- გუნდებში გარკვეული ცვლილებები მოხდა. ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მთავარი კონკურენტები ისევ ის გუნდები იქნებიან?**

- „დინამოც" ძლიერდება და „ზესტაფონიც". არ უნდა დაგვავიწყდეს „ოლიმპიც". რუსთაველებმა სეზონი ცუდად დაიწყეს, მაგრამ მერე ჩავარდნა დაძლიეს და ჩემპიონობისთვის ბრძოლაშიც ჩაერთვნენ. „სიონსაც" კარგი შემადგენლობა ჰყავს, არც „ლოკომოტივის" ჩამოწერა შეიძლება. ოქროსთვის ბრძოლა, ალბათ, „დინამოსთან", „ზესტაფონსა" და „ოლიმპთან" მოგვიწევს.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი



კლიმენტი ნიტაიშვილი

# წლის პირველი გოლი

**ამ უქმეებზე ჩემპიონატი განახლდა ისრაელში, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანაში ომი მძვინვარებს. ასევე დაიწყო დსთ-ს თასი, უსახური ტურნირი, თუმცა იქ ოთხი ჩვენებური თამაშობს, ასე რომ უყურადღებოდ ვერც მას დავტოვებთ. უქმეები ქართველთათვის მშრალი არ გამოდგა - კლიმენტი ნიტაიშვილმა სეზონში პირველი გოლი გაიტანა.**

### ხიზანიშვილი ბჭობდა...

*„ჩვენ ისე დაგვხია უკან* **პოლ ინსის** *მწვრთნელობამ, რომ ძალზე ცუდად გამოვიყურებოდით ჩემპიონატში. ახალი მწვრთნელის მოსვლით ენერგია მოგვეცა, ახლა საჭიროა შემართებული ბრძოლა",* - უმტკიცებდა ზურაბ ხიზანიშვილი ინგლისურ „მეილს" პრემიერლიგის მორიგ ტურამდე, თუმცა გაგიგიათ, ალბათ, კაცი ბჭობდაო... ჩვენებურს ამ ენერგიის დახარჯვის საშუალებას არც მის მიერ ნაქები **სემ ელერდაისი** აძლევს. „ნიუკასლთან" 3:0 მოგებულ მატჩში ზურასთვის განაცხადშიც კი არ გამოიძებნა ადგილი, არადა, ის გუნდთან ერთად ჩვეულებრივად ემზადებოდა. ვფიქრობთ, საქართველოს ნაკრების მცველმა დროულად უნდა შეიცვალოს კლუბი.

### როდემდე, უცნობია...

ალბათ, კარგა ხანს ვერ ვიხილავთ „მილანის" რიგებში მუხლმტკივან **კახა კალაძეს**. უფრო ზუსტად კი მას მერე გაირკვევა, რაც ნაკრების კაპიტანი ბელგიაში გამოკვლევას ჩაიტარებს. უკალაძეოდ „მილანმა" 1:0 დაამარცხა „ფიორენტინა".

„პალერმომ" **მარკ ბრეშიანოს** დუბლის წყალობით სტუმრად სძლია „სამპდორიას" - 2:0. სამწუხაროდ, კვლავ არ მიეცა თავის გამოჩენის საშუალება **ლევან მჭედლიძეს**, რომელიც სათადარიგოთა სკამზე დარჩა.

### კლიმენტის პირველი

შაბათს კვიპროსის ჩემპიონატის ლიდერმა „ომონიამ" შინ მოულოდნელად წააგო აპოელ-თან (0:1), თუმცა ამით **თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისმა" ვერ ისარგებლა და მეორე ადგილიც დაკარგა. „ანორთოსისი" ერთ-ერთ აუტსაიდერ აეპ-ს ეწვია და 2:2 დაუზავდა. **კლიმენტი ნიტაიშვილმა** სრულად ითამაშა, ის პირველად 24-ე წუთზე დაემუქრა მასპინძელთა კარს, თუმცა პაფოსელთა გოლკიპერმა იმარჯვა, 33-ე წუთზე კი ნიტაიშვილის დარტყმული აულებელი გამოდგა. მეორე ტაიმში მასპინძლებმა ორი გოლი გაიტანეს და რომ არა ბოლო წუთზე **სკოპელიტისის** მიერ გატანილი გოლი, ქეცბაია სეზონში მესამე მარცხს გაიფორმებდა. აპოელ-ს და „ომონიას" 45-45 ქულა აქვთ, „ანორთოსისს" - 44. კლიმენტიმ კი სეზონში პირველი გოლი გაიტანა. **ლევან ქებაძის** „ეთნიკოსმა" მის გარეშე დაამარცხა „დოხა" - 2:0. არც **ლევან მაღრაძე** გამოჩენილა „აპოლონის" რიგებში, მისმა გუნდმა სტუმრად „ენოსისს" მოუგო - 3:0. „ეთნიკოსი" 31 ქულით მე-4 ადგილზეა, „აპოლონი" 29 ქულით მეხუთეა.

### დავითნიძეს დაემშვიდობნენ

ომის მიუხედავად, მაინც განახლდა ისრაელის პირველობა, სადაც **გიორგი დარასელიას** (ის გუნდში მწვრთნელის თანაშემწეა) „მაკაბი" ჰაიფადან სტუმრად ფეთაჰ-ტიკვას „მაკაბისთან" დამარცხდა - 0:2. წაგების მიუხედავად, ქართველი მწვრთნელის გუნდი 32 ქულით ერთპიროვნული ლიდერია. ქვედა, ლეუმითლიგაში დღეს ითამაშებს **ირაკლი გეფერიძის** ჰაიფას „ჰაპოელი", რომელიც ქფარ-სავას „ჰაპოელს" მასპინძლობს. ჰაიფელები 34 ქულით ლიდერობენ, გეფერიძე კი 5 გატანილი გოლით ბომბარდირთა დავაში მონაწილეობს. შაბათს დამარცხდა „ბნეი ლოდი", თუმცა ეს გუნდი ჩვენ აღარ გვაინტერესებს, რადგან კლუბიდან გაუშვეს ქართველი ლეგიონერი **გიორგი დავითნიძე**.

### ქართველები ლიდერებში

სტარტი აიღო დსთ-ს და ბალტიის ქვეყნების თასმა, რომელიც სულ უფრო უფერული ტურნირი ხდება. პირველად, შეჯიბრებაში არ მონაწილეობს საქართველოს ჩემპიონი, თუმცა დსთ-ს თასზე რამდენიმე ჩვენებური მაინც არის. A ჯგუფში ჩვენთვის საინტერესო მხოლოდ „რუბინია", რომლის კარს **ნუკრი რევიშვილი** იცავს. მოულოდნელად, გუნდში კიდევ ერთი ქართველი გამოჩნდა - **ლაშა სალუქვაძე**. ეს მას მერე მოხდა, რაც გაირკვა, რომ „რუბინი" ქართველ მცველს შეელევა. პირველ ტურში „რუბინი" უზბეკურ „ფახთაქორს" დაუზავდა - 1:1. კარში რევიშვილი იდგა, სალუქვაძემაც მოედანზე 90 წუთი დაჰყო. გაშვებულ გოლში რუსული მედია სწორედ სალუქვაძეს ადანაშაულებს. გუშინ „რუბინმა" ყაზახეთის ჩემპიონ „აქტობესთან" 0:2 წააგო. რევიშვილმა და სალუქვაძემ კვლავ 90-90 წუთი ითამაშეს.

C ჯგუფში მოლდოვური „შერიფი" გვაინტერესებს, რომლის კაპიტანი **ვაჟა თარხნიშვილია**. „შერიფი" 6 ქულით ლიდერია. პირველ მატჩში მოლდოვის ჩემპიონმა „შახტარს" აჯობა, რომელიც მესამე გუნდით (!) ჩავიდა მოსკოვში - 4:0. თარხნიშვილმა 90 წუთი ითამაშა. მეორე მატჩში „შერიფმა" ტაჯიკური „რეგარი" 2:1 დაამარცხა. ამ მატჩშიც ვაჟამ შეუცვლელად ითამაშა.

D ჯგუფში **ზურაბ მენთეშაშვილის** „ვენტსპილსმა" ფინური „ინტერი" 3:1 დაამარცხა. ქართველმა 59-ე წუთამდე ითამაშა. გუშინ „ვენტსპილსმა" 1:0 მოუგო „დორდოი-დინამოს" ყირგიზეთიდან და 6 ქულით გალიდერდა. ამ შეხვედრაში ჩვენებურმა 90 წუთი ითამაშა და ყვითელი ბარათი მიიღო. სხვათა შორის, „დორდოი-დინამოში" თამაშობს **რუსლან უმარაშვილი**, თუმცა ის ჩეჩენია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოკომოტივი

# გიორგი ლომაია ბრუნდება, მაგრამ...


გიორგი ლომაია

თბილისის „ლოკომოტივს", რომელსაც დაფინანსება მნიშვნელოვნად შეუმცირდა, შესაძლოა, საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე **გიორგი ლომაია** დაუბრუნდეს. ლომაია ავსტრიულ „ალტახში" აპირებდა გადასვლას, მაგრამ ტრანსფერი არ გამოვიდა - როგორც გიორგიმ გვითხრა, ავსტრიულ გუნდში მწვრთნელი შეიცვალა და...

„ლოკომოტივის" დამრიგებელმა **გიორგი კიკნაძემ** კი გვამცნო, ლომაიამ სურვილი გამოთქვა, კვლავ „ლოკომოტივში" ითამაშოს, მაგრამ... ზუსტად რამდენი იქნება კლუბის ბიუჯეტი სეზონის მეორე ეტაპზე, ეს ჯერაც გაურკვეველია. შესაბამისად, ვერც ლომაიასა და ვერც „ლოკომოტივის" სხვა წამყვან ფეხბურთელებს ეუბნებიან, რა პირობებზე მოუწევთ თამაში. ადრეც ვწერდით, რომ შესაძლოა, „ლოკომოტივი" გამოცდილმა მოთამაშეებმა დატოვონ. „ლოკომოტივში" ისიც გვითხრეს, რომ გუნდის ავან-ჩავანი, სავარაუდოდ, დღეს გაირკვევა.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერი

# სალუქვაძე: არც რუბინი, არც ტომი

**ლაშა სალუქვაძე** დსთ-ის თასზე ყაზანის „რუბინის" რიგებში ირჯება, თუმცა ამ გუნდს უკვე აღარ ეკუთვნის და არც მომავალში ითამაშებს. ქართველი მცველი „რუბინთან" ერთად რუსეთის ჩემპიონი კი გახდა, მაგრამ მას კონტრაქტის ვადა ამოეწურა. ყაზანელებმა ხელშეკრულების გაგრძელების სურვილი აღარ გამოთქვეს. ამასობაში, რუსულმა წყაროებმა გაავრცელეს ცნობა, თითქოს ლაშა პრემიერლიგის „ტომს" უნდოდა. ეს ინფორმაცია „ტომის" მთავარმა მწვრთნელმა **ვალერი ნეპომნიაშჩიმ** უმალ უარყო: *„ლაშა სალუქვაძით დაინტერესებულნი არ ვართ და არც ვყოფილვართ, თუმცა როგორც ფეხბურთელი, მე ის მომწონს. მის პოზიციაზე ჩვენ უკვე ავიყვანეთ სპარტაკელი ანდრეი ივანოვი".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მოულოდნელი ტრანსფერი

# კაშიამ ჩერნომორეცში ითამაშა

როგორც გაცნობეთ **შოთა კაშია** ოდესის „ჩერნომორეცში" ისინჯება. ოდესელები კი ანთალიურ შეკრებას განაგრძობენ. „ჩერნომორეცმა" გუშინ თურქეთში პირველი ამხანაგური მატჩი გამართა. უკრაინელები ყაზახურ „ორდაბასს" შეხვდნენ და 3:0 მოიგეს. ამ შეხვედრაში კაშიამაც მიიღო მონაწილეობა. ის ოდესელთა სასტარტო შემადგენლობში იყო და ერთი ტაიმი დაყო მოედანზე.

**დავით ცაბაძე**

ამხანაგური მატჩები

# გოცირიძე დაშავდა

უნგრული „დიორ ეტოს" მაისურით პირველი მატჩი გამართა საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა **დავით ოდიკაძემ.** „დიორ ეტომ" 4:0 გაანადგურა სლოვაკეთის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი „ნიტრას" სარეზერვო შემადგენლობა. ქართველმა მეორე ტაიმი ითამაშა მარჯვენა მცველის პოზიციაზე.

ევპატორიაში „ტავრიამ" ერთ დღეში ორი ამხანაგური მატჩი გამართა სხვადასხვა შემადგენლობით. პირველში „ტავრიამ" 3:0 მოუგო „ხარკივს". ქართველმა მეორე მატჩში ითამაშა, რომელშიც „ტავრიამ" „მეტალისტის" დუბლებს 2:0 მოუგო. **ვასილ გიგიაძემ** 21-ე წუთზე პენალტით ანგარიში 2:0 გახადა. აღსანიშნავია, რომ **ლაშა ჯაკობია** არც დუბლებში ჩანს და არც „მეტალისტის" მთავარ გუნდში. „ტავრიასთან" ითამაშა 17 წლის **გიორგი გაბისონიამ,** რომელიც უკრაინის მოქალაქეა. „ტავრიის" დუბლებმა 6:0 მოუგეს კლუბის 1992 წელს დაბადებულ გუნდს, ერთი გოლი **ლადო ბურდულის** ანგარიშზეა.

კიევის „დინამო 2" მაკაროვის ტურნირში მარცხით ჩაება. პირველ მატჩში გუნდმა 1:2 წააგო მაუპ-თან. ამ მატჩში სასტარტოში ითამაშეს **ლაშა თოთაძემ** და **დავით იმედაშვილმა.**

„დნიპრომ" თურქულ შეკრებაზე 0:1 წააგო რუმინულ „კლუჟთან". უფრო ცუდი კი ის არის, რომ ტრავმა მიიღო საქართველოს ნაკრების ფორვარდმა და „დნიპროს" ახალწვეულმა **ბექა გოცირიძემ.** ის და **ჯაბა კანკავა** სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ, ბექა ფლანგის ნახევარმცველად გაამწესეს. 31-ე წუთზე მის ნაცვლად მოედანზე **სანდრო კობახიძე** გამოვიდა. მეორე ტაიმში კობახიძის თავური ოდნავ აცდა მიზანს.

რუსეთის ჩემპიონი ყაზანის „რუბინი" თურქეთში ჩინურ „შანხაი შენხუას" დაუზავდა - 1:1. ამ მატჩში **დავით კვირკველიამ** პირველი ტაიმი ითამაშა.

მოლდოვის პირველობის განახლებისთვის მზადება დაიწყო კიშინოვის „ზიმბრუმ". ამხანაგურ მატჩში **მამუკა ლომიძის** გუნდმა 3:1 მოუგო „ისკრასტალს". მამუკამ 90 წუთი ითამაშა.

ჩეხურმა „პლზენმა" 2:1 დაამარცხა „ბოჰემიანსი". ამ შეხვედრაში **დიმიტრი ტატანაშვილმა** პირველი ტაიმი ითამაშა, რომელიც მისმა გუნდმა 0:1 წააგო. მეტიც, გოლი და საგოლე პასი მის ნაცვლად შესულმა **ვარადიმ** მიითვალა. კიდევ უფრო ცუდად აქვს საქმე „მლადა ბოლესლავის" ნახევარმცველ **გიორგი განუგრავას,** რომელიც არც პირველ და არც სარეზერვო გუნდში არ ჩანს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

U 17 ნაკრები

# 31 მარტს, აიაქსთან

ადრეც გაუწყეთ, რომ „ფონდი არველაძე" საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს ჰოლანდიაში სთავაზობდა ერთკვირიან ტურნეს, ახლა კი კონკრეტულად გაირკვა ერთი მატჩის თარიღი - 31 მარტს, შუაევროპული დროით 16 საათზე, ჩვენი ჭაბუკები „აიაქსის" თანატოლებს გაეჯიბრებიან. საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ჰოლანდიაში მომდევნო მატჩს „ალკმაარის" ჭაბუკებთან გამართავს 2 ან 3 აპრილს. ჩვენს გუნდს ჰოლანდიური ტურნესთვის „ფონდი არველაძე" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დააფინანსებენ. შესაძლოა, სხვა სპონსორიც გამოჩნდეს...

**დავით თავართქილაძე**

ახალი თაობა

გუგა გუგავა

# დინამოს ნახევარმცველს ესპანეთში ტოვებენ

## გუგა გუგავა: მადრიდის ატლეტიკოში მოხვედრის იმედი მაქვს

**20 წლის ნახევარმცველი გუგა გუგავა ესპანეთის მესამე დივიზიონის კლუბ გრანადის „" გააგრძელებს კარიერას. გუგავა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელია, მაგრამ სპეციალისტებსა თუ გულშემატკივრებს ის უნდა ახსოვდეთ „ბორჯომიდან", სადაც შარშანდელ სეზონში იჯარით თამაშობდა. ტექნიკურმა და აგრესიულმა მარცხენა ნახევარმცველმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. განათხოვრების ვადა დასრულდა და გუგავა საკუთარ კლუბს დაუბრუნდა, თუმცა „დინამოში" არ ათამაშებდნენ. სწორედ ამან აიძულა ახალგაზრდა ფეხბურთელი, უცხოეთისკენ მიმავალი გზები ეძებნა და მიაგნო კიდეც. გუგავა ესპანეთის მესამე დივიზიონის კლუბ გრანადის „" გასინჯეს და კონტრაქტიც შესთავაზეს. დანარჩენზე კი თავად მოგვითხრობს...**


გუგა გუგავა

**- გუგა, ვიდრე ესპანურ ისტორიებზე გადავალთ, ჯერ ის გვითხარი, „დინამოში" როგორ მოხვდი?**

- ექვსი წელი „ნორჩ დინამოელში" ავთანდილ ქანთარია და დავით სხიერელი მავარჯიშებდნენ, შემდეგ კი თამაზ კოსტავასა და თენგიზ კაციასთან ჩამოვყალიბდი, როგორც ფეხბურთელი. ამის შემდეგ „დინამოს" აკადემიაში ამიყვანეს. ძირითადში ვერ ვხვდებოდი და „ბორჯომში" გამანათხოვრეს. წელს დამაბრუნეს, თუმცა არ მათამაშებდნენ და ამიტომაც დავფიქრდი, რომ დროზე უნდა წავსულიყავი საქართველოდან.

**- ესპანეთში როგორ მოხვდი?**

- სრულიად შემთხვევით. ჩემს ნათესავს იქ სამშენებლო კომპანია აქვს და საქმიანი კავშირებიც გააჩნია. ასე გაიცნო გრანადის „ატლეტიკოს" პრეზიდენტი, ჩემ შესახებ უთხრა და გასინჯვაზეც დაითანხმა. ეტყობა, საქართველოს ყველაზე ცნობილი კლუბის ფეხბურთელი „ატლეტიკოს" პრეზიდენტისთვის საინტერესო აღმოჩნდა. ესპანეთი საქართველო არაა და ნაცნობობა არ ჭრის. თუ არ მოეწონებათ, კლუბში პრეზიდენტის შვილსაც არ გააჩერებენ. ესპანეთში დეკემბერში წავედი და წინასწარ ვიცოდი, რომ 3 თვის განმავლობაში დამაკვირდებოდნენ. თუმცა სულ რაღაც 4 ვარჯიშისა და 2 საკონტროლო შეხვედრის შემდეგ გუნდში დამტოვეს. პირველი წვრთნის შემდეგ ძალიან დავიბენი, იქაურები ბურთს ისე კარგად ფლობდნენ, სწრაფად და ერთი შეხებით თამაშობდნენ, გავიფიქრე, აქ დარჩენის შანსი არ მაქვს-მეთქი. საბოლოოდ, სისწრაფის გამო დამტოვეს. თავიდან ჩემმა კონკურენტებმა ძლიერი შთაბეჭდილება დატოვეს. ძალიან სწრაფები არიან. ამან კიდევ უფრო დამაფრთხო. თუმცა მეორე დღეს ვარჯიში შედარებით გამიადვილდა. მერე ვითამაშე, გოლი გავიტანე და 2 საგოლე გადაცემაც გავაკეთე, ჰოდა, ცოტათი ამოვისუნთქე კიდეც. მეორე შეხვედრა 2:2 დასრულდა და ორივე ბურთი მე გავიტანე. მაშინ უკვე მივხვდი, რომ დამტოვებდნენ. ანუ, სამი თვის ნაცვლად, ჩემი საკითხი სულ რაღაც ერთ კვირაში გადაწყდა.

**- გრანადის „ატლეტიკო" რა გუნდია?**

- სეგუნდა დივიზიონიდან წელს გავარდა, მაგრამ პერსპექტიული გუნდი ჩანს, რადგან მადრიდის „ატლეტიკოს" პარტნიორია და ფეხბურთელებს უზრდის. როგორც მითხრეს, ამაზე კონტრაქტიც აქვთ გაფორმებული და წელს ორი ფეხბურთელი გაუშვეს კიდეც მადრიდში. ეს პერსპექტივა მეც ძალიან მხიბლავს. რა თქმა უნდა, საბოლოოდ სწორედ მადრიდის „ატლეტიკოში" თამაშზე ვოცნებობ. საკონტროლო შეხვედრების შემდეგ უფრო მაღალ დონეზე თამაშის იმედი გამიჩნდა. ბუნებრივია, ბევრი რამ ჩემზეა დამოკიდებული, მაგრამ შანსი უკვე არის. მწვრთნელმა მითხრა - შენი კონკურენტები ერთ ადგილზე გაჩერდნენ, შენ კი ყოველდღე სულ უფრო უკეთ გამოიყურებოდი, იზრდები, როგორც ფეხბურთელი და ამიტომაც დაგტოვეთო. რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა და იმედიც ამან გამიჩინა. შეუძლებელია, იქ ფეხბურთელი არ გაიზარდოს, ისეთი პირობებია.

**- პირობებზეც ვისაუბრებთ. მაგრამ ჯერ ის გვითხარი, „დინამომ" იოლად გაგიშვა? კონტრაქტი დაგისრულდა?**

- ესპანელებმა „დინამოსთან" მოილაპარაკეს და როგორც მითხრეს, ჩემი ტრანსფერი უკვე გამოსყიდულია. აქ 18 კაცში კი ვხვდებოდი, მაგრამ არ მათამაშებდნენ. ეტყობა, ამიტომაც არ შემიშალეს ხელი. სამი დღის წინ მივედი „დინამოს" ხელმძღვანელობასთან და დავემშვიდობე.

**- „ატლეტიკოსთან" რამდენწლიან კონტრაქტს აფორმებ?**

- ეს ჩემზეა დამოკიდებული. მითხრეს, ხელშეკრულების ხანგრძლივობა თავად აირჩიეო. სხვათა შორის, გრანადის მეორე გუნდი სეგუნდა დივიზიონში ასპარეზობს და კონტრაქტი მისმა პრეზიდენტმაც შემომთავაზა. ძალიან მინდოდა იქ თამაში, ეს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეორე ლიგაა, მაგრამ მადრიდის „ატლეტიკოში" გადასვლის პერსპექტივის გამო, გრანადაში დარჩენა ვამჯობინე. საქართველოდან წასვლის შემდეგ ესპანურ ფეხბურთთან და საერთოდ, ქვეყანასთან შესაგუებლად დრო მჭირდება. ენაც კარგად მინდა ვისწავლო. ასე უცებ სეგუნდა დივიზიონში გადასვლა გაუმართლებელიც იქნებოდა. ისე, ესპანეთის მესამე დივიზიონის დონითაც გაოცებული დავრჩი. ნიშნის მოგებით კი არ ვამბობ, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატზე ბევრად უკეთესი პირველობაა. 30-40-ათასიანი სტადიონები ბოლომდე ივსება და ისეთი საფეხბურთო ატმოსფეროა, მივხვდი - ძალიან ბედნიერი ვარ, აქაურობას რომ გავეცალე. ყველა შეხვედრას ტელევიზია და პრესა აშუქებს, თამაშებს პრიმერა დივიზიონის გუნდების სელექციონერები ესწრებიან... იქ აშკარად გრძნობ, რომ ფეხბურთს მხოლოდ საკუთარი თავისთვის არ თამაშობ. ეს დიდი სტიმული და პასუხისმგებლობაა.

**- სავარჯიშო პირობებზე რას იტყოდი?**

- საქართველოს შემდეგ, თავი ზღაპარში მეგონა. მესამე დივიზიონის კლუბს 6 სავარჯიშო მოედანი აქვს - ბუნებრივიც და ხელოვნურიც. ცალკეა სათამაშო მოედანი, ცალკე - სავარჯიშო. საღამოს ცხრის ნახევარზე, ხელოვნური განათების ქვეშ გვავარჯიშებდნენ, რადგან პროგრამით ასე იყო გათვალისწინებული. ამის შემდეგ ჯაკუზსა და აუზში გვიშვებდნენ ძალების აღსადგენად... მოკლედ, მთელი სისტემაა, რომელშიც შეუძლებელია, არ გაიზარდო. 5 ვარჯიშის შემდეგ უკეთესობა ვიგრძენი და თავადაც მიკვირდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ასეთ პირობებში ვარჯიში მიხაროდა. მეორეცაა - ესპანელები ძალიან თბილი და ვაჟკაცი ხალხია. თუმცა ფეხბურთში კონკურენტის გამოჩენა არავის უხარია და სიმართლე გითხრათ, მეც ვფიქრობდი, რომ ცუდად მიმიღებდნენ. ჩემდა გასაოცრად, ძალიან თბილად დამხვდნენ. ჩემი უშუალო კონკურენტი „ატლეტიკოს" კაპიტანია, თავად მოვიდა, ძმასავით გადამეხვია და ყველას უთხრა, რომ ჩემთვის პასები მოეცათ. მერე სახლშიც დამპატიჟა - შურის და ბოღმის ნატამალიც არ გააჩნია. ერთმა ვეტერანმა კი, რომელსაც „ბარსელონაში" უთამაშია, წყვილში ვარჯიში შემომთავაზა და ამით თანადგომა მაგრძნობინა. რა თქმა უნდა, ასეთმა მიღებამ გამათამამა, ბიჭების ნახვა და ვარჯიში მიხაროდა. მაგრამ იყო ერთი მომენტიც -უხერხულობა მხოლოდ სახელის გამო ვიგრძენი. ესპანეთში „ა"-ზე მხოლოდ ქალის სახელი მთავრდება და ასე გავხდი „ატლეტიკოში" - გიორგი. ესპანელები ხომ ძალიან შემიყვარდა, ბასკებმა კი პირდაპირ გამაოცეს. მგონი, მართლა ჩვენი ნათესავები არიან - ქცევებით, ურთიერთობებით, ტრადიციის სიყვარულით, ვაჟკაცურობით ძალიან გვგვანან. ჩემი ნათესავი ტაქსით ქართველ მეგობართან ერთად მგზავრობდა და რა თქმა უნდა, ქართულად ელაპარაკებოდა. 80 ევრო უნდა გადაეხადათ, მაგრამ მძღოლი ბასკი აღმოჩნდა და ფული არ გადაახდევინა - ლაპარაკს ვუსმენდი და მივხვდი, ქართველები უნდა იყოთ, ჩვენი ძმები ხართ და ფულს როგორ გამოგართმევთო. წარმოგიდგენიათ? ასეთი ხალხია... საყურიან კაცს რომ დაინახავენ, დასცინიან - ნამდვილი ესპანელიაო. ერთხელ მათ კამათს შევესწარი და თავი თბილისური უბნის ბირჟაზე მეგონა. როგორც მითხრეს, დაახლოებით 340-მდე საერთო სიტყვა გვაქვს. ბევრს მიაჩნია, რომ საერთო წინაპარი გვყავდა და მგონი, ასეც არის.

**- ესპანეთში როდის მიემგზავრები?**

- ჯერ იქაურმა ფეხბურთის ფედერაციამ თამაშის უფლება უნდა მომცეს, მერე შრომის ვიზას ავიღებ და წავალ...

**მერაბ მამულაშვილი**




ინდივიდუალური მომზადება **კარატეში**

ყალიბდება 10-კაციანი (ორივე სქესისთვის) ელიტარული ჯგუფი, რომელიც ფიზიკური მომზადების გარდა, გაივლის ზოგად ფსიქოლოგიას, ავტოტრენინგს, თერაპიის რამდენიმე სპეციფიკურ ფორმას.

ჯგუფს აყალიბებს საერთაშორისო კატეგორიის ინსტრუქტორი, ექსპერტი მამუკა დავითიშვილი-ბაგრატიონი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება აღმოსავლეთის ქვეყნებში.

დაგვიკავშირდით: ოფისი (Tel/Fax) 963 189
ინსტრუქტორი 895 131 662

მისამართი: ქ. თბილისი, არმიის სპორტული კომპლექსი, უნივერსიტეტის 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A XIX ტური

# ADDIO, MILAN!

## კაკა სან სიროს დაემშვიდობა? მოურინიომ, ჩემი ბრალიც იყოო...



შაბათ საღამოს „სან სიროზე" შეკრებილ მილანურ ტიფოზერიას არა იმდენად „ფიორენტინასთან" მატჩის შედეგი აინტერესებდა, რამდენადაც **კაკას** თემა - შესაძლო სუპერტრანსფერი, რომელშიც „მანჩესტერ სიტი" 108 მილიონ გირვანქას (!) იძლევა. წავა თუ დარჩება? ეს კითხვა ღრღნით დღეს „როსონერის" ქომაგებს, რომლებმაც ბრაზილიელ ვარსკვლავს არნახული ოვაციები მოუწყვეს. ძნელი სათქმელია, როგორ იმოქმედებს ეს კაკაზე - ვითომ აუჩუყდება გული და დარჩება? არადა, ისე ჩანდა, თითქოს კაკა „მილანის" მაისურით ბოლო თამაშს ატარებდა. ნამატჩევსაც, მისი ჟესტები დამშვიდობებას უფრო ჰგავდა...

რამდენიმე დღის წინ, როცა გაცხადდა, რომ **ადრიანო გალიანი** და დირექტორატი მანჩესტერელთა წინადადების განხილვას შეუდგნენ, „მილანის" ოფისთან ასობით ტიფოზმა მოიყარა თავი. ერთი მხრივ, ისინი სთხოვდნენ კაკას, რომ ინგლისში გადაბარგებაზე უარი ეთქვა, ხოლო მეორე მხრივ, მკაცრად აფრთხილებდნენ „როსონერის" უფროსებს, რომ დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ ინგლისელ კოლეგებთან ურთიერთობა. მეტიც, არეულობა იყო შაბათის მატჩის შესვენებისას, როცა რამდენიმე რადიკალი ფანი VIP-ლოჟაში შეჭრასა და გალიანისთან ანგარიშსწორებას შეეცადა. ისინი პოლიციამ დააკავა, თუმც გალიანის პოზიცია არ შეუცვლია. მისი გუშინდელი კომენტარით ვიგებთ, რომ „მილანი" სერიოზულად ფიქრობს კაკას გაყიდვაზე:

*„დამშვიდდით, კაკა „მილანის" ფეხბურთელია. არავის არაფრისთვის ხელი არ მოუწერია, არც კლუბს და არც მოთამაშეს. თუმც არ დაგიმალავთ, რომ წინადადება განხილვის პროცესშია. ჯერ კიდევ არის დრო და ვნახოთ, რა მოხდება".*

ზოგიერთი წყარო კი ამტკიცებს, რომ ორშაბათი გადამწყვეტი დღეა - კაკას მამა და აგენტი ბრაზილიიდან ჯერ მილანში ჩაფრინდებიან, მერე კი მანჩესტერს მიაშურებენ და კონტრაქტსაც გააფორმებენ. თუმცა გალიანი ეჭვობს, რომ ორშაბათს რაიმე განსაკუთრებული მოხდება. ის მედიას მოვლენათა დრამატიზებაში ადანაშაულებს. არადა, სიტუაციას თავად ხდის დრამატულს, როცა ამბობს - განვიხილავთ და ვნახავთო...

კაკას შესაძლო წასვლაზე კომენტარს აკეთებს **კარლო ანჩელოტიც**. ისიც შიშობს, რომ: *„ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ჯერ არაფერია გარკვეული, მაგრამ იმედი მაქვს, რომ „რიკი" ჩვენთან დარჩება. „მილანისთვის" ის უმნიშვნელოვანესი მოთამაშეა".*

რა თქმა უნდა, ანჩელოტისთვის ასეა, მაგრამ გალიანის მდგომარეობაშიც შევიდეთ. როგორ გინდა, უარი თქვა 108 მილიონ გირვანქაზე, როცა გლობალური ფინანსური კრიზისი ძალებს იკრებს. თან „მილანს" სერიოზული ვალებიც აქვს. ასე რომ, გავუგოთ ვიცე-პრეზიდენტს, რომელიც ყველაზე უკეთ გრძნობს კლუბის მაჯისცემას. აქედან გამომდინარე, ეგებ, კაკას არც არაფერს ეკითხებიან? იტალიური მედია წერს კიდეც - გალიანი ბრაზილიელს ურჩევს, „სიტის" წინადადებას თავადაც დათანხმდესო...

ერთი აბზაციც და მოვრჩეთ ამაზე. საერთოდ, ნებისმიერ ტრანსფერს ორგვარი მოტივაცია აქვს - სპორტული და ფინანსური. თუ კაკას გულით სწადია „მანჩესტერ სიტიში" გადასვლა (ეჭვს ისიც ამძაფრებს, რომ ფეხბურთელი კომენტარებს არ აკეთებს), გამოდის, რომ მისთვის მთავარი ფინანსებია. ისე, როცა „მილანიდან" მიდიხარ, თან ჯერ კარიერის დასრულებაზეც არ ფიქრობ, როგორც მინიმუმ, ნაკლებ გუნდში არ უნდა გადახვიდე. „სიტის" კი რისი ამბიცია აქვს? - მეთერთმეტე ადგილზეა და მხოლოდ 4 ქულა აშორებს გასავარდნ ზონას. რისთვის უნდა მიდიოდეს კაკას დონის ფეხბურთელი ასეთ კლუბში, თუ არა ფულისთვის? მაგრამ ეს მისი საქმეა მხოლოდ, კაცია და გუნება.

ახლა კი ორიოდ სიტყვით მატჩზეც. ანჩელოტიმ **რონალდინიო** სასტარტოში არ დააყენა და შუა ხაზი გააძლიერა. ის ამჯერზეც ენდო **ბექჰემს**, რომელსაც განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია. კოლეგასთან შედარებით, **ჩეზარე პრანდელის** გაცილებით მეტი თავსატეხი ჰქონდა - ტრავმირებულები არიან მეკარე **ფრეი** და ფორვარდი **მუტუ**. როგორ გინდა, ასეთ მდგომარეობაში „მილანის" წინააღმდეგ ბრძოლა? მაგრამ „ვიოლამ" იბრძოლა და ალალი იქნებოდა, „სან სიროდან" ქულაც წაეღო...

მატჩის ერთადერთი გოლი მე-7 წუთზე გავიდა, როცა **პატომ** (19 წლის ბრაზილიელის მე-5 გოლი ბოლო 3 მატჩში!) **პირლოს** გადაცემა მიიღო და **სტორარის** შანსი არ დაუტოვა. თუმცა მანამდე იყო ეპიზოდი, რომელსაც ბევრი მითქმა-მოთქმა შეიძლება მოჰყვეს - **აბიატისთან** პირისპირ გასული **იოვეტიჩი** გაზონზე აღმოჩნდა. გამოცდილმა არბიტრმა **რობერტო როზეტიმ** დაუყოვნებლივ პენალტის ნიშნულისკენ გაიშვირა ხელი და ის იყო, მეკარისთვის წითელი ბარათიც უნდა ეჩვენებინა, რომ ლაინსმენისგან სიგნალი მიიღო. როზეტიმ თანაშემწესთან მიირბინა და რამდენიმე წამში გადაწყვეტილება შეცვალა. უცნაური იყო პრანდელის კომენტარი - ვაღიარებ, რომ სიტუაცია პენალტს არ ჰგავდა, მაგრამ არბიტრი ასე არ უნდა ცვლიდეს პოზიციასო. იქვე, „ფიორენტინის" თავკაცმა გაიხსენა ეპიზოდი, როცა როზეტიმ არ დადო „ნაღდი" 11-მეტრიანი, **ფავალიმ მონტოლივო** რომ წააქცია...

შაბათის მეორე მატჩშიც „კინკილა" გოლი გავიდა. „სიენამ" შეცვლაზე შესული **ფრიკის** ზუსტი დარტყმის წყალობით „რეჯინა" დაამარცხა და ოთხმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა. სხვათა შორის, ეს ის ლიხტენშტაინელი ფორვარდია, **მარკო ჯამპაოლო** ამ სეზონში ნაკლებად რომ სწყალობს. აქვე ისიც აღვნიშნოთ, რომ ფრიკი ამ გოლს მეტოქე მცველთა სრულ უსუსურობას უნდა უმადლოდეს.

კვირის მთავარ მოვლენად კი „ინტერის" ბერგამოული კატასტროფა (1:3) იქცა. ლომბარდიული დერბი იყო „ნერაძურის" ყველაზე ცუდი მატჩი, რაც კი ამ გუნდს **ჟოზე მოურინიოს** თავკაცობით უთამაშია. ნეგატიური ნიშნები ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ გამოჩნდა, როცა „ინტერმა" შინ „კალიარის" ვერ მოუგო (1:1), მერე კი რის ვაი-ვაგლახით, მხოლოდ დამატებით დროში შეძლო თასიდან „ჯენოას" გაგდება. როგორც ჩანს, მოურინიომ ორკვირიანი პაუზა ჯეროვნად ვერ გამოიყენა. „ინტერს" წაგება არ ჰქონდა 28 სექტემბრის შემდეგ, როცა მილანურ დერბიში დამარცხდა (0:1), მერე კი მოგებათა 8-მატჩიანი სერიაც გამოაცხო... ცხადია, მუდმივი არაფერია და სეზონსაც ერთი ამოსუნთქვით ვერ ჩაატარებ, როცა იქნება, სადღაც უნდა დაამუხრუჭო... მაგრამ ეს ნამეტანი ხმაურიანი მუხრუჭი იყო. თუმცა ისეც ნუ გავიგებთ, თითქოს ყველაფერი „ინტერის" ბრალია. ისიც ვთქვათ, რომ **ლუიჯი დელ ნერის** ბიჭებს გუშინ ყველაფერი გამოსდიოდათ. ჟოზე კი გაკვირვებისგან მხრებს იჩეჩავდა - ვერ გამიგია, რა მოხდაო:

*„არ შემიძლია, ავხსნა, რა დაგვემართა პირველ ნახევარ საათში. ნორმალური იქნებოდა, თუ ასეთ შემთხვევაში მეტოქის დამსახურებაზე, კარგ თამაშზე ვისაუბრებდი, მაგრამ პირველ 40 წუთში იმდენად ცუდად გავისარჯეთ, ფაქტობრივად, „ატალანტას" 3:0 ლანგრით მივართვით. სასაცილო გოლები გავუშვით, უამრავი უპატიებელი შეცდომა დავუშვით და... შესაბამისი საზღაურიც გავიღეთ. გამორჩევით, არავის ვადანაშაულებ, მეც ამ გუნდის ნაწილი ვარ და პასუხისმგებლობის წილი ჩემზეცაა. ახლა კი მოგვეცით დრო, რათა ყველაფერი გავაანალიზოთ და ეს დღე დავიწყებას მივცეთ".*

„ინტერის" კრახით მცირე სარგებელი ნახა „იუვენტუსმა", რომელმაც რომაული ზავით ლიდერთან ჩამორჩენა სამ ქულამდე შეამცირა. ანგარიში საჯარიმო დარტყმით **ლედესმამ** გახსნა. ტურინელთა მეკარე ჩაწოდებას ელოდა, მაგრამ ბურთი კარში რომ დაინახა, მერე მიხვდა, რაშიც იყო საქმე. ხუთ წუთში წონასწორობა აღადგინა **მელბერგმა** (პირველი გოლი სერია A-ში), რომელმაც **მარკიონის** კუთხურს თავური შეაგება - 1:1. თამაში ასეც მორჩა („ქალბატონმა" მოგებათა 5-მატჩიანი სერია შეწყვიტა). თუმცა ბოლო წუთებში საკამათო ეპიზოდი იყო, როცა **როკი** საჯარიმოში შეიჭრა და იუვენტუსელ **მოლინაროსთან** ჭიდილში გაზონზე აღმოჩნდა. თითქოს, ამ უკანასკნელმა „ლაციალეს" ფორვარდს ხელი ჰკრა... მაგრამ გამოცდილმა არბიტრმა **ემიდიო მორგანტიმ** სხვაგვარად განსაჯა - შეიძლება, გამბედაობა არ ეყო...

ზედიზედ მეორე მატჩია, „რომას" თამაშებს **ბაპტიშტა** იგებს. შუა კვირაში „ჯალოროსიმ" „სამპდორიასთან" გამოტოვებული შეხვედრა სწორედ ბრაზილიელის დუბლით მოიგო, ახლა იყო და, უკანასკნელ წუთებზე შეძლო გამარჯვების გოლის გატანა, თან რა გოლის! - **მექსეს** პასი მან კარისკენ ზურგით მდგომმა, მკერდით მიიღო და ნახევარბრუნით „მაკრატელა" დასცხო. ამას „ტორინოს" მცველ **ბარონეს** სასტიკი პროტესტი მოჰყვა - ბაპტიშტამ სახიფათოდ ითამაშა და გოლი არ უნდა ჩაგეთვალაო, არბიტრს ეცა, საპასუხოდ კი წითელი ბარათი იხილა. მოკლედ, „რომა" მე-8 ადგილზე აღზევდა. გაგიკვირდებათ და, **ლუჩანო სპალეტის** გუნდი ამ სეზონში ესოდენ მაღლა არ ყოფილა.

**მილიტო** ტრავმირებულია, მაგრამ „ჯენოა" მაინც იგებს. მატჩის მიწურულს „ლეჩე" გააფთრებით უტევდა და ქულის გადარჩენაც შეეძლო, მაგრამ **იურიჩმა** და **სკულიმ** მასპინძელი კონტრშეტევაზე გამოიჭირეს და უკანასკნელმა თამაშს საბოლოო წერტილი დაუსვა.

„კიევო"-"ნაპოლი" მეტისმეტად ბინძური თამაში იყო - უამრავი ჯარიმით, ორი გაძევებით, არჩათვლილი გოლებითა და ორი პენალტით, რომელმაც ვერონელებს იშვიათი გამარჯვება მოუტანა.

9 ტურია, „ბოლონიას" **სინიშა მიხაილოვიჩი** თავკაცობს და ამ პერიოდში ემილიელებს ერთი მატჩიც არ წაუგიათ. გუშინ კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი ვეტერანმა **დი ვაიომ**, ვინაც ბომბარდირთა დავაში უფრო გაიმყარა პოზიციები.

„სამპდორია" კრიზისშია და **ვალტერ მაძარის** ეს პოსტის დატოვებად შეიძლება დაუჯდეს. უარეს დღეშია „უდინეზეს" მწვრთნელი **პასკუალე მარინო**, რომლის გუნდსაც აგერ უკვე 10 ტურია, არ გაუმარჯვია.

**გიორგი ბელაშვილი**

### მომდევნო ტური

24 იანვარი. **რეჯინა-კიევო, იუვენტუსი-ფიორენტინა.** 25 იანვარი. **სიენა-ატალანტა, ლაციო-კალიარი, ჯენოა-კატანია, ნაპოლი-რომა, პალერმო-უდინეზე, ლეჩე-ტორინო, ბოლონია-მილანი, ინტერი-სამპდორია.**

### სიენა-რეჯინა 1:0

**სიენა:** მანიტა-7, სუნიგა-6.5, პორტანოვა-6.5, ბრანდაუ-6, დელ გროსო-5.5, ვერგასოლა-6, კოდრეა-5.5 (59. იაროლიმი-6), გალოპა-6, ხარჯა-5.5 (85. ბარუსო), გეზალი-6, მაკარონე-5 (59. ფრიკი-6.5).

**რეჯინა:** კამპანიოლო-6, ლანძარო-5, კ. ვალდესი-5 (80. კრაიჩიკი), სანტოსი-5.5, კოსტა-6, სესტუ-6.5, ბარეტო-6, კარმონა-6, ბარილა-4.5 (77. დი ჯენარო), ბრიენცა-6, კორადი-6.5 (74. კოცა-6).

**გოლი:** 1:0 ფრიკი (75)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 12-20; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 17-10 (6-5); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 9 000

### მილანი-ფიორენტინა 1:0

**მილანი:** აბიატი-7, ძამბროტა-6.5, მალდინი-6, ფავალი-6, იანკულოვსკი-6, ბექჰემი-6 (81. სენდეროსი), პირლო-6, ამბროზინი-6, ზეედორფი-5 (70. ფლამინი-6), კაკა-6.5, პატო-7.5 (77. რონალდინიო).

**ფიორენტინა:** სტორარი-6, კომოტო-5.5, გამბერინი-6, კროლდრუპი-6, ვარგასი-6, კუძმანოვიჩი-5.5 (72. ბონაცოლი-6), ფელიპე მელუ-5, მონტოლივო-6.5, სანტანა-5.5 (82. გობი), იოვეტიჩი-6.5, ჯილარდინო-5.

**გოლი:** 1:0 პატო (7)

**გაძევება:** იანკულოვსკი (90. მილანი)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 6-9; **ჯარიმა:** 14-21; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 16-16 (5-6); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 65 692

### ატალანტა-ინტერი 3:1

**ატალანტა:** ფ. კოპოლა-7, დარიჩი-7, ტალამონტი-7.5, თ. მანფრედინი-7, ბელინი-7 (85. რივალტა), ხ. ვალდესი-7 (50. დე აშენტისი-7), პინტუ-7, კ. დონი-8, გუარენტე-7.5, პადოინი-7, ფლოკარი-8.5 (89. ვიერი).

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-6, კორდობა-4, ბურდისო-5, მაქსველი-4 (46. ფიგუ-4.5), კამბიასო-4.5, ხ. ძანეტი-5, კივუ-4 (29. ობინა-5.5), სტანკოვიჩი-4, კრესპო-5.5 (46. ადრიანო-5.5), იბრაჰიმოვიჩი-4.

**გოლები:** 1:0 ფლოკარი (18), 2:0 კ. დონი (28), 3:0 კ. დონი (33), 3:1 იბრაჰიმოვიჩი (90)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 11-18; **თამაშგარე:** 2-9; **კარში დარტყმა:** 13-13 (6-5); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 23 000

### კიევო-ნაპოლი 2:1

**კიევო:** სორენტინო-6, ნ. ფრეი-6, მორერო-6, იეპესი-6.5, სკარდინა-6, ლუსიანო-6 (75. მანდელი-6), რიგონი-6 (65. ბენტივოლიო-6.5), პინცი-6.5, მარკოლინი-7, მ. ესპოზიტო-6.5, პელისიერი-6 (79. ლანჯელა-5.5).

**ნაპოლი:** ჯანელო-6, კონტინი-5, რინაუდო-5.5, კანავარო-6, მაჯო-6.5, ბლაზი-6 (78. პაციენცა), ჰამშიკი-4.5, გარგანო-7, ვიტალე-5.5 (75. რუსოტო-6), ლავეცი-7.5, დენისი-5 (62. სალაიეტა-6).

**გოლები:** 1:0 მარკოლინი (32-პენ), 1:1 ლავეცი (53), 2:1 მარკოლინი (74-პენ)

**გაძევება:** ჰამშიკი (55. ნაპოლი), მორერო (71. კიევო)

**გაფრთხილება:** 3-5; **კუთხური:** 1-7; **ჯარიმა:** 28-24; **თამაშგარე:** 6-0; **კარში დარტყმა:** 13-7 (4-1); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 9 544

### ლეჩე-ჯენოა 0:2

**ლეჩე:** ბენუსი-7, პოლენგი-5.5 (74. კაჩა-5), ფაბიანო-5, ა. ესპოზიტო-5, ჯულიატო-5.5, მუნარი-5 (84. პაპადოპულოსი), ძანკეტა-6, კაზერტა-6.5, ჯაკომაცი-6.5 (70. არიატი-5.5), კასტილიო-6, ტირიბოკი-6.

**ჯენოა:** რუბინიო-6, პაპასტატოპულოსი-6, ფერარი-6.5, კრიშიტო-6, ბიავა-6.5, მესტო-6.5 (83. მილანეტო), მოტა-7, იურიჩი-7.5, მ. როსი-7, ოლივერა-6 (83. სკული-7), იანკოვიჩი-7.5 (80. ვანდენ ბორე).

**გოლები:** 0:1 იანკოვიჩი (68), 0:2 სკული (90)

**გაფრთხილება:** 4-2; **კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 20-15; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 11-13 (1-4); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 8 152

### ტორინო-რომა 0:1

**ტორინო:** კალდერონი-6.5, დელაფიორე-6, დი ლორეტო-5, პრატალი (26. კოლომბო-6), ოგბონა-6, დიანა-5, ბარონე-5, ზოიმელი-6.5, ვაილატი-5.5 (59. აბატე-5.5), სტელონე-6, ამორუზო-5.5 (57. როზინა-6.5).

**რომა:** არტური-6, სისინიო-6, მექსე-6.5, ჟუანი-6, რიისე-5.5, ტადეი-5.5 (61. აკვილანი-6), დე როსი-6, ბრიგი-6 (80. კასეტი), პისარო-6.5, მენეზი-5, ბაპტიშტა-7.

**გოლი:** 0:1 ბაპტიშტა (90)

**გაძევება:** ბარონე (90. ტორინო)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 21-16; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 12-14 (2-5); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 16 000

### სამპდორია-პალერმო 0:2

**სამპდორია:** კასტელაცი-6, ლუკინი-5.5 (63. სტანკევიჩუსი-5.5), გასტელდელო-5.5, აკარდი-6, პადალინო-5.5, პალომბო-6, სამარკო-5.5 (81. მარილუნგო), დ. ფრანჩესკინი-6, პიერი-5 (68. დელვეკიო-5.5), პაცინი-5.5, კასანო-6.

**პალერმო:** ამელია-7, კასანი-6, კიაერი-6, ბოვო-5.5, ბალცარეტი-6.5, მილიაჩო-6 (90. ჯოვ. ტედესკო), ლივერანი-6, ნოჩერინო-6.5, სიმპლისიუ-6.5 (82. გუანა), ბრეშანო-7.5, კავანი-6 (85. სუჩი).

**გოლები:** 0:1 ბრეშანო (45), 0:2 ბრეშანო (58)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 12-0; **ჯარიმა:** 11-32; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 22-9 (7-4); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 21 500

### კალიარი-უდინეზე 2:0

**კალიარი:** მარკეტი-7.5, ფ. პიზანო-6.5, ლოპესი-6.5, ბიანკო-7, აგოსტინი-6, კონტი-6.5, ფინი-6.5 (90. პაროლა), ბიონდინი-7.5, კოსუ-6.5 (82. ლაძარი), აკვაფრესკა-5.5 (75. მატრი), ჟედა-6.

**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი-6, საპატა-5, ა. კოდა-6, დომიცი-6, პასკუალე-5.5, ა. დ'აგოსტინო-6.5, ობოდო-5 (46. კვალიარელა-5.5), ისლა-6.5, ასამოა-5.5 (64. ინლერი-5.5), სანჩესი-6 (69. პეპე-6), ფლორო ფლორესი-6.5.

**გოლები:** 1:0 კონტი (4), 2:0 ბიონდინი (20)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 0-3; **ჯარიმა:** 24-16; **თამაშგარე:** 5-7; **კარში დარტყმა:** 6-14 (3-3); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 10 000

### კატანია-ბოლონია 1:2

**კატანია:** ბიცარი-6, სილვესტრე-5, ტერლიცი-5 (61. პაოლუჩი-6.5), სილვესტრი-6, იცკო-5, პ. ლედესმა-5.5 (46. სარდო-5), ბიაჯანტი-6 (72. პლასმატი), კარბონი-6, ჯაკ. ტედესკო-6, მორიმოტო-6.5, მასკარა-6.

**ბოლონია:** ანტონიოლი-7.5, ძენონი-5.5, მორასი-6, ტერცი-5.5, ბომბარდინი-6, ადაილტონი-6.5 (84. როდრიგესი), ვოლპი-6, მინგაცინი-5.5, ამოროზო-7 (79. კაზარინი), ვალიანი-6.5, დი ვაიო-6.5.

**გოლები:** 0:1 დი ვაიო (49), 0:2 ადაილტონი (54), 1:2 პაოლუჩი (85)

**გაძევება:** იცკო (37. ბოლონია)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 9-8; **ჯარიმა:** 18-20; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 28-12 (7-6); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 17 000

### ლაციო-იუვენტუსი 1:1

**ლაციო:** კარისო-6, ლიხტშტაინერი-6, დიაკიტი-6.5, როზენალი-5.5, რადუ-5, დაბო-5.5 (71. დე სილვესტრი-5.5), კ. ლედესმა-6.5, მეგნი-6 (63. ბროკი-6), პანდევი-5, როკი-5.5, სარატე-6.5 (77. ფოჯა-5).

**იუვენტუსი:** მანინგერი-5, არიაუდო-6.5, მელბერგი-6.5, ლეგროტალიე-6.5, მოლინარო-6.5, სისოკო-5.5, მარკიონი-6.5, კ. ძანეტი-6 (71. მარკიზიო-6), ნედვედი-5, დელ პიერო-5 (81. ჯოვინკო), ამაური-5.5.

**გოლები:** 1:0 კ. ლედესმა (25), 1:1 მელბერგი (30)

**გაფრთხილება:** 4-3; **კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 17-18; **თამაშგარე:** 7-1; **კარში დარტყმა:** 7-12 (4-4); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 60 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 19 | 14 | 4 | 2 | 33-15 | 43 |
| 2. იუვენტუსი | 19 | 12 | 4 | 3 | 32-14 | 40 |
| 3. მილანი | 19 | 11 | 4 | 4 | 31-20 | 37 |
| 4. ჯენოა | 19 | 10 | 5 | 4 | 29-17 | 35 |
| 5. ნაპოლი | 19 | 10 | 3 | 6 | 27-18 | 33 |
| 6. ფიორენტინა | 19 | 10 | 2 | 7 | 26-17 | 32 |
| 7. ლაციო | 19 | 9 | 4 | 6 | 30-25 | 31 |
| 8. რომა | 19 | 9 | 3 | 7 | 26-25 | 30 |
| 9. პალერმო | 19 | 9 | 2 | 8 | 26-23 | 29 |
| 10. ატალანტა | 19 | 8 | 3 | 8 | 26-23 | 27 |
| 11. კალიარი | 19 | 7 | 4 | 8 | 22-22 | 25 |
| 12. კატანია | 19 | 7 | 4 | 8 | 19-23 | 25 |
| 13. უდინეზე | 19 | 6 | 5 | 8 | 26-29 | 23 |
| 14. სიენა | 19 | 6 | 4 | 9 | 14-19 | 22 |
| 15. სამპდორია | 19 | 5 | 5 | 9 | 16-23 | 20 |
| 16. ბოლონია | 19 | 4 | 7 | 8 | 22-29 | 19 |
| 17. ლეჩე | 19 | 3 | 8 | 8 | 16-28 | 17 |
| 18. ტორინო | 19 | 4 | 3 | 12 | 18-33 | 15 |
| 19. კიევო | 19 | 3 | 4 | 12 | 12-28 | 13 |
| 20. რეჯინა | 19 | 3 | 4 | 12 | 17-37 | 13 |

**ბომბარდირები:** 14 - დი ვაიო (ბოლონია); 12 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), ჯილარდინო (ფიორენტინა), მილიტო (ჯენოა); 11 - ამაური (იუვენტუსი); 10 - ფლოკარი (ატალანტა); 9 - პატო (მილანი); 8 - კორადი (რეჯინა), დი ნატალე (უდინეზე), მიკოლი (პალერმო), პანდევი (ლაციო), სარატე (ლაციო); 7 - აკვაფრესკა (კალიარი), დელ პიერო (იუვენტუსი), დენისი (ნაპოლი), ჰამშიკი (ნაპოლი), კაკა (მილანი), მასკარა (კატანია), რონალდინიო (მილანი), სკული (ჯენოა).

## სერია B

### XXI ტური

**ლივორნო-ასკოლი 1:0**

გოლი: 1:0 როსინი (61)

გაძევება: ჯალომბარდო (40. ასკოლი)

**სალერნიტანა-მანტოვა 2:1**

გოლები: 1:0 დი ნაპოლი (38), 2:0 სკაპრა (43), 2:1 კორონა (86)

გაძევება: ლოკატელი (64. მანტოვა), კარიდი (88. მანტოვა)

**ანკონა-ალბინოლეფე 1:0**

გოლი: 1:0 ნასი (26)

**ბრეშა-პიზა 4:0**

გოლები: 1:0 ძობოლი (23), 2:0 პოსანცინი (33), 3:0 ნსერაკო (72), 4:0 ნსერაკო (73)

გაძევება: ტრევიზანი (56. პიზა)

**ემპოლი-აველინო 1:1**

გოლები: 0:1 სფორცინი (23), 1:1 ლოდი (27)

**პარმა-სასუოლო 1:1**

გოლები: 1:0 კ. ლუკარელი (61-პენ), 1:1 ერპენი (90)

გაძევება: ა. ლუკარელი (77. პარმა)

**რიმინი-ჩიტადელა 1:0**

გოლები: 1:0 რიკიუტი (10)

გაძევება: მილონე (90. რიმინი), კერუბინი (90. ჩიტადელა)

**პიაჩენცა-ვიჩენცა 1:0**

გოლი: 1:0 გუსმანი (80)

**ტრევიზო-ბარი 0:2**

გოლები: 0:1 პიანუ (29-საკ. კარში), 0:2 მეცანო (88-საკ. კარში)

გაძევება: ბონუჩი (88. ტრევიზო)

**მოდენა-ტრიესტინა 0:0**

**ფროზინონე-გროსეტო დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივორნო | 21 | 9 | 11 | 1 | 28-14 | 38 |
| 2. ბარი | 21 | 10 | 7 | 4 | 23-17 | 37 |
| 3. ბრეშა | 20 | 10 | 5 | 5 | 25-19 | 35 |
| 4. პარმა | 21 | 8 | 10 | 3 | 25-17 | 34 |
| 5. სასუოლო | 20 | 9 | 6 | 5 | 32-21 | 33 |
| 6. ემპოლი | 21 | 9 | 6 | 6 | 26-22 | 33 |
| 7. გროსეტო | 20 | 9 | 5 | 6 | 32-30 | 32 |
| 8. ტრიესტინა | 21 | 8 | 8 | 5 | 28-22 | 32 |
| 9. ვიჩენცა | 21 | 7 | 8 | 6 | 25-14 | 29 |
| 10. რიმინი | 21 | 8 | 5 | 8 | 26-28 | 29 |
| 11. ალბინოლეფე | 21 | 6 | 9 | 6 | 19-20 | 27 |
| 12. ანკონა | 21 | 7 | 5 | 9 | 28-26 | 26 |
| 13. მანტოვა | 21 | 6 | 8 | 7 | 20-21 | 26 |
| 14. პიზა | 21 | 7 | 5 | 9 | 27-32 | 26 |
| 15. პიაჩენცა | 21 | 6 | 6 | 9 | 16-20 | 24 |
| 16. ფროზინონე | 20 | 5 | 8 | 7 | 22-27 | 23 |
| 17. სალერნიტანა | 21 | 6 | 5 | 10 | 20-28 | 23 |
| 18. ჩიტადელა | 21 | 4 | 9 | 8 | 15-19 | 21 |
| 19. აველინო | 21 | 4 | 9 | 8 | 20-30 | 21 |
| 20. ასკოლი | 21 | 5 | 6 | 10 | 13-23 | 21 |
| 21. ტრევიზო | 21 | 4 | 10 | 7 | 19-25 | 18* |
| 22. მოდენა | 21 | 3 | 7 | 11 | 24-36 | 16 |

*შენიშვნა: * - ტრევიზოს დაკლებული აქვს 4 ქულა*

**ბომბარდირები:** 13 - ვანტაჯატო (რიმინი); 10 - ლოდი (ემპოლი), კ. ლუკარელი (პარმა); 9 - ბარეტო (ბარი), მასტრონუნციო (ანკონა), სანსოვინი (გროსეტო), ტავანო (ლივორნო); 8 - ბრუნო (მოდენა), კარაჩოლო (ბრეშა), დი ნაპოლი (სალერნიტანა), ნასი (ანკონა), ზგრინია (ვიჩენცა), ძამპანი (სასუოლო).

## სერია C1/A

### XIX ტური

პრო სესტო-პორტოგრუარო 1:1; ვენეცია-კრემონეზე 1:1; ლენიანო-ლეკო 0:2; ნოვარა-მონცა 1:2; ლუმეცანე-პადოვა 2:0; პრო პატრია-რეჯანა 0:1; პერგოკრემა-სამბენედეტეზე 2:1; სპალ-ვერონა 0:1; ჩეზენა-რავენა დღეს.

## სერია C1/B

### XIX ტური

ვირტუს ლანჩანო-ბენევენტო 0:1; პერუჯა-კავეზე 0:0; ტარანტო-ფოლინიო 3:0; ტერნანა-იუვე სტაბია 2:1; ფოჯა-პესკარა 2:0; კროტონე-პისტოიეზე 2:1; გალიპოლი-პოტენცა 1:0; პაგანეზე-რეალ მარჩანიზე 0:0; არეცო-სორენტო 6:5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლიგა BBVA. XIX ტური

# ბარსას მორიგი რეკორდი

## გვარდიოლამ რეალის მიღწევა გააუმჯობესა



„ბარსელონამ" მორიგი გენიალური მატჩი ჩაატარა და დაუვიწყარი გამარჯვება მოიპოვა. კატალონიელებმა მორიგი რეკორდი დაამყარეს. მას შემდეგ, რაც პრიმერა დივიზიონში 3-ქულიანი სისტემა დაინერგა, 19 ტურის შემდეგ 50 ქულა არავის ჰქონდა მოპოვებული. ეს ამოცანა ახალგაზრდა და ჯერაც გამოუცდელმა **პეპ გვარდიოლამ** გადაჭრა. აქამდე საუკეთესო მაჩვენებელი მადრიდის „რეალს" ეკუთვნოდა. 1997-98 წლების სეზონში სამეფო კლუბმა 19 ტურში 47 ქულა დააგროვა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ რეკორდის გაუმჯობესებას ისევ დიდი დრო დასჭირდება. როგორც ვხედავთ, გვარდიოლა ყველა პროგნოზს ამხობს და იმ ხალხის წინასწარმეტყველების საწინააღმდეგოდ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ახალგაზრდა, გამოუცდელ სპეციალისტს მუშაობა გაუჭირდებოდა, დაუჯერებელ შედეგებს აღწევს. შთამბეჭდავია კატალონიური გრანდის უხვგოლიანობაც. „დეპორტივოსთან" მატჩის შემდეგ მათ 59 გატანილი ბურთი დაუგროვდათ. თუ „ბარსელონა" ასე გააგრძელებს, 1989-90 წლების სეზონში **ჯონ ტოშაკის** „რეალის" მიერ დამყარებულ რეკორდს გააუმჯობესებს. მაშინ მადრიდელებმა 107 გოლი გაიტანეს. ერთი შეხედვით, განმეორებით წრეში 59 გოლის გატანა რთული ამოცანაა, მაგრამ კატალონიელებს ისეთი ტემპი აქვთ აღებული, მათგან არაფერი არ უნდა გაგვიკვირდეს.

ამ შეხვედრაში გალისიელებისგან გამარჯვებას, ალბათ, არავინ ელოდა, მაგრამ ვერც იმას ვიფიქრებდით, რომ სტუმრები ასეთი ანგარიშით განადგურდებოდნენ. მორიგ შთამბეჭდავ გამარჯვებაში ისევ და ისევ ვარსკვლავების შესაშურმა ინდივიდუალიზმმა ითამაშა მთავარი როლი. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. **ლეო მესი**, როგორც ყოველთვის, შეუდარებელი გახლდათ. 21-ე წუთზე არგენტინელმა ვარსკვლავმა ულამაზესი სოლო რეიდის შემდეგ ანგარიში გახსნა. რამდენიმე წუთში **დანი ალვეშის** ფანტასტიკური პასი ვიხილეთ. ბრაზილიელმა მცველმა მარჯვენა ტერფის გარე ნაწილით საჯარიმოში ჩაკიდა, სადაც **ტიერი ანრიმ** ყველას დაასწრო და თავური დარტყმით საკუთარი გუნდის უპირატესობა ორამდე გაზარდა. ტაიმის მიწურულს **სამუელ ეტოომ** ახლო მანძილიდან ცარიელი კარი დალაშქრა. პირველ ტაიმში მოპოვებული 3-ბურთიანი უპირატესობა მასპინძლებს ტემპის დაგდების საშუალებას აძლევდა, მაგრამ „ბარსელონა" რისი „ბარსელონა" იქნება, ასეთ დროს პრაგმატიზმზე ფიქრი რომ დაიწყოს და გულშემატკივრების გატაცება ფეხებზე დაიკიდოს.

კატალონიელებმა მეორე ტაიმშიც ლაღად ითამაშეს და კიდევ 2 ბურთი შეაგდეს. 82-ე წუთზე ტიერი ანრიმ დუბლი შეასრულა. ზუსტად 4 წუთში **კარლეს პუიოლი** ცენტრფორვარდის პოზიციაზე აღმოჩნდა. გამოცდილმა მცველმა **არანსუბიაც** მოატყუა, მაგრამ მეკარემ წააქცია და პენალტი დაინიშნა. სხვათა შორის, **როდრიგეს სანტიაგომ** გალისიელთა კარის დარაჯი მოედნიდან გააგდო. იმ დროისთვის **მიგელ ანხელ ლოტინას** ყველა ცვლილება განხორციელებული ჰქონდა. ამიტომ მწვრთნელის გადაწყვეტილებით, კარში როდრიგესი ჩადგა. სასწაული უნდა მომხდარიყო, რომ ნახევარმცველს მრისხანე სამუელ ეტოოსთვის დუელი მოეგო. კამერუნელმა აქტივს ორი ბურთი შემატა და 18 გოლით პრიმერა დივიზიონის ბომბარდირთა დავას ერთპიროვნულად ლიდერობს.

„ბარსელონამ" სეზონის ნახევარი ფანტასტიკურად განვლო. 16 გამარჯვება, 2 ფრე და 1 მარცხი, ისიც, პირველ ტურში. პეპ გვარდიოლას ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ ამ შესაშური შედეგითა და უახლოეს მდევრებთან 12-ქულიანი უპირატესობით იტრაბახოს. თუმცა ახალგაზრდა სპეციალისტი პროფესიონალიზმის პრინციპებს არ ღალატობს და სანამ სეზონი არ დასრულდება ან „ბარსა" ვადამდე არ გაიხაღდებს ჩემპიონობას, განცხადებების წინასწარ გაკეთებას არ აპირებს. შაბათის შეხვედრა მან ასე შეაფასა: *„5 ბურთის გატანა და ლამაზი ფეხბურთის თამაში, რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა. მიხარია, რომ გულშემატკივრებს ლამაზი საღამო ვაჩუქეთ. ასეთ შეხვედრებს საფეხბურთო სპექტაკლს უწოდებენ ხოლმე, თუმცა ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ „ბარსელონას" ჯერ არაფრისთვის მიუღწევია. არ შეიძლება, სეზონის შუაში ეიფორიას დავნებდეთ და საქმე მოთავებულად ჩავთვალოთ. ჩემს ფეხბურთელებს გულწრფელ მადლობას მოვახსენებ. 19 ტურში 50 ქულის მოპოვება ხუმრობა არ არის. იმედია, მომავალ წრეშიც ასე გავაგრძელებთ."*

პრესკონფერენციაზე გვარდიოლას ჰკითხეს, თქვენს გუნდსა და „დრიმ თიმს" შორის რაიმე მსგავსებას ხომ არ ხედავთო. მწვრთნელმა ამ თემაზე დიდხანს საუბარი არ ისურვა და ჟურნალისტებს მოკლედ უპასუხა: *„პარალელების გავლება არ მიყვარს. მით უმეტეს, იოჰან კრუიფის „დრიმთიმი" შეუდარებელი და ერთადერთია. ჩვენ კი ჩვენი გზა უნდა გავიაროთ და ახალი ისტორია შევქმნათ. ამ ორი თაობის გუნდები, დაე, გულშემატკივრებმა შეაფასონ."*

ფეხბურთში მოულოდნელობის ფაქტორს თუ დავივიწყებთ და ყველაფერს მხოლოდ ბანალური ლოგიკის თვალით შევხედავთ, ვიფიქრებთ, რომ „სანჩეს პისხუანზე" „ნუმანსიას" არანაირი შანსი არ ჰქონდა. მართალია, ლიგის დებიუტანტებმა წააგეს, მაგრამ ბანალურ ლოგიკას სტუმართა შთამბეჭდავი თამაში ეწინააღმდეგებოდა. კურიოზულია, მაგრამ ანდალუსიელები ქულების დაკარგვისგან ახალგაზრდა მეკარემ, **ვარასმა** იხსნა. ძირითად შემადგენლობაში ის **ანდრეს პალოპის** დისკვალიფიკაციის გამო მოხვდა. სადებიუტო მატჩში ვარასმა არა ერთი რთული დარტყმა მოიგერია. ამის პარალელურად „ნუმანსია" საკმაოდ კარგად იცავდა თავს, მაგრამ სტუმრებს ძალა არ ეყოთ და შეხვედრის დასრულებამდე არცთუ დიდი ხნით ადრე **რენატოს** გოლის გატანის შესაძლებლობა მისცეს. ამ გამარჯვების წყალობით „სევილია" „რეალთან" ერთად მეორე ადგილზე იმყოფება.

„ბილბაოსა" და „ვალენსიის" შეხვედრაში ნებისმიერ გუნდს შეეძლო მოეგო. ბასკებმა დიდი შეუპოვრობა გამოიჩინეს. მიუხედავად იმისა, რომ „ღამურები" შეხვედრის განმავლობაში ორჯერ დაწინაურდნენ, მასპინძლებმა ჰანდიკაპი ორივეჯერ ამოქაჩეს და საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე გამარჯვების პენალტიც გაიტანეს. ფერნანდესმა **ხავი მარტინესს** მაისურა მოქაჩა და საჯარიმოში წააქცია. **მეხია დავილამ** 11-მეტრიანი მყისვე დანიშნა. „ბილბაოს" ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა **ლორენტემ** პენალტი უზადოდ შეასრულა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბასკ გულშემატკივრებს „სან მამესზე" ასეთი მაღალი დონის ფეხბურთი დიდი ხანია, არ უნახავთ. მაღალი დონის ფეხბურთში „ბარსელონას", „რეალის" ან პრიმერა დივიზიონის რომელიმე სხვა გრანდის მიერ შესრულებულ ცალკარას არ ვგულისხმობთ. მრავალი წლის შემდეგ „ბილბაომ" ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია და მოუგო კიდეც.

„ესპანიოლი" საბოლოოდ წახდა და ხელიდან წავიდა. კატალონიურ კლუბს წამყვანი მოთამაშეების, **ივან დე ლა პენიასა** და **რაულ ტამუდოს** გარეშე არაფრის გაკეთება არ შეუძლია. თუ **ხოსე მანუელ ესნალის** გუნდი პრობლემის გადაჭრის უსწრაფეს გზას არ მონახავს, კატასტროფა შეუქცევად ხასიათს შეიძენს და ბარსელონური გუნდი, რომელსაც დიდი ტრადიციებით შეუძლია იამაყოს, პრიმერა დივიზიონს გამოემშვიდობება.

„ვალიადოლიდი" უფსკრულისკენ მიექანება. კასტილიურმა კლუბმა ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო. ეს ფატალური წარუმატებლობა სატურნირო მდგომარეობაზე პირდაპირპროპორციულად აისახება. ერთი თვის წინ „ვალიადოლიდი" მე-8 ადგილზე იმყოფებოდა. ახლა მე-12-ზე დაქვეითდა და გასავარდნ ზონასთან ახლოს მყოფ „ნუმანსიას" მხოლოდ 3 ქულით უსწრებს. დროა, კასტილიური კლუბის ხელმძღვანელობამ განგაშის ზარები შემოჰკრას.

„რეკრეატივომ" „სპორტინგი" პირწმინდად დაჩაგრა. ანდალუსიელებს სულ ოდნავ მეტად რომ გამართლებოდათ, დიდი ანგარიშით მოიგებდნენ. მაგრამ მათთვის მთავარია, რომ 3 ქულა მოიპოვეს და მე-18 ადგილზე მყოფ „ესპანიოლს" 5 ქულით გაასწრეს. უელველებისთვის წელს მთავარი ამოცანა პრიმერა დივიზიონში დარჩენაა.

**ნიკოლა ჟიგიჩმა** „რასინგს" მორიგი 3 ქულა მოუტანა. სერბმა ფორვარდმა ცოტა ხნის წინ „ვალიადოლიდთან" მატჩშიც გაიტანა გოლი. ახლა კი „ხეტაფეს" მოუღო ბოლო. მადრიდული კლუბი აშკარა კრიზისშია. ერთ დროს ამბიციური მიზნებისთვის მებრძოლ „ხეტაფეს", შესაძლოა, პრიმერა დივიონზში დასარჩენად მოუხდეს ბრძოლა.

„მალიორკა" „ბარსელონასთან" წაგების შემდეგ „რეალს" შეხვდა, ახლა კი „ვილიარეალს" დაუპირისპირდა. ბალეარელებმა სამივე მატჩი სამარცხვინოდ დათმეს. გულსატკენია, რომ მშვენიერი ტრადიციების მქონე კუნძულელები პრიმერა დივიზიონიდან გავარდნის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატები არიან. „ვილიარეალს" რაც შეეხება, ამ გუნდმა გასული წლის 30 ნოემბრის შემდეგ პირველად გაიმარჯვა. **მანუელ პელეგრინის** ბიჭების მოუგებელი სერია ზედიზედ ხუთ მატჩს მოიცავდა.

იშვიათად ხდება, როცა მადრიდული სპორტული გაზეთების ჟურნალისტები „რეალის" გამარჯვების კანონიერებასა და სამართლიანობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ, მაგრამ საკვირაო შეხვედრაში **პერეს ბურულმა** ნამუსზე ხელი აიღო და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ „ოსასუნას" სამი ქულა დაეკარგა. პამპლონელებს **ხუანფრანი** სრულიად დაუმსახურებლად გაუგდეს და ორი 100-პროცენტიანი პენალტიც არ დაუნიშნეს. ასეთი თავზეხელაღებული მსაჯობის ფონზე **ხოსე ანტონიო კამაჩოს** მრავალტანჯული ბიჭები საუკუნის სასწაულს, რა თქმა უნდა, ვერ მოახდენდნენ. სტუმრებმა ანგარიში კი გახსნეს, მაგრამ ისევ და ისევ პერეს ბურულის უნამუსობის გამო უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს. „დიარიო მარკას" ტყუილად არ დაუწერია, ბურული სამეფო კლუბის მე-12 და ყველაზე მნიშვნელოვანი ფეხბურთელი იყოო.

**ილია ნიკოლაიშვილი**

### მომდევნო ტური

24 იანვარი. ვილიარეალი-ოსასუნა, ბარსელონა-ნუმანსია. 25 იანვარი. რეალი-დეპორტივო, სევილია-რასინგი, ვალიადოლიდი-ესპანიოლი, ალმერია-ბილბაო, ხეტაფე-სპორტინგი, მალიორკა-ვალენსია, მალაგა-ატლეტიკო, რეკრეატივო-ბეტისი.

### ბარსელონა-დეპორტივო 5:0

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, დანიელ ალვეში, პუიოლი, პიკე, აბიდალი, იაია ტურე (71. ინიესტა), კეიტა, ჩავი, ანრი, მასი, ეტო'ო.

**დეპორტივო:** არანსუბია, მანუელ პაბლო, ლოპო, ზე კასტრო, ფილიპე ლუისი, სერხიო, ხუან როდრიგესი, კრისტიანი (63. დე გუსმანი), ვერდუ, გუარდადო (28. ლაფიტა), ბოდიპო (76. რიკი).

**გოლები:** 1:0 მესი (21), 2:0 ანრი (27), 3:0 ეტო'ო (42): 4:0 ანრი (82): 5:0 ეტო'ო (86-პენ)

**გაძევება:** არანსუბია (85. დეპორტივო)

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 21(10)-1(0); **კუთხური:** 9-4; **თამაშგარე:** 3-3; **ჯარიმა:** 8-12; **ბურთის ფლობა:** 64%-36%

**მაყურებელი:** 65 145

### სევილია-ნუმანსია 1:0

**სევილია:** ხავი ვარასი, მოსკერა, დავიდ პრიეტო (46. სკილაჩი), ესკუდე, დრაგუტინოვიჩი, ხესუს ნავასი, დუშერი (46. რომარიკი), რენატო, დიეგო კაპელი, კანუტე (63. ჩევანტონი), ლუიშ ფაბიანო.

**ნუმანსია:** ხუან პაბლო, ხუანრა, ბორისი, სერხიო ორტეგა, სისმა, დელ პინიო (70. გაირე), ნ. გორე, დიმაში, ბარკერო, გორკა ბრიტი (55. ბელვისი), გორირია (75. არანდა).

**გოლი:** 1:0 რენატო (82)

**გაძევება:** სისმა (51. ნუმანსია)

**გაფრთხილება:** 4-3; **დარტყმა:** 20(2)-10(5); **კუთხური:** 9-6; **თამაშგარე:** 6-3; **ჯარიმა:** 21-21; **ბურთის ფლობა:** 66%-34%

**მაყურებელი:** 38 000

### ვალიადოლიდი-ბეტისი 1:3

**ვალიადოლიდი:** ვილიარი, პედრო ლოპესი, ლუის პრიეტო, გარსია კალვო, ოსკარ სანჩესი (86. ოგბეჩე), პედრო ლეონი, ვივარ დორადო (69. აგირე), ალვარო, სესმა (82. ესკუდერო), კანობიო, გოიტომი.

**ბეტისი:** რიკარდო, ნელსონი, რივასი, ხუანიტო, ფერნანდო ვეგა, დამია, მეჰმეთ აურელიო, არსუ, კაპი (1. რივერა), ჩისკო (72. პავონე/88. ხუანმა), სერხიო გარსია.

**გოლები:** 0:1 ჩისკო (16), 1:1 ლუის პრიეტო (22), 1:2 სერხიო გარსია (63), 1:3 სერხიო გარსია (90+2)

**გაფრთხილება:** 0-3; **დარტყმა:** 14(2)-11(9); **კუთხური:** 4-2; **თამაშგარე:** 6-3; **ჯარიმა:** 10-14; **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 15 000

### ვილიარეალი-მალიორკა 2:0

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, ანხელი, ფუენტესი, გოდინი, კაპდევილია, ბრუნო, სენა, იბაგასა (72. პირესი), კასორლა, როსი (83. კანი), ლორენტე (64. ფრანკო).

**მალიორკა:** ავატე, ხოსემი, ნუნიესი, რამისი, კორალესი, მარიო სუარესი, მარტი, ვარელა, სკაოლნი (46. ვებო), ხურადო, ადურისი (86. კეიტა).

**გოლები:** 1:0 კაპდევილია (29), 2:0 როსი (33-პენ)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 9(6)-16(6); **კუთხური:** 1-0; **თამაშგარე:** 5-2; **ჯარიმა:** 8-12; **ბურთის ფლობა:** 30%-70%

**მაყურებელი:** 16 000

### რეკრეატივო-სპორტინგი 2:0

**რეკრეატივო:** რიესგო, მორისი, იაგო ბუსონი, არსო, კასადო, ბარბერი, სისი (69. აკალე), ხავი ფუეგო (82. სებასტიან ნაიარი), კამუნიასი, აიტორი, ადრიან კოლუნგა (84. მარკო რუბენი).

**სპორტინგი:** სერხიო სანჩესი, კამარა, ხერარდი, ხორხე, კანელა, მიჩელი, დიეგო კამაჩო (46. ლორა), მორანი (46. ომარი), კარმელო, მალდონადო, ბილიჩი (57. დავიდ ბარალი).

**გოლები:** 1:0 ხორხე (6-საკ. კარში), 2:0 ადრიან კოლუნგა (55)

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 15(4)-12(1); **კუთხური:** 4-5; **თამაშგარე:** 2-2; **ჯარიმა:** 19-22; **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 18 000

### ხეტაფე-რასინგი 0:1

**ხეტაფე:** ხაკობო, კორტესი (75. კონტრა), კატა დიასი, მარიო, ლიხტი, პოლანსკი, გრანერო, გავილანი (61. სოლდადო), კასკერო, ალბინი (61. უჩე), მანუ დელ მორალი.

**რასინგი:** ტონიო, ვალერა (70. ედუ ბედია), ორიოლი, სესარ ნავასი, მარკანო, კოლსა, ლასენი, ოსკარ სერანო, მუნიტისი, ტონი მორალი (49. პინილიოსი), ჟიგიჩი (86. ხუანხო).

**გოლი:** 0:1 ჟიგიჩი (25)

**გაფრთხილება:** 3-6; **დარტყმა:** 16(3)-6(1); **კუთხური:** 6-3; **თამაშგარე:** 1-9; **ჯარიმა:** 11-24; **ბურთის ფლობა:** 66%-34%

**მაყურებელი:** 9 000

### მალაგა-ესპანიოლი 4:0

**მალაგა:** გოიტია, მანოლო, კუადრადო, ელდერი, კალეხა, დუდა (71. ნაჩო), აპონიო, ლოლო, ელისეუ, ადრიანი (78. ალბერტო ლუკე), ბაა (86. ხოსე ლუის ლუკე).

**ესპანიოლი:** კამენი, სერხიო სანჩესი, ხარკე, ლაკრუსი, ჩიკა, რუფეტე (65. ვალდო), მოისეს ურტადო, სიელვა (56. კორო), რომანი, ნენეი, ლუის გარსია.

**გოლები:** 1:0 ადრიანი (35), 2:0 აპონიო (56-პენ), 3:0 ბაა (84-პენ), 4:0 ალბერტო ლუკე (90)

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 10(9)-16(5); **კუთხური:** 4-4; **თამაშგარე:** 2-1; **ჯარიმა:** 16-16; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 25 000

### რეალი-ოსასუნა 3:1

**რეალი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, პეპე, კანავარო (46. ჰუნტელაარი), ჰაინცე, რობენი, გაგო, ლასანა დიარა, სნეიდერი (46. ვან დერ ვაარტი), რაული, იგუაინი (79. მარსელო).

**ოსასუნა:** რობერტო, ასპილიკუეტა, ხოსეტო, მიგელ ფლანიო, მონრეალი (44. ხავიერ ფლანიო), ხუანფრანი, პუნიალი, ნექუნამი, პლასილი (68. პორტილიო), მასუდი, პანდიანი.

**გოლები:** 0:1 ნექუნამი (20), 1:1 სერხიო რამოსი (50), 2:1 იგუაინი (64), 3:1 რობენი (90)

**გაძევება:** ხუანფრანი (81. ოსასუნა)

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 19(6)-5(3); **კუთხური:** 5-1; **თამაშგარე:** 3-3; **ჯარიმა:** 16-21; **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 73 000

### ბილბაო-ვალენსია 3:2

**ბილბაო:** ირაისოსი, ირაოლა, აიტორ ოსიო, უსტარიტსი, კოიკილი, დავიდ ლოპესი, ხავი მარტინესი, ორბაისი (75. იესტე), გაბილონდო (70. ბალენსიაგა), იონ ველესი (65. ტოკერო), ლორენტე.

**ვალენსია:** რენანი (41. გუაიტა), ანგულო, მადურო, მარჩენა, მორეტი, ხოაკინი (75. ვისენტე), ალბელდა, მანუელ ფერნანდეში, მატა, მორიენტესი, ვილია (66. მიჩელი).

**გოლები:** 0:1 ვილია (2), 1:1 გაბილონდო (18), 1:2 მორიენტესი (30), 2:2 ხავი მარტინენი (41), 3:2 ლორენტე (90+2. პენ)

**გაძევება:** მანუელ ფერნანდეში (90. ვალენსია)

**გაფრთხილება:** 4-2; **დარტყმა:** 14(7)-17(6); **კუთხური:** 4-1; **თამაშგარე:** 7-1; **ჯარიმა:** 15-16; **ბურთის ფლობა:** 36%-64%

**მაყურებელი:** 36 000

### ალმერია-ატლეტიკო 1:1

**ალმერია:** დიეგო ალვესი, პელერანო, ბადიასი, მანე, ბრუნო, ფერნანდო სორიანო, ირინეი (57. ჩიკო), ნეგრედო, კალუ უჩე, კრუსატი (78. პიატი), ორტისი (90+2. კორონა).

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, უიფალუში, პაბლო იბანიესი (77. დე ლას კუევასი), ანტონიო ლოპესი, პერეა (62. სეიტარიდისი), ბანეგა, პაულო ასუნსაო (59. რაულ გარსია), სიმაო, სინამა პონგოლე, აგუერო, ფორლანი.

**გოლები:** 1:0 კალუ უჩე (6), 1:1 სინამა პონგოლე (22)

**გაძევება:** პელერანო (53. ალმერია), ბანეგა (88. ატლეტიკო)

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 11(3)-18(4); **კუთხური:** 10-7; **თამაშგარე:** 2-1; **ჯარიმა:** 19-16; **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 8 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 19 | 16 | 2 | 1 | 59-13 | 50 |
| 2. სევილია | 19 | 11 | 5 | 3 | 28-16 | 38 |
| 3. რეალი | 19 | 12 | 2 | 5 | 41-27 | 38 |
| 4. ვალენსია | 19 | 10 | 4 | 5 | 38-27 | 34 |
| 5. ვილიარეალი | 19 | 9 | 6 | 4 | 32-25 | 33 |
| 6. ატლეტიკო | 19 | 9 | 4 | 6 | 42-30 | 31 |
| 7. მალაგა | 19 | 9 | 4 | 6 | 31-27 | 31 |
| 8. დეპორტივო | 19 | 9 | 3 | 7 | 23-27 | 30 |
| 9. ბილბაო | 19 | 7 | 5 | 7 | 27-29 | 26 |
| 10. რასინგი | 19 | 6 | 7 | 6 | 21-23 | 25 |
| 11. სპორტინგი | 19 | 8 | 0 | 11 | 26-39 | 24 |
| 12. ვალიადოლიდი | 19 | 7 | 2 | 10 | 27-30 | 23 |
| 13. ბეტისი | 19 | 6 | 3 | 10 | 25-26 | 21 |
| 14. ხეტაფე | 19 | 5 | 6 | 8 | 24-30 | 21 |
| 15. ალმერია | 19 | 5 | 6 | 8 | 20-28 | 21 |
| 16. რეკრეატივო | 19 | 5 | 5 | 9 | 17-28 | 20 |
| 17. ნუმანსია | 19 | 6 | 2 | 11 | 24-37 | 20 |
| 18. ესპანიოლი | 19 | 3 | 6 | 10 | 17-32 | 15 |
| 19. მალიორკა | 19 | 3 | 5 | 11 | 18-37 | 14 |
| 20. ოსასუნა | 19 | 2 | 7 | 10 | 20-29 | 13 |

**ბომბარდირები:** 18 - ეტო'ო (ბარსელონა); 15 - ვილია (ვალენსია); 12 - ფორლანი (ატლეტიკო), იგუაინი (რეალი), მესი (ბარსელონა); 11 - ანრი (ბარსელონა); 9 - აგუერო (ატლეტიკო); 8 - ნეგრედო (ალმერია), ლორენტე (ბილბაო), ბაა (მალაგა), როსი (ვილიარეალი).

### II დივიზიონი

### XX ტური

**სალამანკა-მურსია 2:3**

გოლები: 0:1 კაპდევილია (11), 1:1 მარტინი (45-პენ), 2:1 მიკუ (57), 2:2 ბრუნო (65-პენ), 2:3 ლუკასი (87)

**ალბასეტე-ერკულესი 0:3**

გოლები: 0:1 აგილერი (19), 0:2 ტოტე (54), 0:3 ფარინოსი (90-პენ)

**კორდობა-სარაგოსა 1:0**

გოლი: 1:0 ვეგა (32)

**ლევანტე-სოსიედადი 0:2**

გოლები: 0:1 აგირეჩე (19), 0:2 ჩაბი პრიეტო (51)

**ვალეკანო-ლას პალმასი 1:1**

გოლები: 0:1 სანჩესი (58), 1:1 აგანსო (68)

**სელტა-სევილია II 2:0**

გოლები: 1:0 მიჩუ (81), 2:0 გილასი (90)

**ელჩე-ხიმნასტიკი 2:0**

გოლები: 1:0 ტორიხოსი (17), 2:0 საული (61)

**ალიკანტე-ალავესი 0:2**

გოლები: 0:1 კასარი (74), 0:2 მარკოსი (76)

**ეიბარი-კასტელონი 0:1**

გოლი: 0:1 პენდინი (51)

**უესკა-ხერესი 1:1**

გოლები: 0:1 მომო (23), 1:1 მედინა (89)

**ტენერიფე-ხირონა 4:1**

გოლები: 1:0 ნინიო (10), 2:0 კომე (21), 3:0 რიჩი (42), 3:1 მარტინი (56), 4:1 ნინიო (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხერესი | 20 | 9 | 7 | 4 | 35-22 | 34 |
| 2. სარაგოსა | 20 | 9 | 6 | 5 | 33-21 | 33 |
| 3. ტენერიფე | 20 | 10 | 3 | 7 | 36-30 | 33 |
| 4. ერკულესი | 20 | 8 | 8 | 4 | 29-17 | 32 |
| 5. კასტელონი | 20 | 8 | 8 | 4 | 28-20 | 32 |
| 6. სალამანკა | 20 | 9 | 5 | 6 | 26-21 | 32 |
| 7. სოსიედადი | 20 | 7 | 10 | 3 | 21-15 | 31 |
| 8. სელტა | 19 | 8 | 7 | 4 | 23-18 | 31 |
| 9. უესკა | 20 | 7 | 8 | 5 | 28-23 | 29 |
| 10. ლევანტე | 20 | 8 | 5 | 7 | 26-27 | 29 |
| 11. ვალეკანო | 20 | 6 | 10 | 4 | 23-21 | 28 |
| 12. ხირონა | 20 | 7 | 7 | 6 | 19-21 | 28 |
| 13. ხიმნასტიკი | 20 | 6 | 9 | 5 | 31-25 | 27 |
| 14. ლას პალმასი | 20 | 6 | 9 | 5 | 26-20 | 27 |
| 15. ელჩე | 20 | 6 | 7 | 7 | 24-23 | 25 |
| 16. ალბასეტე | 20 | 6 | 6 | 8 | 21-28 | 24 |
| 17. ალავესი | 20 | 6 | 5 | 9 | 22-32 | 23 |
| 18. მურსია | 19 | 6 | 4 | 9 | 20-27 | 22 |
| 19. ეიბარი | 20 | 5 | 6 | 9 | 14-26 | 21 |
| 20. კორდობა | 20 | 5 | 6 | 9 | 18-26 | 21 |
| 21. ალიკანტე | 20 | 2 | 6 | 12 | 14-33 | 12 |
| 22. სევილია B | 20 | 1 | 6 | 13 | 11-32 | 9 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXII ტური

# მანჩესტერი: პირველ ადგილზე პირველად ამ სეზონში

## ეშმაკებმა არისტოკრატების რეკორდი გაიმეორეს, ჩელსი დროგბას გაყიდვის წინააღმდეგი არ არის

**დიმიტარ ბერბატოვმა** "მანჩესტერ იუნაიტედი" პირველ ადგილზე გადაიყვანა. თავდამსხმელმა "ბოლტონი" მსაჯისაგან დამატებულ წუთებზე დაამწუხრა. საკლუბო მუნდიალიდან დაბრუნების შემდეგ "ეშმაკებმა" ზედიზედ მეხუთე თამაში მოიგეს, ამათგან ოთხი – მინიმალური ანგარიშით. ამ ხნის განმავლობაში, "იუნაიტედმა" "ლივერპულთან" შვიდქულიანი დეფიციტი აღმოფხვრა და ერთი ქულით გაუსწრო კიდეც. მერსისაიდელები "ევერტონს" დღეს უმასპინძლებენ. გამარჯვების შემთხვევაში, ისინი კვლავ ლიდერები გახდებიან, თუმცა "მანჩესტერს" ერთი მატჩით ნაკლები ექნება ჩატარებული.

ბოლტონელთა მეკარე **იუსი იაასკელაინენმა** სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. მან **კრისტიანო რონალდოს** სამი ურთულესი საჯარიმო აული. შეხვედრა ფრედ დასრულებულიყო, ეს უდავოდ იაასკელაინენის დამსახურება იქნებოდა, მაგრამ მეკარე ვერაფერს გახდა, როდესაც **კარლოს ტევესი** მასპინძელ მცველებს გაექცა და ბურთი საჯარიმო მოედანში ჩააგდო. იქ კი ყველას ბერბატოვმა დაასწრო და ექვსი მეტრიდან გაიტანა. იმასაც გეტყვით, რომ "იუნაიტედმა" პრემიერლიგის ზედიზედ მე-10 შეხვედრაში არ გაუშვა გოლი, რითაც "ჩელსის" სამი წლის წინანდელი რეკორდი გაიმეორა.

თამაშის წინა დღეს **ჯონი ევანსისა** და **კარლოს ტევესის** ასპარეზობა საეჭვო იყო. შაბათ დილას ფეხბურთელებმა სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარეს. **სერ ალექსს** ბევრი აღარ უფიქრია და ორივე მათგანი ძირითად შემადგენლობაში დააყენა. "მანჩესტერმა" შეხვედრა აქტიურად დაიწყო, მაგრამ პირველი წუთიდან ბოლტონელთა ეშელონურ დაცვას გადააწყდა. ნათელი იყო: **გარი მეგსონი** უკიდურესად დაცვითი ფეხბურთის თამაშს აპირებდა. "ბოლტონში" უკლებლივ ყველა საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა. მასპინძელმა ფეხბურთელებმა მწვრთნელის დავალებას ჩინებულად გაართვეს თავი. ისინი მხოლოდ ერთხელ შეცდნენ და უმალ დაისაჯნენ.

პირველ ნახევარში მანჩესტერელები ბევრს სცოდავდნენ. მათი პასების ნახევარიც კი ვერ აღწევდა მიზანს. მთავარი დამნაშავეები **ანდერსონი** (ეს ბიჭი "მანჩესტერში" მე-18 თვეს ატარებს, თუმცა ჯერ ერთი გოლიც არ გაუტანია) და **მაიკლ ქერიკი** იყვნენ. "ეშმაკებმა" მხოლოდ ერთი გააზრებული კომბინაცია გაითამაშეს: **გარი ნევილმა დარენ ფლეტჩერი** მოძებნა. შოტლანდიელმა კრისტიანო რონალდოს გაუგორა ბურთი. რონალდოს კი იაასკელაინენმა აული.

"ბოლტონის" შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა პორტუგალიელ **არისა მაკუკულას**. ის "ბენფიკიდან" იჯარით გადაიყვანეს. ფეხბურთელმა კონტრაქტი პარასკევს გააფორმა და უმალ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა. **ნემანია ვიდიჩმა** მის წინააღმდეგ უხეშობისათვის ყვითელი ბარათი მიიღო. **ედვინ ვან დერ სარს** მაკუკულას სახიფათო თავური დარტყმის მოგერიება მოუხდა. ვან დერ სარი კიდევ ერთხელ ჩაერთო თამაშში: ამჯერად ის **ფაბრის მუამბას** გადაელობა.

ნამატჩევს ფერგიუსონმა აღიარა: სანამ ტევესი საგოლე პასს გააკეთებდა, მის შეცვლას ვაპირებდიო: *"ეს ჩემი ახალი ტაქტიკაა. მოედნის კიდეზე სათადარიგო მოთამაშეს ვახურებ და ვუყურებ, რა ხდება მოედანზე. იმ შეტევის შემდეგ კარლოსი მოედნიდან უნდა გამეყვანა. მან კი გოლი გამოაცხო. ტევესის ნაცვლად დენი ველბეკს უნდა ეთამაშა. ვფიქრობდი, ის მაღალი ბიჭია და ჩაწოდებისას გოლს გაიტანსმეთქი..."*

"ჩელსიმ" გულშემატკივარი კინაღამ შოკში ჩააგდო. შაბათ საღამოს, "სტემფორდ ბრიჯზე" 87-ე წუთამდე სტუმართა სასარგებლოდ 0:1 ენთო. ეს სტუმარი კი უსახური გუნდი, "სტოკ სიტი" გახლდათ. "არისტოკრატებს" რომ არ ემარჯვათ, ამ სეზონში შინ მესამე შეხვედრას წააგებდნენ. თამაშის დასრულებამდე სამი წუთით ადრე შეცვლაზე გამოსულმა **ჟულიანო ბელეტიმ** წონასწორობა აღადგინა. მსაჯისაგან დამატებულ წუთებზე კი **ფრენკ ლემპარდმა** მეორე გოლი შეაგდო. ცნობისათვის, ლემპარდი „ჩელსის" შემადგენლობაში მე-400 მატჩს ატარებდა. იუბილეზე ამაზე უკეთესი საჩუქრის მიღება შეუძლებელი იყო. ამ გამარჯვებამ "ჩელსის" საჩემპიონო შანსები შეუნარჩუნა, **ლუიშ ფელიპე სკოლარის** კი ამოსუნთქვის საშუალება მისცა.

ლონდონელებს საკადრო პრობლემები არ ელევათ. **ჯო კოულმა** მუხლი იტკინა და სეზონი ნაადრევად დაასრულა. **ჯონ ტერი** გუშინწინდელი მატჩის წინ მოთელვაზე გამოვიდა, მაგრამ ზურგი ასტკივდა და ტრიბუნაზე გადაინაცვლა. სკოლარიმ განაცხადშიც კი არ შეიყვანა **დიდიე დროგბა** (ზედიზედ მეორედ). ნამატჩევს ჟურნალისტებმა ფელიპაოს დროგბას ამბავი ჰკითხეს. მწვრთნელმა გარეშე მიუგო, რომ ამ ეტაპზე ახალგაზრდა თავდამსხმელები - **მიროსლავ შტოხი** და **ფრანკო დი სანტო** უკეთეს ფორმაში არიან და რომ მას კიტდივუარელთან არავითარი უთანხმოება არ აქვს. კითხვაზე, მოსალოდნელია თუ არა იანვრის ტრანსფერებისას დროგბას აბარგება, სკოლარიმ უპასუხა: *"დაინტერესებულ კლუბს დიდი ფულის გადახდა მოუწევს, თუ ნამდვილად სურს დროგბასთან კონტრაქტის გაფორმება."* სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სარფიანი შეთავაზების შემთხვევაში, დიდიეს ლონდონში არ დააყოვნებენ.

დავუბრუნდეთ შეხვედრას. ერთდროს "ჩელსისათვის" "სტემფორდ ბრიჯი" ნამდვილ ციხესიმაგრეს წარმოადგენდა. მაგრამ ამ სეზონში განსხვავებული ვითარებაა. "არისტოკრატებმა" ყველაზე მეტი ქულა საშინაო არენაზე გაანიავეს. თავად განსაჯეთ: ნოემბრის დასაწყისში, "სანდერლენდის" დამარცხების შემდეგ, "ჩელსის" შინ მხოლოდ ორი შეხვედრა ჰქონდა მოგებული ("კლუჟსა" და "ვესტ ბრომვიჩთან"). და აი, შაბათს ამ "შთამბეჭდავი" გამარჯვევების სიას "სტოკ სიტის" ძლევაც დაემატა...

"ასტონ ვილამ" სტუმრად "სანდერლენდი" დაამარცხა და ოთხეულში ადგილი შეინარჩუნა. თამაშის დასრულებამდე 18 წუთით ადრე ბირმინგემელები 10 კაცის ამარა დარჩნენ. არბიტრმა **მაიკ დინმა ეშლი იანგი** გააძევა. მე-80 წუთზე დინი კიდევ ერთხელ აღმოჩნდა საყოველთაო ყურადღების ეპიცენტრში. მან მასპინძელთა კარში საეჭვო 11-მეტრიანი დანიშნა. დინმა მიიჩნია, რომ **პოლ მაკშეინმა** (რომელიც ეს-ესაა, "ჰალ სიტიში" გატარებული ექვსთვიანი იჯარით შემდეგ "სანდერლენდში" დაბრუნდა) **გაბრიელ აგბონლაორი** წესების დარღვევით შეაჩერა. **გარეთ ბერიმ** პენალტი ზუსტად შეასრულა და თავის გუნდს მნიშვნელოვანი სამი ქულა მოუტანა...

გაიმარჯვა "არსენალმაც". მან ოდესღაც მრისხანე დებიუტანტ "ჰალ სიტის" მისსავე მოედანზე სამი გოლი უძლვნა. ანგარიში **ემანუელ ადებაიორმა** გახსნა. ტოგოელმა თავდამსხმელმა, რომელსაც გასულ სეზონში თითქმის ყოველ მატჩში გოლი გაჰქონდა, ბოლო ცხრა შეხვედრაში მხოლოდ მესამედ შეაგდო. თავის გამოიჩინეს **სამირ ნასრიმ** და **ნიკლას ბენდტნერმაც**. "მეთოფეებმა" რევანში აიღეს იმ სენსაციური მარცხის გამო, რომელიც "ჰალ სიტისაგან" სექტემბერში "ემირიტს სთედიუმზე" იგემეს.

**შალვა ბიბილაშვილი**




### მომდევნო ტური

**27 იანვარი.** სანდერლენდი-ფულჰემი, ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერ იუნ, პორტსმუთი-ასტონ ვილა, ტოტენჰემი-სტოკი. **28 იანვარი.** ვესტ ჰემი-ჰალი, ვიგანი-ლივერპული, ბლექბერნი-ბოლტონი, ჩელსი-მიდლსბრო, ევერტონი-არსენალი, მანჩესტერ სიტი-ნიუკასლი.

### ბლექბერნი-ნიუკასლი 3:0

**ბლექბერნი:** რობინსონი, ნელსენი, სამბა (46. დევიდ დანი), უორნოკი, ოოიერი, თუგაი (59. გრელა), ენდრიუსი, პედერსენი, ემერტონი, მაკარტი (70. სანტა კრუსი), რობერტსი.

**ნიუკასლი:** გივენი, ბასონგი, კოლოჩინი, ხოსე ენრიკე, ედგარი, ბატი, გუტრი, ნზოგბია (74. ბარტონი), დაფი (79. გუტიერესი), ქეროლი, ოუენი.

**გოლები:** 1:0 მაკარტი (61-პენ), 2:0 რობერტსი (66), 3:0 რობერტსი (86).

**გაძევება:** ბატი (83. ნიუკასლი)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 11(4)-9(2); **ჯარიმა:** 15-12; **კუთხური:** 2-5; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 25 583

### ბოლტონი-მანჩესტერ იუნ. 0:1

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, ენდრიუ ობრაიენი, გარი კაჰილი, სამუელი, სტეინსონი, რიკარდო გარდნერი (84. პიუგრენიე), მუამბა, ბეშამი, მეტიუ ტეილორი, კევენ დევისი, მაკუკულა (64. ობადეი).

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, ევანსი, ვიდიჩი, ოში, გარი ნევილი, ანდერსონი (69. სქოულზი), ქერიკი, რონალდო, ფლეტჩერი (69. გიგზი), ბერბატოვი, ტევესი.

**გოლები:** 0:1 ბერბატოვი (90).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 9(2)-19(10); **ჯარიმა:** 12-5; **კუთხური:** 1-8; **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

**მაყურებელი:** 26 021

### ჩელსი-სტოკ სიტი 2:1

**ჩელსი:** ჩეხი, რიკარდო კარვალიო, ალექსი, ეშლი კოული, ბოსინგვა (78. ბელეტი), ობი მიკელი (83. სტოხი), ლემპარდი, ბალაკი, მალუდა (61. დი სანტო), ანელკა, კალუ.

**სტოკ სიტი:** სორენსენი, აბდულა ფაიე, შოკროსი, ჰიგინბოთემი (34. გრიფინი), ვილკინსონი, ამდი ფაიე (29. პოუ), ველანი, ეთერინგტონი (84. კიტსონი), დელაპი, კრესველი, ჯეიმს ბიტი.

**გოლები:** 0:1 დელაპი (60), 1:1 ბელეტი (88), 2:1 ლემპარდი (90).

**გაფრთხილება:** 0-3; **დარტყმა:** 42(12)-4(1); **ჯარიმა:** 8-15; **კუთხური:** 11-4; **ბურთის ფლობა:** 71%-29%.

**მაყურებელი:** 41 788

### მანჩესტერ სიტი-ვიგანი 1:0

**სიტი:** ჰარტი, ონუოჰა, რიჩარდ დანი, ბრიჯი, კომპანი, ელანო, საბალეტა, რობინიო, სტარიჯი (62. გარიდო), რაიტ-ფილიპსი.

**ვიგანი:** კერკლანდი, ბრემბლი (87. კამარა), შარნერი, ფიგეროა (75. კაპო), მელხიოტი, პალასიოსი, კატერმოული, რაიან ტეილორი (59. დე რიდერი), ვალენსია, ზაქი, ჰესკი.

**გოლები:** 1:0 საბალეტა (52).

**გაძევება:** რიჩარდ დანი (54. მანჩესტერ სიტი)

**გაფრთხილება:** 1-4; **დარტყმა:** 10(1)-22(3); **ჯარიმა:** 11-17; **კუთხური:** 2-11; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 41 262

### სანდერლენდი-ასტონ ვილა 1:2

**სანდერლენდი:** ფულოპი, ანტონ ფერდინანდი, ნოსვორთი (61. მაკშეინი), კოლინზი (61. ბერდსლი), შიმბონდა, უაითჰედი, დიუფი (81. რიდი), ედვარდსი, ჯოუნსი, სისე.

**ვილა:** ფრიდელი, კერტის დევისი, კუელიარი, ლუკ იანგი, რეო-კოკერი, ბერი, სიდველი (74. კრეიგ გარდნერი), სტილიან პეტროვი, ეშლი იანგი, მილნერი, აგბონლაორი.

**გოლები:** 1:0 კლინსი (11), 1:1 მილნერი (60), 2:1 ბერი (80-პენ).

**გაძევება:** ეშლი იანგი (72. ასტონ ვილა)

**გაფრთხილება:** 4-2; **დარტყმა:** 12(5)-7(3); **ჯარიმა:** 14-19; **კუთხური:** 8-6; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 40 250

### ვესტ ბრომვ.-მიდლსბრო 3:0

**ვესტ ბრომვიჩი:** კარსონი, დონკი, ბარნეტი (39. პედრო პელე), რობინსონი, ჰიოფკენსი, ვალერო, გრინინგი, ბრანტი, კორენი, ფორჩუნი (69. კრეიგ ბიტი), სიმპსონი (78. ლუკ მური).

**მიდლსბრო:** ტერნბული, ვიტერი, რიგოტი (36. ჰუთი), ენდრიუ ტეილორი, მაკმაჰონი (70. ბეიტსი), შოქი, დიგარდი, თუნჯაი, ონილი (57. მიდო), დაუნინგი, აფონსო ალვეში.

**გოლები:** 1:0 ბრანტი (4), 2:0 კორენი (67), 3:0 კორენი (54).

**გაძევება:** დიგარდი (62. მიდლსბრო).

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 13(7)-10(1); **ჯარიმა:** 16-4; **კუთხური:** 5-3; **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 25 557

### ჰალ სიტი-არსენალი 1:3

**ჰალი:** მაიჰილი, რიკეტსი, მაიკლ ტერნერი, კილბეინი, დოილი, ეშბი, ფრანსი (84. ფეგანი), ჰალმოში (54. მანუჩო), მენდი, კუზენი, ჯოვანი (87. რიკარდო გარსია).

**არსენალი:** ალმუნია, ჟურუ, კოლო ტურე, კლიში, სანია, დიაბი, დენილსონი, ნასრი, ებუე (69. ბენდტნერი), ვან პერსი, ადებაიორი (87. სონგი).

**გოლები:** 0:1 ადებაიორი (30), 1:1 კუზენი (65), 1:2 ნასრი (82), 1:3 ბენტნერი (86).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 7(2)-14(7); **ჯარიმა:** 11-19; **კუთხური:** 4-4; **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 24 924

### ვესტ ჰემი-ფულჰემი 3:1

**ვესტ ჰემი:** გრინი, აპსონი, კოლინსი, ილუნგა, ნილი, ნობლი (81. ფობერი), პარკერი, კოლისონი (83. მულინსი), ბეჰრამი, კარლტონ კოული, დი მიკელე (87. დაიერი).

**ფულჰემი:** შვარცერი, ჰანგელანდი, აარონ ჰიუზი, კონჩესკი, პანტსილი, ეტუჰუ (84. ანდრეასენი), დენი მერფი, საიმონ დევისი (74. გერა), დემპსი, ზამორა (72. ნევლანდი), ენდრიუ ჯონსონი.

**გოლები:** 1:0 დი მიკელე (7), 1:1 კონჩესკი (22), 2:1 ნობლი (60-პენ), 3:1 კარლტონ კოული (76).

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 15(5)-11(2); **ჯარიმა:** 15-20; **კუთხური:** 3-3; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 31 818

### ტოტენჰემი-პორტსმუთი 1:1

**ტოტენჰემი:** გომესი, ლედლი კინგი (44. დოსონი), ვუდგეიტი, ბეილი (68. ბენტლი), ჩორლუკა, მოდრიჩი, ზოკორა, ოჰარა, ლენონი, პავლიუჩენკო (30. დარენ ბენტი), დეფო.

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, დესტენი, კემპბელი, ბელჰაჯი, გლენ ჯონსონი, შონ დევისი, კაბული (88. ვილსონი), კრანჩარი (90. ჰრეიდარსონი), ტრაორე, ნაჯენტი (74. უტაკა), კრაუჩი.

**გოლები:** 0:1 ნაჯენტი (59), 1:1 დეფო (70).

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 29(10)-12(3); **ჯარიმა:** 6-11; **კუთხური:** 8-4; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 36 011

**ლივერპული-ევერტონი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 21 | 14 | 5 | 2 | 34-10 | 47 |
| 2. ლივერპული | 21 | 13 | 7 | 1 | 35-13 | 46 |
| 3. ჩელსი | 22 | 13 | 6 | 3 | 42-13 | 45 |
| 4. ასტონ ვილა | 22 | 13 | 5 | 4 | 37-24 | 44 |
| 5. არსენალი | 22 | 12 | 5 | 5 | 37-24 | 41 |
| 6. ევერტონი | 21 | 10 | 5 | 6 | 29-25 | 35 |
| 7. ვიგანი | 22 | 9 | 4 | 9 | 25-23 | 31 |
| 8. ვესტ ჰემი | 22 | 8 | 5 | 9 | 29-31 | 29 |
| 9. ჰალი | 22 | 7 | 6 | 9 | 29-42 | 27 |
| 10. ფულჰემი | 20 | 6 | 8 | 6 | 19-17 | 26 |
| 11. მანჩესტერ სიტი | 21 | 7 | 4 | 10 | 39-30 | 25 |
| 12. პორტსმუთი | 21 | 6 | 6 | 9 | 22-34 | 24 |
| 13. ბოლტონი | 22 | 7 | 2 | 13 | 22-30 | 23 |
| 14. ნიუკასლი | 22 | 5 | 8 | 9 | 28-37 | 23 |
| 15. სანდერლენდი | 22 | 6 | 5 | 11 | 23-32 | 23 |
| 16. ტოტენჰემი | 22 | 5 | 6 | 11 | 21-27 | 21 |
| 17. ბლექბერნი | 21 | 5 | 6 | 10 | 25-36 | 21 |
| 18. მიდლსბრო | 22 | 5 | 6 | 11 | 18-33 | 21 |
| 19. სტოკ სიტი | 22 | 5 | 6 | 11 | 19-35 | 21 |
| 20. ვესტ ბრომვიჩი | 22 | 6 | 3 | 13 | 20-37 | 21 |

**ბომბარდირები:** 14 – ანელკა (ჩელსი); 11 – რობინიო (მანჩესტერ სიტი); 10 – ზაქი (ვიგანი); 9 – აგბონლაორი (ასტონ ვილა), ლემპარდი (ჩელსი); 8 – კრისტიანო რონალდო (მანჩესტერ იუნაიტედი), დეფო (პორტსმუთი), სისე (სანდერლენდი), ჯერარდი (ლივერპული), ოუენი (ნიუკასლი), ადებაიორი (არსენალი), ვან პერსი (არსენალი).

### ჩემპიონატი

#### XXVIII ტური

**პრესტონი-ბარნლი 2:1**

გოლები: 1:0 დავიდსონი (53-პენ), 1:1 ბლეიკი (77), 2:1 მელორი (85-პენ).

**ბირმინგემი-კარდიფი 1:1**

გოლები: 0:1 ლედლი (61), 1:1 ბოუიერი (90).

**ქოვენთრი-ბლექპული 2:1**

გოლები: 0:1 კემპბელი (25), 1:1 ბუზელინი (47), 2:1 მიფსუდი (51).

**კრ.პალასი-იფსვიჩი 1:4**

გოლები: 0:1 გარვანი (19), 0:2 ნორისი (28), 1:2 ლი (31), 1:3 ლისბი (69), 1:4 ჰილი (89-საკ.კარში).

**დერბი-ქუინზ პარკი 0:2**

გოლები: 0:1 რუთლიჯი (22), 0:2 ლიგერტვუდი (36).

**ნორვიჩი-ბარნსლი 4:0**

გოლები: 1:0 პულაჰანი (55), 2:0 კურტონი (74), 3:0 კლინგენი (88-პენ), 4:0 რასელი (90).

**ნოტინგემი ფ.-პლიმუთი 2:0**

გოლები: 1:0 ერნშო (24), 2:0 ანდერსონი (51).

**შეფილდ უენ.-ჩარლტონი 4:1**

გოლები: 1:0 პოტერი (16), 2:0 თაჯდეი (38), 3:0 ჯეფერსი (63), 3:1 სპრინგი (86), 4:1 თაჯდეი (90-პენ).

**საუთჰემპტონი-დონკასტერი 1:2**

გოლები: 0:1 ვუდსი (46), 0:2 კოპინგერი (81), 1:2 საგანოვსკი (90).

**სვონსი-რედინგი 2:0**

გოლები: 1:0 სკოტლანდი (45), 2:0 ორლანდი (89).
გაძევება: როსენორი (81. რედინგი)

**უოტფორდი-შეფილდ იუნ. 0:2**

გოლები: 0:1 ვებერი (52), 0:2 ჰენდერსონი (67).

**ბრისტოლი-ვულვერჰემპტ. 2:2**

გოლები: 0:1 კოლინსი (45), 0:2 ჯარვისი (54), 1:2 ადებოლა (58), 2:2 მეინარდი (87).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვულვერჰემპ. | 28 | 18 | 5 | 5 | 57-35 | 59 |
| 2. რედინგი | 28 | 16 | 6 | 6 | 57-26 | 54 |
| 3. ბირმინგემი | 27 | 15 | 7 | 5 | 35-24 | 52 |
| 4. შეფილ იუნ. | 28 | 13 | 8 | 7 | 40-25 | 47 |
| 5. პრესტონი | 28 | 14 | 5 | 9 | 41-34 | 47 |
| 6. კარდიფი | 27 | 11 | 12 | 4 | 37-26 | 45 |
| 7. ბარნლი | 28 | 12 | 7 | 9 | 41-39 | 43 |
| 8. ქუინზ პარკი | 28 | 11 | 9 | 8 | 28-27 | 42 |
| 9. სვონსი | 28 | 9 | 14 | 5 | 37-30 | 41 |
| 10. კრ.პალასი | 27 | 11 | 7 | 9 | 39-32 | 40 |
| 11. იფსვიჩი | 28 | 10 | 9 | 9 | 40-30 | 39 |
| 12. შეფილდ უენ. | 28 | 10 | 8 | 10 | 30-39 | 38 |
| 13. ქოვენთრი | 28 | 9 | 10 | 9 | 32-33 | 37 |
| 14. ბრისტოლი | 27 | 8 | 11 | 8 | 32-34 | 35 |
| 15. პლიმუთი | 27 | 9 | 6 | 12 | 27-31 | 33 |
| 16. ბარნსლი | 28 | 9 | 5 | 14 | 28-37 | 32 |
| 17. ბლექპული | 27 | 7 | 10 | 10 | 27-35 | 31 |
| 18. ნოტინგემ ფ. | 28 | 7 | 9 | 12 | 30-38 | 30 |
| 19. ნორვიჩი | 28 | 8 | 5 | 15 | 36-43 | 29 |
| 20. დერბი | 27 | 7 | 8 | 12 | 28-39 | 29 |
| 21. უოტფორდი | 28 | 7 | 6 | 15 | 38-50 | 27 |
| 22. დონკასტერი | 27 | 7 | 6 | 14 | 19-32 | 27 |
| 23. საუთჰემპტონი | 28 | 6 | 8 | 14 | 24-42 | 26 |
| 24. ჩარლტონი | 28 | 4 | 7 | 17 | 29-51 | 19 |

### I ლიგა

ჰარტლპული-ნორთჰემპტონი 2:0, ბრაიტონი-ლიდსი 0:2, კარლაისლი-მილტონი 3:2, კოლჩესტერი-ჩელტენჰემი 3:1, ქრუ-სკანთორპი 3:2, ჰერეფორდი-ოლდჰემი 5:0, ჰადერსფილდი-სვინდონი 2:1, ლეიტონი-ბრისტოლი 1:2, მილუოლი-ტრანმერი 1:0, პიტერბორო-უოლსოლი 1:0, სტოკპორტი-საუთენდი 3:1, იოვილი-ლესტერი დღეს.

### II ლიგა

ოლდერშოტი-მაკლსფილდი 1:1, ბარნეტი-დაგენჰემი 1:1, ბრედფორდი-აქრინგტონი 1:1, ბრენტფორდი-ნოთს ქაუნთი 1:1, ჩესტერი-ჩესტერფილდი 1:3, დარლინგტონი-ლუტონი 5:1, ექსეტერი-ბერი 0:0, მორკომბი-ჯილინგემი 0:1, პორტ ვეილი-შრუსბერი 1:1, როჩდეილი-ლინკოლნი 2:2, როტერჰემი-ბორნმუთი 1:0, ვიკომბი-გრიმსბი 0:1.

### კონფერენსი

ტორკი-რექსჰემი 1:1, კემბრიჯი-ვოქინგი 4:1, ებსფლიტი-რაშდენი 1:0, ფორესტ გრინი-ისტბურნი 1:2, გრეისი-ბარტონი 0:1, კეტერინგი-სელისბერი 1:0, კიდერმინსტერი-ვიმუთი 0:2, მანსფილდი-ქროული 1:0, ნორთვიჩი-ჰისტონი 1:2, ოქსფორდი-ოლტრინჩემი 1:0, სტივენიჯი-ბეროუ 3:0, იორკი-ლიუისი 3:0.

ინტერვიუ

კრისტოფ დაუმი და ბრუნო ლაბადია

# დაუმი: ჰოფენჰაიმი ჩემპიონი? არა, არა და არა!

## ჰერ კრისტოფი ბუნდესლიგის მოგებას ლევერკუზენს უსურვებს



**კრისტოფ დაუმი** ძალიან გამოცდილი მწვრთნელია, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი და გერმანიის მაშინდელი ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე სიმპათიური ფეხბურთელი ბრუნო ლაბადია კი ახლახან შეუდგა სამწვრთნელო საქმიანობას და წელს პირველად გამოცდის საკუთარ თავს ბუნდესლიგაში. დაუმი ახლო წარსულში „ლევერკუზენს" წვრთნიდა და მისი ყველასათვის კარგად ცნობილი ისტორიები სწორედ ამ კლუბთან არის დაკავშირებული, ლაბადია კი დღეს თავკაცობს „ბაიერს". „ბილდმა" კრისტოფი და ბრუნო ერთ მაგიდასთან დასვა.

**- ჰერ დაუმ, გერმანიის ჩემპიონი ისევ „ბაიერნი" გახდება?**

კრისტოფ დაუმი: - სიმართლე გითხრათ, მე „ლევერკუზენს" ვქომაგობ და გულით მინდა, ვერცხლის სინი „ლევერკუზენმა" დაისაკუთროს. ზაფხულში ეს გუნდი მიზნობრივად გაძლიერდა და „ფარმაცევტებს" დღეს ძალიან კარგი კოლექტივი ჰყავთ, მაგრამ, რაკი ახლა თავიანთი სტადიონის რეკონსტრუქციის გამო დიუსელდორფში გადადიან, ეს ფაქტი გუნდს წარმატებაში ხელს შეუშლის.

**- ლიდერ „ჰოფენჰაიმს" სამი ქულით ჩამორჩებით. ჰერ ლაბადია, თქვენ გჯერათ, რომ „ლევერკუზენს" ჩემპიონობის მოპოვება შეუძლია?**

ბრუნო ლაბადია: - რომ არ მჯეროდეს იმის, რომ „ლევერკუზენს" ერთხელაც გერმანიის ჩემპიონს გავხდი, მაშინ ამ გუნდში არ ვიმუშავებდი. თუმცა ამ სეზონში ჩვენი პროგრამა მაქსიმუმი რომელიმე ევროტურნირის საგზურის მოპოვებაა. ერთი სიტყვით, ხუთეულში აუცილებლად უნდა მოვხვდეთ და რაც უფრო მაღლა, მით უკეთესი! ჩვენ აუცილებლად გვჭირდება წარმატება, რათა ფეხბურთელებმაც და ფანებმაც იგრძნონ, რომ ლევერკუზენში მხოლოდ სტადიონი კი არ უმჯობესდება, არამედ გუნდსაც აქვს პროგრესი. მთავარი ხომ ეს არის, ყველაფერი ამისათვის კეთდება.

**- ჰერ დაუმ, რას ფიქრობთ ლაბადიას შესახებ?**

დაუმი: - ახალგაზრდა მწვრთნელების თაობას, რომელიც გერმანიაში ახლა მოდის, ჩემი აზრით, სათავეში სწორედ ბრუნო ლაბადია უდგას. ეს კაცი უდიდესი მონდომებით მუშაობს, ყოველთვის პოულობს იდეალურ გამოსავალს, ფეხბურთელებსაც ძალიან უყვართ. რაც შეეხება მის სამწვრთნელო შესაძლებლობებს - მიყვარს, როცა მწვრთნელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სტანდარტულებს და სწრაფი პასებით თამაშს. მჯერა, ლაბადიას შეუძლია, რომ ტოპ-მწვრთნელი გახდეს.

ლაბადია: - დიდი მადლობა. მე კრისტოფ დაუმისგანაც ბევრი რამ ვისწავლე, ეს არის მწვრთნელი, რომელიც წლების განმავლობაში ამტკიცებდა, რომ უმაღლესი დონის სპეციალისტია. ფეხბურთელობის დროს სიამოვნებით მეყოლებოდა ისეთი მწვრთნელი, როგორიც კრისტოფია.

**- ჰერ დაუმ, თქვენ თუ სწავლობთ სხვა მწვრთნელებისგან რამეს?**

დაუმი: - ამას წინათ არგენტინაში ვიყავი. დიეგო სიმეონეს შევამჩნიე, რომ გუნდთან და ფეხბურთელებთან ძალიან ახლოს იყო. ადრე მეც ასეთი ვიყავი, მოთამაშეებთან ერთად ყოველთვის ვაგორებდი ბურთს და როდესაც ვარჯიშზე ფეხბურთს გავაჩაღებდით, მეც მოედანზე ვიყავი და მათთან ერთად ვთამაშობდი ხოლმე. გავიდა წლები და როცა შედარებით ასაკოვანი გავხდი, ფეხბურთელებთან დისტანციის დაჭერა მომინდა, მაგრამ მალევე მივხვდი, მოთამაშეებს ძალიან სჭირდებათ, მწვრთნელი მათთან ახლოს რომ იყოს. არ დაგიმალავთ, ამას არგენტინაში ყოფნის დროს მივხვდი.

**- შესაძლებლობა რომ გქონდეთ, რომელ ფეხბურთელებს გადაიბირებდით „ლევერკუზენიდან"?**

დაუმი: - პატრიკ ჰელმესს და შტეფან კისლინგს - ეს ორი ფეხბურთელი რომ მყავდეს, ბედნიერი მწვრთნელი ვიქნებოდი.

**- თემა შევცვალოთ: გიუნტერ ნეტცერი ამბობს, ლუკას პოდოლსკი „ბაიერნში" რომ ვერაფერს გააწყობდა, ეს ჯერ კიდევ 2006 წელს ვიცოდიო...**

ლაბადია: - პოდოლსკიზე ხელაღებით იმის თქმა, რომ არ ვარგა ან აღარ ვარგა, დიდი შეცდომაა. როდესაც მოთამაშე რეგულარულად ხვდება „ბაიერნის" 18 კაცში, ესეც მიღწევაა და ამასაც შეძლება უნდა. მით უმეტეს, რომ ლუკასი მუდმივად თამაშობს გერმანიის ნაკრებში და თანაც, უამრავი გოლი გააქვს.

დაუმი: - ვერ ვიტყვით, რომ ლუკასმა „ბაიერნში" ვერ ივარგა. თუ ამას ვამბობთ, მაშინ იქნებ ისიც ვთქვათ, რომ რეკორდმაისტერში ვერც როი მაკაიმ ივარგა? პოდოლსკი დასაფასებელი თავდამსხმელია და პატივისცემას იმსახურებს. ვფიქრობ, რომ პოლდი „ბაიერნის" სისტემას ვერ შეეწყო და პირიქით. არ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ ლუკასმა მიუნხენში გატარებული ორწლინახევრის განმავლობაში პროგრესი არ განიცადა.

ლაბადია: - გეთანხმებით, პოდოლსკის რეგრესზე ლაპარაკი დიდი შეცდომაა.

**- ნამდვილად ასე ფიქრობთ თუ ფეხბურთელს უკეთებთ გულს?**

დაუმი: - როგორ ფიქრობთ, შეძლებდა პოდოლსკი გერმანიის ნაკრებში რეგულარულად თამაშს და გოლების გატანას, მაგარი თავდამსხმელი რომ არ იყოს?

ლაბადია: - საინტერესო რამ უნდა გითხრათ. ახლახან „მანჩესტერ იუნაიტედის" სკაუტს ვესაუბრე და ვკითხე, სასტარტო შემადგენლობის რამდენი ფეხბურთელი გყავთ-მეთქი. 17-18-ო. სწორედ ამიტომ თამაშობს ხოლმე „მანჩესტერი" სეზონის მიწურულს ძალიან კარგად. მეტსაც გეტყვით: მხოლოდ გერმანიაში ატეხენ ხოლმე წივილ-კივილს, როცა ისეთი ფეხბურთელი, როგორიც პოდოლსკია, გარკვეულ პერიოდს სკამზე გაატარებს. არადა, „ბაიერნი" ტოპ-გუნდია და შესაბამისად, მხოლოდ თერთმეტი კი არა, გაცილებით მეტი ტოპ-ფეხბურთელი სჭირდება.

**- ჰერ დაუმ, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ლუკასი თქვენთან გადმოვა და თქვენ თქვით, პოდოლსკი „კიოლნისთვის" მხოლოდ დასაწყისი იქნებაო.**

დაუმი: - ეს სრული სიმართლეა.

**- რა მიზნები გაქვთ ამ გუნდთან ერთად?**

დაუმი: - პირველი მიზანი ამ სეზონში რომელიმე საპატიო ადგილის დაკავებაა. მომდევნო სეზონში უკვე ცხრილის ზემოთა ნახევარში უნდა დავმკვიდრდეთ და რვა საუკეთესო გუნდს შორის უნდა მოვხვდეთ. უფრო შორეულ გეგმებზე საუბარი კი ჯერ ნაადრევია.

**- „ჰოფენჰაიმისგან" რას ელით? ეს გუნდი პირველი წრის სენსაციური გამარჯვებულია.**

დაუმი: - თუ გახსოვთ, მე პირველი ვიყავი, ვინც ამბობდა, „ჰოფენჰაიმი" ამ სეზონში ძალიან ძლიერი გუნდი იქნება-მეთქი.

**- და თქვენი აზრით, ჩემპიონები გახდებიან?**

დაუმი: - არა, არა და არა!

**- ჰერ ლაბადია, თქვენ რას ფიქრობთ?**

ლაბადია: - ამ გუნდს უდიდესი შესაძლებლობები აქვს, რაც პირველ წრეშიც დამტკიცდა და მეც ვფიქრობ, რომ „ჰოფეს" წარმატებების მიღწევა შეუძლია. ამ გუნდს აქვს ფული და ფულს აზრიანად, მიზანმიმართულად აბანდებს. თუმცა ფეხბურთში ბევრი გაუთვალისწინებელი რამ ხდება. ახლა ტოპ-თავდამსხმელი ვედად იბიშევიჩი დაუშავდათ და ძალიან საინტერესოა, როგორ გადაიტანს რალფ რანგნიკის გუნდი ასეთ სერიოზულ დანაკლისს. ერთი რამ ფაქტია: „ჰოფენჰაიმი" საუკეთესო ხუთეულში მოსახვედრად აუცილებლად იბრძოლებს. ეყოფა თუ არა ძალა იმისათვის, რომ „ვერცხლის სინზეც" ბოლო ტურამდე ჰქონდეს პრეტენზია, ეს უახლოეს მომავალში გამოჩნდება.

დაუმი: - მოდით, მარჩიელობას შევეშვათ და დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები მეორე წრეში. სეზონის განახლებას მოუთმენლად, უდიდესი ინტერესით ველი.

**- როგორ ფიქრობთ, ბუნდესლიგაში ზედმეტად მაღალი ხელფასებია?**

ლაბადია: - სხვა ლიგებთან შედარებით, ნამდვილად არა.

დაუმი: - დიახ, ჩვენ საკმაოდ მაღალი ხელფასები გვაქვს. რასაც მამაჩემი წელიწადში „აკეთებდა", იმდენს დღეს ფეხბურთელები კვირაში იღებენ...

ბუნდესლიგა

# რეალი ვან დერ ვაარტს დიეგოში ცვლის?

## ხუთი სპეკულაცია ბუნდესლიგიდან



**სატრანსფერო** სეზონის დროს უამრავი სწორი თუ მცდარი ინფორმაცია ვრცელდება ხოლმე. გაზეთ „ბილდის" ჟურნალისტებმა ხუთი საინტერესო ჭორი შეიტყვეს. მანამდე, პირველი გაზეთი, რომელმაც დაწერა, რომ ტიმო ჰილდებრანდი „ჰოფენჰაიმში" გადადიოდა, სწორედ „ბილდი" იყო. დღეს ტიმო მართლაც „ჰოფეს" საკუთრებაა...

პირველი იანვრიდან დღემდე, ბუნდესლიგის ყველაზე ძვირადღირებული ტრანსფერი ტიმო გებჰარტის „მიუნხენ 1860"-დან „შტუტგარტში" გადასვლაა, რომლის სანაცვლოდაც შვაბებმა „ლომებს" 3 მილიონი ევრო გადაუხადეს. „ბაიერნმა" ლოს ანჯელეს „გალაქსიდან" ლენდონ დონოვანი ინათხოვრა, მიონხენგლადბახის „ბორუსიამ", რომელსაც მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრება, 4 ფეხბურთელი (მათ შორის გალაშეკი და სტალტერი) შეიძინა და 5 მილიონი დახარჯა. ეს იყო და ეს, ბუნდესლიგაში მეტი აღსანიშნავი ტრანსფერი არ განხორციელებულა...

### ლამი და მანჩესტერ სიტი...

„დეილი მეილის"-ცნობით, „მანჩესტერ სიტის" შეიხებს „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების მარცხენა მცველის, **ფილიპ ლამის** გადაბირება სურთ, რომელსაც მიუნხენურ კლუბთან კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს. 25 წლის ფილიპი **მარკ ჰიუზის** ერთ-ერთი ყველაზე სასურველი მოთამაშე ყოფილა. შეგახსენებთ, რომ ეს უკანასკნელი ადრე „ბაიერნის" თავდამსხმელი გახლდათ. თუმცა ლამი „შტერნთან" საუბარში აცხადებს, „ბაიერნთან" ერთად მსურს დაბერებაო...

### ნოივილი და დუისბურგი...

„გლადბახის" ვეტერან თავდამსხმელ **ოლივერ ნოივილს** სათადარიგოთა სკამზე ჯდომა ყელში ამოუვიდა და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, გუნდის გამოცვლა უნდა. ის უკვე შეხვდა და ესაუბრა მეორე ბუნდესლიგური „დუისბურგის" შეფებს. „ზებრების" მთავარი მწვრთნელი **პეტერ ნოირურერი** ამბობს, ოღონდ ტრანსფერი შედგეს და ნოივილს მიონხენგლადბახიდან ფეხით წამოვიყვანო.

### სანიოლი და მონაკო...

დიდი შანსია, რომ „ბაიერნის" ფრანგი მცველი, 31 წლის **ვილი სანიოლი** მშობლიურ „მონაკოში" დაბრუნდეს და რაც მთავარია, არა ფეხბურთელის, არამედ მენეჯერის რანგში. შეგახსენებთ, რომ ფრანგი ახლა ტრავმირებულია. „მონაკოს" შეფი **ბონტინი** რეკორდმაისტერის დამრიგებელ **იურგენ კლინსმანს** უკვე ესაუბრა...

### ენკე ტრანსფერზე

31 წლის მეკარე **რობერტ ენკეს** „ჰანოვერიდან" წასვლა აქვს გადაწყვეტილი. მას მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა სურს და თანაც, როგორც იცით, აქვს იმის პრეტენზია, რომ გერმანიის ნაკრების პირველი მეკარე იყოს.

### დიეგო ვან დერ ვაარტში იცვლება?

ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, ჯერ კიდევ ზაფხულში, „ვერდერის" ბრაზილიელი გამთამაშებელი **დიეგო** მადრიდის „რეალის" ხელმძღვანელებს სიტყვიერად შეუთანხმდა ტრანსფერზეო. „ბილდის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „რეალი" „ვერდერისთვის" გაცვლის შეთავაზებას აპირებს: **რაფაელ ვან დერ ვაარტი** დიეგოს სანაცვლოდ...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## საფრანგეთი

XXI ტური

### გრენობლი–ლიონი 0:2

**გრენობლი:** ვიმბე, ჟემალი, ფლამე, პეიო, ვიტაკიჩი, ფეგული (80. ნ'განგა), რომაო, ბანინგი, ჯა ჯეჯე (75. რავე), ლ. ტურე (69. ბატლი), აკრური.

**ლიონი:** ლორისი, გასამა, კრისი, ბუმსონგი, გროსო, ჟუნინიო, ტულალანი, კალსტრიომი, ედერსონი (63. პიანიჩი), დელგადო (90. აბ. კეიტა), ბენზემა.

**გოლები:** 0:1 ედერსონი (15), 0:2 დელგადო (77)

**გაფრთხილება:** 0-2

**მაყურებელი:** 19 264

### ლორიანი–ვალანსი 1:1

**ლორიანი:** ოდარი, მორელი, სიანი, მარშალი, ლე ლანი, აბრიელი, ამალფიტანო, ობერტანი (85. მანსური), ჟუფრე (74. ლე პენი), გამეირო, ვაირუა (64. ნამუში).

**ვალანსი:** პენეტო, დ. ტრაორე, ბიშევაცი, შმიტცი, ტიენე, სანჩესი, ჟეოვანიო, მატერი, დანიკი (71. ლაკური), პუჟოლი (87. საესი), დარშეილი (74. ოდელი).

**გოლები:** 0:1 დარშეილი (27), 1:1 სიანი (43)

**გაფრთხილება:** 1-3

**მაყურებელი:** 11 816

### მარსელი–ჰავრი 2:0

**მარსელი:** მანდანდა, ბონარი, ზუბარი, ჰილტონი, ტაივო, კაბორე (46. ბ. კონე), ბეშეირუ, კ. ზიანი, ვალბუენა (75. ბენ არფა), ზენდენი, სამასა (71. ბრანდაო).

**ჰავრი:** რევო, ბაკა, ა. ბა, ფრანკარი (72. ჟილე), მარანჟი, ანენი, დიოზი (70. ბენ იდირი), ნორო, ალასანი (61. დიალო), ლესაჟი, ი. ბოლი.

**გოლები:** 1:0 ვალბუენა (25), 2:0 ზუბარი (60)

**გაფრთხილება:** 3-1

**მაყურებელი:** 45 721

### ნანტი–ბორდო 1:2

**ნანტი:** ალონზო, მულეკი, პიერი, პულარი, გიიონი, დე ფრეიტასი (75. ჯორჯევიჩი), ნ'დავი, რ. ფატი, აბდუნი, ა. კაპუე, ბეკამენგა (75. ტ. დოსევი).

**ბორდო:** რამე, შალმე, სო. დიავარა, ენრიკე, ტრემულინასი, ა. დიარა, იუსი, გურკუფი, ვენდელი, შამახი, კავენაგი (69. ფერნანდო).

**გოლები:** 0:1 გურკუფი (10), 0:2 შამახი (70), 1:2 ჯორჯევიჩი (88)

**გაფრთხილება:** 1-0

**მაყურებელი:** 26 008

### ნიცა–ოსერი 2:0

**ნიცა:** ოსპინა, დ. დიაკიტე, აპამი, კანტე (82. სიდი), როოლი, ფაე, ემუაფნი, ელებუიკი, ლ. რემი, მოდესტე (46. ბამოგო), მულუნგუი (64. მა. ტრაორე).

**ოსერი:** სორენი, ენგბარტი, ა. კულიბალი, გრიშტინგი, მინო, ოლიეში, პედრეტი, ბერტო (64. ნიკულაე), ნარი (81. ლანჟილი), ლეჟონი (81. კალენბერგი), კიტამბალა.

**გოლები:** 1:0 რემი (49), 2:0 ბამოგო (90+1)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 8 655

### სტ. ეტიენი–ლე მანი 1:1

**სტ. ეტიენი:** ჟანო, ვარო, მ. დაბო, ბენალუანი, დერნისი (64. მაშადო), მატუიდი, ოტკოერი, პერენი, მაცუი, ილანი (80. მირალა), ბ. გომისი.

**ლე მანი:** ი. პელე, იბ. კამარა (79. ლამა), სედრანი, აბენონი, ბუპური (60. ბენ ფრეჯი), ლუვიონი (73. ლე ტალეკი), კუტადორი, დერვინიო, სტრომსტადი, მაეგა, ჰელსტადი.

**გოლები:** 1:0 ბ. გომისი (54), 1:1 ჰელსტადი (87)

**გაფრთხილება:** 0-1

**მაყურებელი:** 26 484

### ტულუზა–ნანსი 3:0

**ტულუზა:** კარასო, ებონდო, კონგრე, ფოფანა, მატიო, ე. კაპუე, დიდო (34. სირიეი), მუ. სისოკო, ბრაატენი (70. პაულო სეზარი), ბერგუნუ (79. ბონე), გინიაკი.

**ნანსი:** ბრასილიანო, შრეტიენი, ანდრე ლუისი, მაკალუსო, ბიანკალანი, ელდერი (63. ზერკა), ბერენგერი (59. ფერე), გავანონი, ბრისონი (78. გუნარსონი), ი. ჰაჯი, დია.

**გოლები:** 1:0 ანდრე ლუისი (45+2-საკ. კარში), გინიაკი (81), 3:0 პაულო სეზარი (88)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 13 867

### კაენი–მონაკო 2:2

**კაენი:** პლანტე, ბარზოლა, გ. ლეკა, სორბონი, სეობი, რ. გომისი, დერუანი, ნივე, ბენ ხალფალა, ელუჩანსი (57. ტუდიჩი), სავიდანი.

**მონაკო:** ტიურამი, მონგონგუ (78. მოდესტო), შიმიჩი, მიულერი, მურატორი, გოსო, პოკრივაცი, ალონსო (84. ლიკატა), მოლო, პარკი, პინო (82. მერიემი).

**გოლები:** 0:1 პინო (7), 0:2 ალონსო (24), 1:2 სავიდანი (73), 2:2 ნივე (90+2)

**გაფრთხილება:** 1-2

**მაყურებელი:** 18 340

### პსჟ–სოშო 2:1

**პსჟ:** ლანდრო, სეარა, ზ. კამარა, სახო, არმანი, მაკელელე (46. ბურილიონი), კლემანი, სესენონი, როტენი (83. კეჟმანი), ოარო, ლუინდულა (69. ჟიული).

**სოშო:** გავანონი, ფატი, პერკისი, აფოლაბი, იოკიჩი, პიტო (71. ბუდებუ), ისაბეი (71. ფ. სანტოსი), კარლაო (46. მალ. მარტენი), მორის-ბელეი, სვერკოსი, ერდინგი.

**გოლები:** 1:0 ოარო (45+3), 1:1 სვერკოსი (50), 2:1 ლუინდულა (63)

**გაფრთხილება:** 2-2

**მაყურებელი:** 34 915

### ლილი–რენი 1:0

**ლილი:** მალიჩკი, ემერსონი, რამი, პრესტანი, ბალმონი, ობრანიაკი, მავუბა, დებუში (41. ბერია), კაბეიე (82. დუმონი), მიშელ ბასტოსი, ფრო (71. ფოვერგი).

**რენი:** დუშე, ფანი, ბოკანეგრა, ჰანსონი, ბრ. შეირუ, მანგანი, მ'ბია (80. კემბო-ეკოკო), ლემუანი, პაჟისი (68. გიანი), ბრიანი, სოვი (60. ლერუა).

**გოლი:** 1:0 ჰანსონი (75. საკ. კარში)

**გაძევება:** ბრ. შეირუ (89. რენი)

**გაფრთხილება:** 1-3

**მაყურებელი:** 25 000

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 21 | 12 | 6 | 3 | 26-13 | 42 |
| 2. ბორდო | 21 | 12 | 5 | 4 | 37-20 | 41 |
| 3. მარსელი | 21 | 10 | 8 | 3 | 37-24 | 38 |
| 4. რენი | 21 | 9 | 10 | 2 | 25-14 | 37 |
| 5. ტულუზა | 21 | 10 | 7 | 4 | 23-15 | 37 |
| 6. პსჟ | 21 | 11 | 3 | 7 | 26-22 | 36 |
| 7. ლილი | 20 | 9 | 8 | 3 | 29-19 | 35 |
| 8. ნიცა | 20 | 9 | 6 | 5 | 25-19 | 33 |
| 9. ლორიანი | 21 | 7 | 7 | 7 | 27-25 | 28 |
| 10. ნანსი | 20 | 6 | 7 | 7 | 18-20 | 25 |
| 11. ლე მანი | 20 | 7 | 4 | 9 | 26-29 | 25 |
| 12. გრენობლი | 21 | 6 | 7 | 8 | 13-20 | 25 |
| 13. კაენი | 20 | 5 | 9 | 6 | 25-23 | 24 |
| 14. მონაკო | 21 | 6 | 6 | 9 | 25-27 | 24 |
| 15. ნანტი | 21 | 6 | 5 | 10 | 18-28 | 23 |
| 16. ოსერი | 21 | 5 | 5 | 11 | 14-23 | 20 |
| 17. სტ.ეტიენი | 21 | 6 | 2 | 13 | 16-30 | 20 |
| 18. სოშო | 21 | 2 | 11 | 8 | 20-27 | 17 |
| 19. ვალანსი | 20 | 3 | 7 | 10 | 17-26 | 16 |
| 20. ჰავრი | 21 | 3 | 3 | 15 | 14-37 | 12 |

**ბომბარდირები:** 13 - გინიაკი (ტულუზა); 12 - კავენაგი (ბორდო), ოარო (პსჟ); 10 - ბენზემა (ლიონი); 9 - ბასტოსი (ლილი); 8 - სავიდანი (კაენი); 7 - რემი (ნიცა), ობრანიაკი (ლილი); 6 - პაჟისი (რენი), ბენ არფა (მარსელი), კონე (მარსელი), გამეირო (ლორიანი), ნიანგი (მარსელი), მაეგა (ლე მანი), ერდინგი (სოშო), ლიკატა (მონაკო), შამახი (ბორდო), ნივე (კაენი), ჰელსტადი (ლე მანი), ბამოგო (ნიცა).

#### II დივიზიონი

XX ტური

| | |
|---|---|
| აიაჩო–რეიმსი | 2:1 |
| ამიენი–მონპელიე | 2:0 |
| ანჟერსი–ბასტია | 2:0 |
| კლერმონი–ბრესტი | 2:0 |
| გინგამი–ბულონი | 3:0 |
| ლანსი–ვანი | 2:1 |
| ნიმი–სედანი | 2:1 |
| სტრასბური–დიჟონი | 0:0 |
| ტური–მეცი | 1:4 |
| ტრუა–შატორუ | 2:2 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლანსი | 20 | 13 | 1 | 6 | 29-21 | 40 |
| 2. ბულონი | 20 | 10 | 5 | 5 | 26-18 | 35 |
| 3. სტრასბური | 19 | 9 | 7 | 3 | 29-18 | 34 |
| 4. ანჟერსი | 19 | 9 | 7 | 3 | 28-17 | 34 |
| 5. მონპელიე | 20 | 9 | 6 | 5 | 33-18 | 33 |
| 6. მეცი | 19 | 9 | 5 | 5 | 23-16 | 32 |
| 7. ტური | 20 | 8 | 4 | 8 | 27-29 | 28 |
| 8. ვანი | 20 | 8 | 4 | 8 | 15-18 | 28 |
| 9. ტრუა | 19 | 7 | 6 | 6 | 20-19 | 27 |
| 10. ბასტია | 20 | 7 | 5 | 8 | 21-23 | 26 |
| 11. კლერმონი | 20 | 6 | 7 | 7 | 24-27 | 25 |
| 12. გინგამი | 20 | 5 | 9 | 6 | 19-18 | 24 |
| 13. ამიენი | 19 | 5 | 9 | 5 | 17-16 | 24 |
| 14. აიაჩო | 19 | 6 | 5 | 8 | 27-32 | 23 |
| 15. ბრესტი | 20 | 7 | 2 | 11 | 19-24 | 23 |
| 16. დიჟონი | 19 | 5 | 7 | 7 | 20-24 | 22 |
| 17. შატორუ | 19 | 5 | 6 | 8 | 20-24 | 21 |
| 18. სედანი | 19 | 5 | 6 | 8 | 18-25 | 21 |
| 19. ნიმი | 20 | 3 | 7 | 10 | 16-28 | 16 |
| 20. რეიმსი | 19 | 2 | 6 | 11 | 19-35 | 12 |

## უელსი

XXII ტური

| | |
|---|---|
| ეირბასი–ლანელი | 0:4 |
| ბანგორი–ნითი | 0:1 |
| ქონეისი–პორტ ტალბოტი | 0:2 |
| რილი–პორტმედოგი | 2:0 |
| ტნს–ნიუთაუნი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რილი | 19 | 15 | 2 | 2 | 55-16 | 47 |
| 2. ლანელი | 18 | 14 | 2 | 2 | 60-30 | 44 |
| 3. ტნს | 20 | 12 | 6 | 2 | 45-19 | 42 |
| 4. კარმარტენი | 19 | 11 | 3 | 5 | 32-26 | 36 |
| 5. ბანგორი | 19 | 10 | 3 | 6 | 35-23 | 33 |
| 6. ეზერსვითი | 19 | 9 | 6 | 4 | 38-27 | 33 |
| 7. ჰევერფორდვ | 20 | 9 | 5 | 6 | 35-25 | 32 |
| 8. ქონეისი | 19 | 7 | 3 | 9 | 30-30 | 24 |
| 9. ნიუთაუნი | 17 | 6 | 5 | 6 | 28-30 | 23 |
| 10. პ. ტალბოტი | 19 | 6 | 5 | 8 | 30-36 | 23 |
| 11. ეირბასი | 19 | 6 | 3 | 10 | 24-34 | 21 |
| 12. უელშპული | 18 | 5 | 4 | 9 | 27-39 | 19 |
| 13. პორტმედოგი | 19 | 6 | 1 | 12 | 34-56 | 19 |
| 14. პრესტატინი | 18 | 4 | 6 | 8 | 31-40 | 18 |
| 15. ნეუი | 20 | 5 | 3 | 12 | 37-53 | 18 |
| 16. ქარსოუსი | 18 | 4 | 5 | 9 | 19-32 | 17 |
| 17. ნითი | 19 | 4 | 3 | 12 | 22-43 | 15 |
| 18. ქარნარფონი | 18 | 2 | 3 | 13 | 18-41 | 6 |

## მექსიკა

### კლაუსურა

I ტური

| | |
|---|---|
| ტეკოსი–ინდიოსი | 1:2 |
| ხაგუარესი–ატლასი | 2:1 |
| მონტერეი–პუებლა | 4:0 |
| ჩივასი–კრუს ასული | 3:3 |
| მორელია–სან ლუისი | 0:0 |
| ნეკაქსა–პუმასი | 1:2 |
| ტოლუკა–ატლანტე | 3:3 |
| პაჩუკა–ტიგრესი | გვ. დასრულდა |
| სანტოსი–ამერიკა | გვ. დასრულდა |

## პორტუგალია

### ლიგის თასი

| | |
|---|---|
| პორტუ–აკადემიკა | 1:0 |
| სეტუბალი–ნასიონალი | 1:0 |
| მარიტიმუ–რიუ ავე | 1:2 |
| სპორტინგი–ფეირენსე | 5:1 |
| ბენფიკა–ბელენენსეში | 1:0 |
| გიმარაეში–ოლჰანენსე | 3:0 |

## ჰოლანდია

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ჰერენვენი–ფეიენორდი | 3:1 |
| გრააფსხაპი–ვილემი | 1:0 |
| დენ ჰააგი–ჰერაკლესი | 2:2 |
| ტვენტე–ვიტესი | 2:1 |
| ბრედა–უტრეხტი | 1:1 |
| როდა–ეინდჰოვენი | 1:1 |
| ვოლენდამი–ალკმაარი | 0:2 |
| ნიმეგენი–აიაქსი | 2:4 |
| სპარტა–გრონინგენი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალკმაარი | 18 | 14 | 2 | 2 | 39-11 | 44 |
| 2. აიაქსი | 18 | 13 | 2 | 3 | 45-19 | 41 |
| 3. ტვენტე | 18 | 11 | 4 | 3 | 35-17 | 37 |
| 4. ჰერენვენი | 18 | 9 | 5 | 4 | 39-38 | 32 |
| 5. ეინდჰოვენი | 18 | 9 | 4 | 5 | 31-18 | 31 |
| 6. ბრედა | 18 | 9 | 3 | 6 | 27-26 | 30 |
| 7. გრონინგენი | 18 | 8 | 3 | 7 | 37-25 | 27 |
| 8. ნიმეგენი | 18 | 7 | 5 | 6 | 27-22 | 26 |
| 9. უტრეხტი | 18 | 7 | 5 | 6 | 24-22 | 26 |
| 10. ვილემი | 18 | 7 | 3 | 8 | 24-27 | 24 |
| 11. ჰერაკლესი | 18 | 5 | 6 | 7 | 19-28 | 21 |
| 12. ფეიენორდი | 18 | 5 | 4 | 9 | 31-29 | 19 |
| 13. სპარტა | 18 | 5 | 4 | 9 | 31-42 | 19 |
| 14. დენ ჰააგი | 18 | 4 | 4 | 10 | 21-28 | 16 |
| 15. გრააფსხაპი | 18 | 4 | 4 | 10 | 13-34 | 16 |
| 16. როდა | 18 | 3 | 6 | 9 | 22-35 | 15 |
| 17. ვიტესი | 18 | 3 | 6 | 9 | 16-32 | 15 |
| 18. ვოლენდამი | 18 | 3 | 2 | 13 | 19-47 | 11 |

#### II დივიზიონი

XXII ტური

დენ ბოში-ექსელსიორი 0:0; ფორტუნა-ჰელმონდი 3:1; ვენლო-როსენდალი 3:1; ეინდჰოვენი A-ტელსტარი 1:4; აპელდორნი-ვაალვეიკი 2:2; დორდრეხტი-ტოპ ოსი 2:0; ომნივორლდი-ემენი 1:0; ვეენდამი-მაასტრიხტი 1:0; ჰაარლემი-კამბური 0:1; იგლზი-ცვოლე 0:1.

## ბელგია

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი–სერკლი | 1:2 |
| ბრიუგე–მეხელენი | 3:0 |
| კორტრეიკი–რუზელარე | 2:1 |
| ლოკერენი–ვარეგემი | 2:1 |
| მონსი–გენტი | 1:2 |
| მუსკრონი–ტუბიზე | 1:1 |
| სტანდარდი–დენდერი | 3:2 |
| შარლერუა–ვესტერლო | 1:2 |
| ბეერსხოტი–გენკი | 4:1 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 18 | 12 | 2 | 4 | 44-19 | 38 |
| 2. სტანდარდი | 18 | 11 | 4 | 3 | 33-19 | 37 |
| 3. ბრიუგე | 18 | 10 | 4 | 4 | 32-23 | 34 |
| 4. სერკლი | 18 | 10 | 1 | 7 | 31-29 | 31 |
| 5. ვესტერლო | 18 | 9 | 4 | 5 | 24-21 | 31 |
| 6. ლოკერენი | 18 | 7 | 9 | 2 | 24-15 | 30 |
| 7. გენკი | 18 | 9 | 3 | 6 | 27-26 | 30 |
| 8. მუსკრონი | 18 | 8 | 4 | 6 | 29-23 | 28 |
| 9. გენტი | 18 | 7 | 5 | 6 | 35-25 | 26 |
| 10. კორტრეიკი | 18 | 6 | 7 | 5 | 20-25 | 25 |
| 11. ვარეგემი | 18 | 7 | 3 | 8 | 26-25 | 24 |
| 12. შარლერუა | 18 | 6 | 3 | 9 | 23-28 | 21 |
| 13. ბეერსხოტი | 18 | 4 | 6 | 8 | 22-24 | 18 |
| 14. მეხელენი | 18 | 4 | 6 | 8 | 19-31 | 18 |
| 15. ტუბიზე | 18 | 4 | 3 | 11 | 21-37 | 15 |
| 16. დენდერი | 18 | 3 | 6 | 9 | 23-36 | 15 |
| 17. მონსი | 18 | 3 | 6 | 9 | 20-26 | 15 |
| 18. რუზელარე | 18 | 2 | 4 | 12 | 14-35 | 10 |

#### II დივიზიონი

XX ტური

ბევერენი-ოლ. შარლერუა 0:0; დაინცე-ოსტენდე 3:3; ეუპენი-ნამური 1:1; ბრიუსელი-ვაასლანდი 2:0; ლიერსი-ანტვერპენი 4:1; ლომელი-ლიეჟი 1:1; სტ. ტრუიდენი-ჰამე 4:1; ვირტონი-ჰევერლე 2:0; ტინენი-ტურნე 1:1.

## შოტლანდია

XXII ტური

| | |
|---|---|
| ჰამილტონი–ინვერნესი | 1:0 |
| ჰიბერნიანი–სტ. მირენი | 2:0 |
| კილმარნოკი–ჰართსი | 0:2 |
| რეინჯერსი–ფალკირკი | 3:1 |
| აბერდინი–სელტიკი | 4:2 |
| დანდი იუნ–მაზერველი | 0:4 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 22 | 16 | 3 | 3 | 49-24 | 51 |
| 2. რეინჯერსი | 22 | 15 | 4 | 3 | 51-18 | 49 |
| 3. აბერდინი | 22 | 11 | 3 | 8 | 29-24 | 36 |
| 4. დანდი იუნ | 22 | 9 | 8 | 5 | 30-26 | 35 |
| 5. ჰართსი | 22 | 10 | 5 | 7 | 22-22 | 35 |
| 6. ჰიბერნიანი | 22 | 8 | 6 | 8 | 28-28 | 30 |
| 7. მაზერველი | 22 | 8 | 3 | 11 | 25-31 | 27 |
| 8. კილმარნოკი | 22 | 8 | 2 | 12 | 22-30 | 26 |
| 9. სტ. მირენი | 22 | 7 | 4 | 11 | 16-24 | 25 |
| 10. ჰამილტონი | 22 | 7 | 2 | 13 | 20-36 | 23 |
| 11. ფალკირკი | 22 | 4 | 6 | 12 | 23-34 | 18 |
| 12. ინვერნესი | 22 | 5 | 2 | 15 | 20-38 | 17 |

#### I დივიზიონი

XXI ტური

დანფერმლაინი-ეირდრი 1:1; დანდი-მორტონი 0:0; ლივინგსტონი-კლაიდი 1:1; პარტიკი-სტ. ჯონსტონი 0:0; როსი-ქუინი 1:0.

#### II დივიზიონი

XXI ტური

არბროა-ისტ ფაიფი 0:2; პიტერჰედი-ალოა 2:2; ქუინზ პარკი-ბრეჩინი 0:0; რეითი-სტრანრარი 2:1; სტირლინგი-ეირი 2:0.

#### III დივიზიონი

XXI ტური

ალბიონი-ბირუიკი 2:1; დამბარტონი-სტენჰაუზმური 1:0; ისტ სტირლინგი-ფორფარი 3:2; ელჯინი-კოუდენბითი 1:1; მონროუზი-ანენი 0:3.

## საბერძნეთი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| პანსერაიკოსი–ოლიმპიაკოსი | 0:1 |
| ასტერასი–ტრასივულოსი | 3:0 |
| ირაკლისი–აეკ | 0:1 |
| ლევადია–ერგოტელისი | 4:0 |
| ოფი–პანიონიოსი | 2:0 |
| ქსანთი–ლარისა | 1:1 |
| პანათინაიკოსი–არისი | 4:0 |
| პაოკ–პანთრაკიკოსი | 2:0 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 18 | 14 | 3 | 1 | 31-7 | 45 |
| 2. პანათინაიკოსი | 18 | 10 | 6 | 2 | 34-13 | 36 |
| 3. პაოკ | 18 | 10 | 6 | 2 | 21-9 | 36 |
| 4. აეკ | 18 | 7 | 10 | 1 | 21-16 | 31 |
| 5. ლარისა | 18 | 6 | 8 | 4 | 23-17 | 26 |
| 6. პანიონიოსი | 18 | 7 | 4 | 7 | 23-22 | 25 |
| 7. არისი | 18 | 6 | 6 | 6 | 14-18 | 24 |
| 8. ქსანთი | 18 | 5 | 8 | 5 | 12-11 | 23 |
| 9. ლევადია | 18 | 6 | 4 | 8 | 16-16 | 22 |
| 10. პანთრაკიკოსი | 18 | 6 | 4 | 8 | 11-18 | 22 |
| 11. ირაკლისი | 18 | 5 | 7 | 6 | 15-18 | 22 |
| 12. ერგოტელისი | 18 | 5 | 5 | 8 | 20-28 | 20 |
| 13. ასტერასი | 18 | 3 | 8 | 7 | 17-20 | 17 |
| 14. ოფი | 18 | 3 | 5 | 10 | 19-31 | 14 |
| 15. ტრასივულოსი | 18 | 3 | 3 | 12 | 15-31 | 12 |
| 16. პანსერაიკოსი | 18 | 2 | 5 | 11 | 9-26 | 11 |

#### II დივიზიონი

XVIII ტური

იონიკოსი-ეთნიკოსი 0:4; აგროტიკოსი-ანაგენისი 3:0; აპოლონი-ეთნიკოსი (ა) 0:1; დიაგორასი-კალამატა 3:0; ილისიაკოსი-იანინა 1:1; კალითეა-კასტორია 1:1; კერკირა-კავალა 0:0; ვერია-ატრომიტოსი 1:3; ოლიმპიაკოსი-პიერიკოსი დღეს.

## ისრაელი

XVII ტური

| | |
|---|---|
| ბნეი სახნინი–ჰაკოაჩი | 0:1 |
| ჰაპოელი (თ-ა)–აშდოდი | 2:0 |
| მაკაბი (ფ-თ)–მაკაბი (ჰ) | 2:0 |
| ბეითარი–ჰაპოელი (ქ-შ) | 2:2 |
| ბნეი იეჰუდა–ჰაპოელი (ფ-თ) | 1:0 |
| მაკაბი (ნ)–მაკაბი (თ-ა) | დღეს |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაკაბი (ჰ) | 16 | 9 | 5 | 2 | 28-15 | 32 |
| 2. ჰაპოელი (თ-ა) | 16 | 7 | 7 | 2 | 22-10 | 28 |
| 3. მაკაბი (ნ) | 15 | 7 | 7 | 1 | 23-14 | 28 |
| 4. მაკაბი (ფ-თ) | 16 | 5 | 8 | 3 | 16-14 | 23 |
| 5. ბეითარი | 16 | 5 | 9 | 2 | 20-13 | 22 |
| 6. აშდოდი | 16 | 6 | 3 | 7 | 28-28 | 21 |
| 7. ბნეი იეჰუდა | 16 | 6 | 3 | 7 | 15-17 | 21 |
| 8. ჰაპოელი (ფ-თ) | 16 | 5 | 3 | 8 | 17-22 | 18 |
| 9. მაკაბი (თ-ა) | 15 | 3 | 7 | 5 | 13-16 | 16 |
| 10. ჰაპოელი (ქ) | 16 | 3 | 6 | 7 | 10-21 | 15 |
| 11. ბნეი სახნინი | 16 | 3 | 5 | 8 | 11-20 | 14 |
| 12. ჰაკოაჩი | 16 | 2 | 5 | 9 | 14-27 | 11 |

## კვიპროსი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ეთნიკოსი–დოხა | 2:0 |
| აეპ–ანორთოსისი | 2:2 |
| ომონია–აპოელ | 0:1 |
| ენოსისი–აპოლონი | 0:3 |
| აეკ–ალკი | 1:1 |
| აპოპ–ატრომიტოსი | 3:1 |
| აელ–აპეპ | დღეს |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ომონია | 18 | 15 | 0 | 3 | 47-13 | 45 |
| 2. აპოელ | 18 | 14 | 3 | 1 | 36-12 | 45 |
| 3. ანორთოსისი | 18 | 14 | 2 | 2 | 30-12 | 44 |
| 4. ეთნიკოსი | 18 | 8 | 7 | 3 | 23-18 | 31 |
| 5. აპოლონი | 18 | 9 | 2 | 7 | 29-22 | 29 |
| 6. აპოპ | 18 | 8 | 3 | 7 | 23-24 | 27 |
| 7. აელ | 17 | 8 | 2 | 7 | 22-22 | 26 |
| 8. დოხა | 18 | 5 | 6 | 7 | 22-26 | 21 |
| 9. ალკი | 18 | 4 | 6 | 8 | 19-28 | 18 |
| 10. ენოსისი | 18 | 4 | 4 | 10 | 16-35 | 16 |
| 11. აპეპ | 17 | 3 | 6 | 8 | 23-28 | 15 |
| 12. აეპ | 18 | 2 | 9 | 7 | 22-30 | 15 |
| 13. აეკ | 18 | 1 | 6 | 11 | 15-29 | 9 |
| 14. ატრომიტოსი | 18 | 1 | 2 | 15 | 10-38 | 5 |

## თურქეთის თასი

| | |
|---|---|
| ანთალია–გაზიანთეპი | 2:0 |
| ტრაბზონი–ბბ გაზიანთეპი | 1:0 |
| ალთაი–ანკარა | 2:3 |
| გალათასარაი–მალათია | 4:2 |
| კონია–ალანია | 4:0 |
| მანისა–შივასი | 0:1 |
| ბურსა–თოქათი | 6:0 |
| ფენერბაჩე–ესქიშეჰირი | 3:0 |

## თურქეთი

#### II დივიზიონი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ორდუ–დიარბაქირი | 0:1 |
| გიუნგორენი–რიზე | 2:1 |
| ერჩიესი–სამსუნი | 0:0 |
| გირესუნი–ყარაბუქი | 2:3 |
| ადანა–ქასიმფაშა | დღეს |

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი–პრშიბრამი | 1:1 |
| ლიბერეცი–იაბლონეცი | 1:1 |
| ოლბორგი–საივე | 3:2 |
| სიონი–სერვეტი | 3:0 |
| კოპენჰაგენი–ციურიხი | 3:1 |
| ოსნაბრიუკი–ჰერტა | 0:1 |
| ბორუსია (მ)–შახტარი | 0:3 |
| ბამბერგი–ბაიერნი | 0:3 |
| ქსამაქსი–ფონდსი | 1:1 |
| ბოჰემიანსი–ალზენი | 1:2 |
| ინგოლშტადტი–პადერბორნი | 1:1 |
| ერფურტი–ვეენი | 2:1 |
| უნტერჰახინგი–დინამო (ს) | 3:3 |

## მანჩესტერ სიტი



მარკ ჰიუზი

# FANTASY FOOTBALL მანჩესტერში

### კაკა მხოლოდ დასაწყისია, ჰიუზმა დე იონგი შეიძინა, რამდენხანს შეინარჩუნებს უელსელი მწვრთნელი სამსახურს?

"მანჩესტერ სიტი" მზადაა, პოპულარული ინტერნეტთამაში, "ფენტეზი ფუტბოლი" რეალობად აქციოს. "დეილი მეილის" ცნობით, **კაკას** 100-მილიონიანი ტრანსფერი მხოლოდ დასაწყისია. ბრიტანული ტაბლოიდი ირწმუნება, რომ "სიტის" სასურველი ფეხბურთელების სიაში კიდევ არა ერთი ვარსკვლავია, მათ შორის ბარსელონელი **ლეო მესი**, ჩელსელი **ფრენკ ლემპარდი** და ლივერპულელი **სტივ ჯერარდი**. უფრო მეტიც, "სიტი" თვით თანაქალაქელი "იუნაიტედის" უპირველეს ვარსკვლავებს, **კრისტიანო რონალდოსა და უეინ რუნის** უმიზნებსო, წერს "დეილი მეილი". **შეიხ მანსურს** განზრახული აქვს, "მანჩესტერ სიტი" ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე წარმატებულ კლუბად გადააქციოს.

კაკას ტრანსფერთან დაკავშირებული მოლაპარაკებები დასკვნით სტადიაშია. ბრაზილიელი ნახევარმცველი "როსონერის" ნამდვილი სიმბოლოა. წლების განმავლობაში ის ხელშეუხებელი მოთამაშის სტატუსით სარგებლობდა. თუ "სიტი" მაინც მოახერხებს მის შეძენას, ხელშეუხებელი ფეხბურთელები უბრალოდ აღარ იარსებებენ. კაკას ტრანსფერით დადასტურდება, რომ ყველა სუპერვარსკვლავს თავისი ფასი აქვს და ვინც ამ ფასს გადაიხდის, ფეხბურთელიც მისი იქნება.

საყოველთაო ფინანსური კრიზისის პირობებში, ძნელია, უყურადღებოდ დატოვო ისეთი ხელგაშლილი წინადადება, როგორსაც "სიტი" სასურველი ფეხბურთელების სანაცვლოდ აკეთებს. გუშინ მანჩესტერულმა კლუბმა "ჰამბურგისა" და ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველი **ნაიჯელ დე იონგი** შეიძინა. ტრანსფერის ღირებულებამ 19 მილიონი გირვანქა შეადგინა. "ჰამბურგი" ამ შეთავაზებას დაუფიქრებლად დათანხმდა. კონტრაქტის პერსონალური დეტალების შეთანხმება არც დე იონგს გასჭირვებია.

ნაიჯელი 24 წლისაა. იმის გარდა, რომ ის წარმატებული ფეხბურთელია, არანაკლებ წარმატებულ ბიზნესმენადაც ითვლება. ნაიჯელ დე იონგს ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო სწრაფად მზარდი ავტომობილების სადილერო ქსელი აქვს. მართალია, ფინანსურმა კრიზისმა მის ბიზნესსაც დაამჩნია კვალი, მაგრამ დე იონგი გულს არ იტეხს. მას განზრახული აქვს, თავისი ბიზნესი შუა აღმოსავლეთისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების ხარჯზე გააფართოვოს. "მანჩესტერ სიტიში" გადასვლა მას ალბათ დაეხმარება, ურთიერთობა დაამყაროს შეიხ მანსურთან. გავლენიანი ნაცნობობა კი ფეხბურთელ-ბიზნესმენს აუცილებლად გამოადგება.

დე იონგს სანაკრებო აქტივში 30 მატჩია. ის "აიაქსის" აღზრდილია. ფეხბურთელმა ამსტერდამიდან ჰამბურგს 2006 წლის ზაფხულში, სულ რაღაც 1 მილიონ გირვანქად მიაშურა. ნაიჯელის შეძენა ევროპულ გრანდებს – "ბარსელონას", "რეალსა" და "იუვენტუსს" სურდათ, მაგრამ საკითხი ფულმა გადაწყვიტა. დე იონგს ყველაზე სარფიანი კონტრაქტი "მანჩესტერ სიტიმ" შესთავაზა. ნაიჯელ დე იონგი **მარკ ჰიუზის** მეორე შენაძენია. იანვრის დასაწყისში უელსელმა სპეციალისტმა ინგლისის ნაკრების მცველს **უეინ ბრიჯს** გაუფორმა კონტრაქტი. მანჩესტერელებს ეს ბიჭი 11 მილიონი გირვანქა დაუჯდათ.

"სიტის" ტრანსფერებსა და ამბიციურ გეგმებზე საუბრისას, ყოველთვის გაისმის შეკითხვა: რამდენ ხანს დარჩება მთავარი მწვრთნელის პოსტზე მისტერ ჰიუზი? კლუბის ხელმძღვანელობა მრავალმილიონიანი პროექტის განხორციელებას აპირებს. არის თუ არა უელსელი იმ დონის სპეციალისტი, რომ მან გუნდს წარმატება მოუტანოს. **ჟოზე მოურინიომ**, როდესაც ის "ჩელსის" მთავარ მწვრთნელად დანიშნეს, ზუსტად იცოდა, რომელ ფეხბურთელში დაეხარჯა ფული. შედეგმაც არ დააყოვნა. მან "არისტოკრატებს" პირველ ორ წელიწადში ორჯერ მოაპოვებინა ინგლისის ჩემპიონის ტიტული – სხვათა შორის, 50-წლიანი პაუზის შემდეგ. ჰიუზის სამწვრთნელო კვალიფიკაცია მოურინიოსთან ახლოსაც ვერ მივა. "სიტი" ფეხბურთელების გარდა, ვარსკვლავი მწვრთნელიც უნდა ეძებოსო, ასკვნის "დეილი მეილი"

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვედრა

# ჩოხოსანთა სიურპრიზი ოლიმპიურ ჩემპიონს



სამი წლის წინათ ჩამოყალიბდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასი, რომელიც ბევრ სახელოვან ადამიანს აერთიანებს. მის რიგებს საპატიო წევრად კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებული, პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი **ნინო სალუქვაძე** შეემატა. გუშინ ეს გაცხადდა საქართველოს სპორტული ცეკვების სტუდია „თელაში", სადაც სახელოვან ჩუბინს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. ოლიმპიადების ექვსგზის მონაწილეს და საქართველოდან ყველა ხარისხის ოლიმპიური მედლის ერთადერთ მფლობელს ჩოხოსანთა სახელით მიესალმნენ პროფესორი **გოგი დოლიძე**, მსოფლიო ველომოგზაური **ჯუმბერ ლეჟავა**, დარდანელის გმირი **ჰენრი კუპრაშვილი**, კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი **გომარ სიხარულიძე**, პროფესორი **მურმან გედენიძე**, მხატვარი ალეკო ლომსაძე, მსახიობი გურამ ფირცხალავა.

საღამო დაამშვენეს და მაყურებლები მოხიბლეს „თელას" მოცეკვავეებმა და ჩოხოსანმა მომღერლებმა.

**გოგი დოლიძე:** ნებისმიერ რაინდს შეშურდება ის წარმატება, რომელსაც ნინო სალუქვაძემ საერთაშორისო სარბიელზე მიაღწია. მარტო ის რად ღირს, რომ მეოთხედი საუკუნეა, მნიშვნელოვან ტურნირებზე კვარცხლბეკს არ თმობს. ვაჟკაცობად მხოლოდ ექვს ოლიმპიადაზე გამოსვლაც ეყოფოდა, რომ არაფერი ვთქვათ მის რეგალიებზე. საგულისხმოა ისიც, რომ ქალბატონი ნინო იარაღს არ ყრის - რამდენიმე დღეში მიუნხენს გაემგზავრება და იქაურ საერთაშორისო ტურნირზე ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავს. ნინო სალუქვაძე პირველი ქართველი ქალბატონია, რომელიც ჩოხოსანთა დასის წევრი გახდა. ჩვენ ეს გვეამაყება და ოლიმპიურ ჩემპიონს მომავალშიც გამარჯვებებს ვუსურვებთ.

**ნინო სალუქვაძე:** დღევანდელი საღამო ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო. დიდი მადლობა ჩოხოსნებს, რომ ჩემს წარმატებებს არ ივიწყებენ. გულით ვულოცავ ყველას ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულს. უფალი ფარავდეს მათ ოჯახებს და სრულიად საქართველოს!

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

მძლეოსნობა

# მარიამ ქევხიშვილის წარმატებული სტარტი

**მარიამ ქევხიშვილმა,** რომელიც ოლიმპიური თამაშების ორგზის მონაწილეა, ახლა აშშ-ში სწავლობს და იმაღლებს სპორტულ ოსტატობას. წლევანდელი წელიწადი მან წარმატებით დაიწყო - კენტუკის შტატის ქალაქ ლექსინგტონში გამართული ტურნირი მოიგო. ქართველმა მძლეოსანმა ბირთვი 17 მეტრსა და 10 სანტიმეტრზე გადააგდო. შეგახსენებთ, პეკინის ოლიმპიადაზე მისი მაჩვენებელი მხოლოდ 16.65 იყო. მარიამის კარიერის საუკეთესო შედეგი კი 17.85 სმ-ია.

ამ ტურნირზე გამარჯვებით ქევხიშვილმა აშშ-ის მძლეოსნობის ჩემპიონატში მონაწილეობის ლიცენზია მოიპოვა.

ეს ინფორმაცია მოგვაწოდა მარიამის მწვრთნელმა საქართველოში **ყარამან საბანაშვილმა.** ქევხიშვილი ჯერ კიდევ ისეთ ასაკშია, რომ მწვრთნელის აზრით, უთუოდ გააუმჯობესებს მიღწევას და მესამედ მოიპოვებს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიას.

**ლევან ჯანეზაშვილი**



მარიამ ქევხიშვილი თავის ამერიკელ და ქართველ მწვრთნელებთან

ჩოგბურთი

# ჰოლივუდში გამარჯვებით შეაბიჯა



ფლორიდის ქალაქ ჰოლივუდში წარმატებული სტარტი აიღო 16 წლის ჩოგბურთელმა **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** (1220). ჩვენმა თანამემამულემ ტურნირის (10 ათასი $) საკვალიფიკაციო ბადეში უკვე ორი ეტაპი გაიარა და ძირითად ბადეს უმიზნებს. ნიკამ პირველ წრეში უპრობლემოდ აჯობა 29 ამერიკელ **კრასიმირ კოლევს** – 6:3, 6:1.

მეორე წრეში 27 წლის შვედი **ანდრეას სილიესტრიომი** (1659) ჩვენებურს გაუძალიანდა, მაგრამ ნიკამ მაინც იმარჯვა – 6:4, 3:6, 6:2. ფინალურ წრეში ბასილაშვილი მე-5 ნომრად განთესილ ამერიკელ **მარკუს ფიუგეიტს** (603) ხვდება. 20 წლის მასპინძელს რეიტინგთან ერთად კიდევ ერთი უპირატესობა აქვს ქართველთან, მეორე წრეში მას მეტოქე არ გამოუცხადდა და ისვენებს. ნიკას კი შურისძიების შანსი გაუჩნდა, სწორედ ფიუგეიტთან სამსეტიან ბრძოლაში დათმო მან წლეულს პირველი მატჩი ბოკა რატონში.

**ოქსანა კალაშნიკოვა** (394) ფლორიდის ქალაქ ლუცში იმყოფება, სადაც 25-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში მე-13 ნომრად არის განთესილი. მისი პირველი მეტოქე ბულგარელი **სვეტლანა კრივენჩევაა** (838). 35 წლის კრივენჩევა დაახლოებით ათი წლის წინათ მოწინავე ასეულში შესვლაზე აცხადებდა პრეტენზიას. ახლა კი მას კარიერის დაისი აქვს და მეტად მოკრძალებული შედეგებით კმაყოფილდება. ასე რომ, წესით, ჩვენებური ამ ორთაბრძოლის ფავორიტია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გამოიწერეთ ელვა

ნებისმიერი ნომრიდან და მიიღეთ თქვენთვის სასურველ მისამართზე ფასნამატის გარეშე!

3 თვით - 39 ლარი
6 თვით - 78 ლარი
1 წლით - 156 ლარი

„ელვა ჯი"
www.elva.ge
tel: 38 26 73, 38 26 74
fax: 38 08 63

ჭიდაობა. ახალი თაობა



დავით ხურცია (მარცხნივ) და კობა კაკალაძე
ავტორის ფოტო

# წლეულს ვერცხლს არ დასჯერდება

**თბილისში** 20-21 იანვარს ძიუდოს აკადემიის სპორტული დარბაზი თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნულ ჩემპიონატს უმასპინძლებს. სასპარეზოდ სხვებთან ერთად მონდომებით ემზადება ევროპის ჩემპიონატის შარშანდელი მეორე პრიზიორი კობა კაკალაძე (66 კგ.), რომელსაც გუშინ ფალავანთა კლუბში მორიგი ვარჯიშის შემდეგ ვესაუბრე. იგი 22 წლისაა. ჭიდაობა 11 წლისამ დაიწყო ბადრი კაკალაძესთან. ბათუმში ჯემალ კილაძის ხელმძღვანელობით იმაღლებდა ოსტატობას. ამჟამად მასთან ერთად დავით ხურციაც ავარჯიშებს. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა 2002 წელს ევროპის კადეტთა პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა. რაც უფროსებში გადაინაცვლა, კონტინენტის პირველობებზე სამჯერ იასპარეზა. შარშან სწორედ მესამე ცდა აღმოჩნდა იღბლიანი: ზღვისპირელმა ფალავანმა პირველ წრეში ფინელ იუნი როსენლოფს სძლია, მერე სომეხი ზირაირ ჰოვანესიანი და უკრაინელი ანდრეი სტადნიკი დაამარცხა, ნახევარფინალში აზერბაიჯანელ ემინ აზიზოვს აჯობა.

- ბოლო ორმა ორთაბრძოლამ ძალიან დამღალა და გადამწყვეტ პაექრობაში თურქ რამაზან შაჰინთან სათანადოდ ვერ ვიჭიდავე, არადა, 2007 წელს თბილისში ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე პირველივე წრეში მოვუგე. თურქმა ფალავანმა იმავე წელს ბაქოში იყოჩაღა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ტამპერეში ჩემი დამარცხებითაც „ოქრო" მოიპოვა.

ნაგების მიუხედავად, ვერცხლის მედლით კმაყოფილი დავრჩი, რადგან ეს ჩემი პირველი დიდი ჯილდოა.

**- ბავშვობისას ფეხბურთი უფრო გიზიდავდა. ჭიდაობაზე როგორ მოხვდი?**

- ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი ჯემალ ბაკურიძე დედაჩემის ბიძაშვილია. ერთხელ მისი სურათი ვნახე, მედლებთან და თასებთან გადაღებული. ბავშვურმა შურმა წამძლია და მეც მომინდა ჯილდოები. ეს რომ შეიტყო, ჩემმა ნათესავმა ბადრი კაკალაძემ ჭიდაობის დარბაზში წამიყვანა და თავის ჯგუფში ჩამრიცხა. ერთხანს ბათუმში ვვარჯიშობდი. მერე ბატონმა ჯემალ კილაძემ გლდანის სპორტსკოლაში გადმომიყვანა. ნელ-ნელა ნაკრებისკენაც გავიკაფე გზა. დიდ დახმარებას მიწევს ბატონი დავით ხურცია. ახლა უფრო მეტად მასთან ვვარჯიშობ. კარგ სპორტულ ფორმაში ვარ. შარშან წლის მიწურულს განჯის საერთაშორისო ტურნირზე ვიასპარეზე და უპრობლემოდ დავიკავე პირველი ადგილი.

**- სამომავლოდ რას აპირებ?**

- ხვალ ეროვნული ჩემპიონატი დაიწყება. 66 კილოში ფავორიტია პეკინის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი ოთარ თუშიშვილი. შესაძლოა, მან ამ შეჯიბრებაზე არ იასპარეზოს. ამის მიუხედავად, მედლებისთვის ბრძოლას სიმწვავე არ მოაკლდება. ვიცი, რომ კვლავ დაძაბული შეხვედრა მომიწევს ბოლნისელ მიხეილ ზარქუასთან, რომელსაც შარშან ეროვნული ჩემპიონატის ფინალში ვაჯობე. კვარცხლბეკზე მოსახვედრად ყველაფერს ილონებენ ქუთაისელი პაატა ნოზაძე და აჭარელი ჯონი ჯინჭარაძე. საკმაოდ პერსპექტიული ახალგაზრდებიც მოდიან. სიურპრიზებს უნდა ველოდოთ.

არაფერს დავიშურებ, რათა ისევ გავხდე საქართველოს ჩემპიონი და ვილნიუსში 1-7 აპრილს ევროპის ჩემპიონატზე ვიასპარეზო. ვეცდები, შარშანდელი დანაკლისი ავინაზღაურო.

**ვაჟა დანელია**

რეგიონი +1

# აჭარაში მეორე სათხილამურო სკოლა გაიხსნა

## ვარაუდობენ, რომ ახალი სათხილამურო ცენტრი ღირსეულ მეტოქეობას გაუწევს ბაკურიანსა და გუდაურს

**ხულოს** რაიონის სოფელ ქედლებში საზეიმოდ გაიხსნა სათხილამურო სკოლა. ამ სკოლაში 150-მდე ბავშვი მოემზადება. მაღალმთიან აჭარაში ეს უკვე მეორე სათხილამურო სკოლაა, პირველი სოფელ გომარდულში ახლახან გაიხსნა და საზეიმო ცერემონიალს ქვეყნის პრეზიდენტი დაესწრო. გომარდულში სამთო-სათხილამურო კურორტის გაშენებაც იგეგმება. ქედლებში სკოლის გახსნას აჭარის მთავრობის მეთაური **ლევან ვარშალომიძე** დაესწრო. აქაც მოეწყობა სამთო-სათხილამურო კურორტი, ინფრასტრუქტურის განვითარება კი წლის ბოლოსთვის იგეგმება. სოფელი ქედლები ხულოს რაიონშია და ის ზღვის დონიდან 1 500-მეტრ სიმაღლეზეა გაშენებული

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ლევან ვარშალომიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ქართველი NBA-ში

# ფაჩულიას სეზონის რეკორდი: 14 ქულა

**ზაზა ფაჩულიას** "ატლანტა ჰოქსმა" **ნიკა ცქიტიშვილის** ყოფილ კლუბ "გოლდენ სტეიტთან" გასვლითი შეხვედრა გამართა და ბოლო წუთებზე 114:119 დათმო.

ეს მატჩი ფაჩულიასა და მისი ქართველი გულშემატკივრისთვის გამორჩეული იყო: ზაზამ მიმდინარე სეზონის ქულათა რეკორდი დაამყარა – 14 ბალი ჩააგდო. აქედან 8 ქულა ქართველმა ცენტრმა პირველ პერიოდში მიითვალა. საწყის 3 წუთში მან ორი ორქულიანი ააცილა, რის შემდეგაც ოთხივე ტყორცნა გამოიყენა (2 ჩატენა) და პირველი მეოთხედი 8 ქულით და 4 მოხსნით დაასრულა. ზაზამ ქულათა მონაგარი მესამე პერიოდში 6 საჯარიმოთი შეავსო, რითაც "გოლდენ სტეიტისთვის" დიდი სხვაობით დაწინაურების საშუალება არ მიუცია. მეოთხე პერიოდში კი მწვრთნელმა **მაიკ ვუდსონმა** ზაზა თამაშიდან მოხსნა და ფარქვეშეთი ფორვარდ **ჯოშ სმიტს** ჩააბარა. ასეთმა გადაწყვეტილებამ შედეგი რომ ვერ მოიტანა, საფინალო ანგარიშიდანაც ჩანს, თუმცა "ატლანტას" უკანახაზელებმა არაერთი სამქულიანი შეასრულეს ზუსტად...

როგორც უკვე გითხარით, ფაჩულიასთვის 14 ქულა სეზონის რეკორდია. აქამდე მის მიერ მოგროვილი ქულათა მაქსიმალური რაოდენობა 13-ს შეადგენდა ("დალასთან" 6 დეკემბერს ჩააგდო). 13 ქულაზე მეტი ფაჩულიას 2008 წლის 16 აპრილის შემდეგ არ ჩაუგდია. 16-ში "მაიამისთანაც" 14 ქულას უნია. NBA-ში მისი რეკორდი კი 27 ქულას შეადგენს ("ვაშინგტონთან" მიითვალა).

"გოლდენ სტეიტთან" დამარცხების მიუხედავად, "ატლანტა ჰოქსმა" აღმოსავლეთის კონფერენციაში მეოთხე ადგილი შეინარჩუნა. ამის მიზეზი მეხუთეადგილოსანი "დეტროიტ პისტონსის" არადამაჯერებელი თამაშია, რომელმაც მეჩვიდმეტედ "ნიუ ორლეანთან" წააგო. დეტროიტელებს 22 გამარჯვება აქვთ. ატლანტელ "ქორებს" – 23 მოგება და 16 მარცხი.

ზაზას თანაგუნდელები მომქანცველი სამმატჩიანი ვოიაჟის შემდეგ შინ დაბრუნდნენ და 19 იანვარს კანადურ "ტორონტოს" უმასპინძლებენ.

**ფაჩულიას მონაგარი**

30 წუთი: 14 ქულა, 8 მოხსნა, 2 დაფარება, 2 ფოლი

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 10:52 | ფოლი: 1 |
| 10:27 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 10:16 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 09:38 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 07:21 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 06:52 | ორქულიანი: 2ქ (8:11) |
| 06:06 | ორქულიანი: 4ქ (13:11) |
| 04:33 | დაფარება: 1 (ჯექსონს დაუფარა) |
| 04:31 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 03:51 | ორქულიანი: 6ქ (15:13) |
| 03:13 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 01:20 | ორქულიანი: 8ქ (17:18) |
| 00:46 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |
| **II პერიოდი** | |
| 05:59 | ზაზამ ჯონსი შეცვალა |
| 02:23 | მოხსნა: შეტ-2, დაც-3 |
| 00:55 | ფოლი: 2 |
| 00:55 | ზაზა მორისმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 11:22 | საჯარიმოები: 2\2 (10ქ, 53:58) |
| 09:15 | მოხსნა: შეტ-2, დაც-4 |
| 07:31 | საჯარიმოები: 2\1 (11ქ, 63:64) |
| 07:01 | საჯარიმოები: 2\2 (13ქ, 65:66) |
| 02:54 | მოხსნა: შეტ-2, დაც-5 |
| 00:50 | საჯარიმოები: 2\1 (14ქ, 81:83) |
| 00:37 | მოხსნა: შეტ-2, დაც-6 |
| 00:29 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 00:00 | სამქულიანი: არაზუსტი |
| **IV პერიოდი** | |
| 11:28 | დაფარება: 2 (ჯექსონს დაუფარა) |
| 10:15 | ზაზა სმიტმა შეცვალა |



ზაზა ფაჩულია უტევს გოლდენ სტეიტის [illegible]რს

მოედნის მიღმა

## ფაჩულიას გაუმწვანეს

### ვიზის ყოველწლიურად გაგრძელების არასასიამოვნო პროცედურას ბოლო მოეღება

"ატლანტა ჰოქსი" 13 იანვრიდან ამერიკის დასავლეთში მოგზაურობს. მაშინ, როცა სხვა ჯორჯიელები მომქანცველ მგზავრობაზე საუბრობენ, გუნდის ქართველი ცენტრი **ზაზა ფაჩულია** ორმაგ დისტანციას ფარავს, მაგრამ უკმაყოფილებას არ გამოთქვამს. მას ლოს ანჯელესში, "კლიპერსთან" მატჩის შემდეგ შეატყობინეს, რომ მწვანე ბარათი მიიღო და საბუთების მოსაწესრიგებლად ატლანტაში აუცილებლად ჩასვლა სჭირდებოდა. როცა "ატლანტა" ლოს ანჯელესიდან ჩრდილოეთში, ოკლენდში გაემგზავრა, ზაზა მწვანე ბარათის მისაღებად აღმოსავლეთისკენ, ატლანტასკენ გამოეშურა.

ზაზასა და მწვანე ბარათის ისტორია გაზეთ "ატლანტა კონსტიტუშენში" გამოქვეყნდა. გთავაზობთ **სეკუ სმიტის** ნაშრომის თარგმანს.

*"დასავლური ვოიაჟისას ზაზა ფაჩულია ატლანტაში დაიბარეს, სადაც მწვანე ბარათთან დაკავშირებული საბუთების შევსება იყო აუცილებელი. არაამერიკელი კალათბურთელისთვის ასეთი ბარათი მეტად სასარგებლოა, რადგან იგი თავიდან არიდებს ყოველწლიურად ვიზის გახანგრძლივების არასასიამოვნო პროცედურას. 2007-08 წლების სეზონში ფაჩულიას სწორედ ვიზის გამო შეეშალა ხელი "ტორონტოსთან" გასვლითი მატჩის წინ.*

*დავბრუნდეთ ლოს ანჯელესში, საიდანაც ქართველი ცენტრი ატლანტაში შუადღის 1 საათზე გაფრინდა. საემიგრაციო სამსახურში მისვლისა და საბუთების მოწესრიგების შემდეგ ქართველი უახლოესი რეისით "ჰოქსს" სან ფრანცისკოში შეემატა. ზაზა თანაგუნდელებს დაახლოებით 24 საათის შემდეგ შეუერთდა.*

*- ბევრი ვიფრინე, ამ დროში ევროპაშიც ჩავიდოდი. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ლონდონში ვყოფილიყავი... ატლანტაში 9:30 საათზე ჩაველი, საქმე მოვაგვარე და 7 საათზე სან ფრანცისკოსკენ გამოვფრინდი, – გვითხრა ფაჩულიამ ავტობუსში, გუნდთან შეერთების შემდეგ.*

*ასეთი ხანგრძლივი მოგზაურობის მიუხედავად, ზაზას "ატლანტას" ერთი ვარჯიშიც არ გაუცდენია – მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა "კლიპერსთან" მატჩის მეორე დღეს დასვენება გამოაცხადა.*

*- ჩემი მდგომარეობა მწვრთნელმაც კარგად იცოდა. ბარათის შესახებ ყველას ერთი თვის წინათ ვესაუბრე და შესაძლებელი იყო ერთი ვარჯიში ან თამაში გამეცდინა. საბედნიეროდ, ყველაფერი ისე აეწყო, რომ მწვანე ბარათის საკითხზე მაშინ გავიქეცი, როცა "ჰოქსს" დასვენება ჰქონდა, - ესეც ფაჩულიამ გვითხრა.*

*ქართველი მეფარე კარგად აცნობიერებს მწვანე ბარათის მნიშვნელობას:*

*- ამ ბარათის მიღება ბევრ რამეში დამეხმარება. მისი მიღებით ბედნიერი ვარ. მწვანე ბარათს ხალხი წლობით ელის. ასე რომ, თავს იღბლიანად ვთვლი. ეს განსაკუთრებული საჩუქარია იმ ადამიანისთვის, რომელიც თავის მომავალს ამერიკას უკავშირებს და აქ აპირებს ცხოვრებას.*

*ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ საინტერესოა, როდის მოახერხა ზაზამ დასვენება "გოლდენ სტეიტთან" მატჩის წინ?*

*- თვითმფრინავში! - გვიპასუხა მან, - თვითმფრინავში დასვენებას საწოლი კი სჯობს, მაგრამ ამერიკაში გადმოსვლის შემდეგ ხშირმა მგზავრობამ ცხოვრების წესი შემიცვალა და ახლა თვითმფრინავში დასვენება ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია."*



ლეგიონერები

## სანიკიძემ ორმაგი დუბლი შეასრულა, ცინცაძეს ერთი ქულა დააკლდა

ესტონეთის ჩემპიონატში მე-7 მატჩი გამართა **გიორგი ცინცაძისა და ვიქტორ სანიკიძის** "ტარტუ როკმა". ტარტუელებმა "პარნუს" უმასპინძლეს და დამაჯერებლად იმარჯვეს – 106:69. პარნუელებს განსაკუთრებით მესამე პერიოდში გაუჭირდათ, რომელიც 7:31 წააგეს.

ამ შეხვედრაში ერთადერთი ორმაგი დუბლი შესრულდა, რომლის ავტორი ქართველი ვიქტორ სანიკიძე გახდა – 17 ქულა, 11 მოხსნა. ვიქტორისთვის ეს შეხვედრა იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მწვრთნელმა იგი სასტარტო შემადგენლობაში დააყენა. 24 წუთში სანიკიძემ 7-დან 5 ორქულიანი და 7-დან 7 საჯარიმო ჩააგდო.

ვიქტორის მეგობარმა და თანაგუნდელმა გიორგი ცინცაძემ მოედანზე 29 წუთი გაატარა და ერთი საჯარიმოთი მეტი რომ ჩაეგდო, დაბლ-დაბლს ისიც შეასრულებდა: 10 პასი, 9 ქულა, 6 მოხსნა. ცხადია, ცინცაძეც სასტარტო ხუთეულში იყო.

"ტარტუ როკს" ესტონეთის ჩემპიონატში 7-დან 7 მატჩი აქვს მოგებული და პირველ ადგილზეა. მეორეადგილოსან "კალევს" 8 მოგება და 2 წაგება უწერია.

## სამქულიანი ტყორცნა სირენასთან ერთად

**მანუჩარ მარკოიშვილმა** უკრაინის ჩემპიონატზე "სუმიქიმპრომთან" მატჩში შეტევაში უჩვეულოდ ითამაშა – 4 ორქულიანი, 2 სამიანი ააცილა და მხოლოდ 2 საჯარიმო ჩააგდო. 25 წუთში მან 2 ქულას 4 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა მიამატა.

მისმა "კიევმა" გასვლით მატჩში ერთი ქულის სხვაობით დაამარცხა "სუმიქიმპრომი" – 61:60.

შეგახსენებთ, რომ ეს ის "სუმიქიმპრომია", რომელმაც თბილისში "ენერჯის" დამაჯერებლად სძლია, ხოლო უკრაინაში პირველ ტაიმში ძალიან გაუჭირდა. "კიევმა" კი გასული წლის ბოლოს მოსკოვის "დინამოსა" და "ყალგირისს" მოუგო.

თუკი დავძენთ, რომ სუმელებს "კიევთან" ლიდერი **ბრაიან გრინი** აკლდათ და მაინც კინაღამ გაიმარჯვეს, შეგვეძლება ზოგადი დასკვნის გაკეთება: ერთი-ორი კარგი უცხოელი რომ დავუმატოთ, საქართველოს ნაკრების წევრებით გატენილი "ენერჯი" "სუმიქიმპრომს" ნამდვილად გაუთანაბრდებოდა. შესაბამისად "კიევს", მოსკოვის "დინამოს"... უკვე ვხვდებით, რომ ზედმეტი მოგვდის – მულტფილმის "ქილა ერბოს" გმირს ვემსგავსებით.

მაშინ, როცა საქართველოში გუნდები შუა სეზონში იშლება, თუნდაც "სუმის" დონის ლეგიონერების ჩამოყვანისთვის ფულის გამეტების იმედი ნამდვილად არ გვაქვს...

დავუბრუნდეთ "კიევი"-"სუმიქიმპრომის" დაპირისპირებას, რომელიც მეტად საინტერესოდ წარიმართა.

საფინალო სირენამდე 13 წამით ადრე სუმელმა **კორი სანტიმ** თანაგუნდელები 60:58 დააწინაურა. მატჩის ბედი "კიევის" მწვრთნელმა **საშა ობრადოვიჩმა კლეი ტაკერს** მიანდო, რომელსაც მანამდე 14-დან მხოლოდ 3 სამქულიანი ჰქონდა რეალიზებული. მან საფინალო სირენასთან ერთად შორეული სამქულიანი ისროლა და 61:60 - კიეველთა სასრგებლოდ.

სადღეისოდ მანუს თანაკლუბელები უკრაინის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე არიან. მათ 13 მოგება და 2 წაგება აქვთ.

მეორეა "აზოვმაში" – 12 მოგება, 3 წაგება.

"კიევი" მორიგ მატჩს 20 იანვარს გამართავს – "ნიკოლაევს" უმასპინძლებს.


მანუჩარ მარკოიშვილი

ლეგიონერები წუხელ. ესპანეთი

| | |
|---|---|
| **მურსია-ფუენლაბრადა** | **70:78** |
| ნიკა ცქიტიშვილი: 17 წუთი, 2 ქულა | |
| **ბაუ-მენორკა** | **78:66** |
| ვლადიმერ ბოისა: 18 წუთი, 2 მოხსნა | |
| **კახასოლი-მანრესა** | **64:71** |
| ტაირონ ელისი: 19 წუთი, 3მ | |

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ჭადრაკი

# წრიული სისტემა ჩაკეტილ წრეზე გვატარებს

ორიოდ დღის წინათ ამაღლებული ტონით გამცნეთ, რომ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო ჭადრაკში, როგორც ქალთა ისე ვაჟთა შორის. სიხარულის საბაბი ნამდვილად გვქონდა. ნებისმიერ სახეობაში წლის უმთავრესი შეჯიბრება მოვლენაა და გულშემატკივარი მოუთმენლად ელის მის დაწყებას. მოლოდინი მრავალნაირია: როგორ ფორმაში არიან უკვე ნაცადი ოსტატები, ინარჩუნებენ თუ არა მოწინავე პოზიციებს; ამავე დროს თვალი ახალგაზრდებისკენაც გაგვირბის და მათი დაწინაურებაც გვინდა, - ეგებ, კიდევ ერთმა ტალანტმა გამოანათოს და საერთაშორისო ასპარეზზე თავი ღირსეულად წარმოაჩინოს. წლევანდელი საქართველოს ჩემპიონატი, თუ ობიექტურნი ვიქნებით, დიდწილად სწორედ ახალგაზრდათა პაექრობაა და რამდენიმე გამოცდილ მოჭადრაკესთან ერთად ქმნიან საშეჯიბრო ამინდს. ვაჟებშიც და ქალბატონებშიც დიდია ალბათობა, რომ თინეიჯერებმა გამოილონ ხელი და სენსაციები შემოგვთავაზონ. ასეც ჩანს - უკვე ორი ტურია გასული და სენსაციური შედეგებიც შეგვიძლია გამოვყოთ. მაგრამ წერილი გულისტკივილით მინდა დავიწყო, რადგანაც ჩავლილმა უქმეებმა ძალიან ცუდი და სამწუხარო ტენდენცია გამოკვეთა. უპირველესი, ეგრეთ წოდებული დიდოსტატური ყაიმებია. ჭადრაკის გულშემატკივარმა კარგად იცის, რას ნიშნავს ეს, - როცა ორივე მხარე ყაიმზე პირველივე სვლებზე თანხმდება. ცხადია, ასეთი რამ ურთიერთშეთანხმებით ხდება, რაც გარკვეული ანგარიშიანობის პროდუქტია. არ დავიწყებ იმის მტკიცებას, რაც აქსიომაა და კამათს არ ექვემდებარება, - სპორტში წინასწარი გარიგება რომ ყოვლად მიუღებელი და არასპორტულია, ერმაც და ბერმაც შესანიშნავად უწყის. თუმცა, კაცობრიობას რომ შეეძლოს ყველა მანკიერების ამოძირკვა, სამოთხეს დედამიწაზევე მოვიწყობდით. სამწუხაროდ, ასე არ არის და ადამიანური სისუსტეებისადმი და მანკიერი გამოვლინებებისადმი ბრძოლა გვიწევს. ასეთი ომი ყველა სფეროშია საჭირო და ვინ კარგად ახერხებს ამას, ვინ შედარებით ნაკლები წარმატებით, მავანი კი ცუდად ან ძალიან ცუდად. ჭადრაკიც არ არის გამონაკლისი და მით უფრო ქართული ჭადრაკი, სადაც, გარდა სატურნირო ინტერესებისა, სხვა ფაქტორებიც მოქმედებს: მეგობრობა, ნათელმირონობა, მეზობლობა და რა ვიცი, კიდევ რა ადამიანური ურთიერთობები შეიძლება დავასახელოთ... როგორ ებრძვის ყოველივე ამას საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა, რომელიც სათავეში დიდი ხანი არ არის, მაგრამ ყველა ზენა და ქვენა დინებების შესახებ მშვენივრად მოეხსენება? ტყუილს არ ვიკადრებ და ბევრს ცდილობენ, მაგრამ ზოგჯერ ეს საქმე გამოსდით, ხშირად კი - არა. ამის თვალსაჩინო მაგალითია სწორედ მიმდინარე საქართველოს ჩემპიონატი. როგორც იცით, ორივე ტურნირი წრიული სისტემით ტარდება, რაც ყველა მოჭადრაკის ერთმანეთთან თამაშს გულისხმობს. თავისთავად, ძლიერის გამოსავლენად ასეთი სისტემა მიმზიდველი და ობიექტური მოჩანს - ყველა მეტოქესთან მოსინჯავ ძალას და საწუწუნოც არაფერი გექნება - მავანს და მავანს მე რომ შევხვედროდი, ჩემზე წინ ვერ წავიდოდა, სხვა შემთხვევაშიც გაუმართლათ მეტოქეებსო... თუმცა, ათეული წლების პრაქტიკამ გამოაჩინა, რომ წრიული სისტემა, განსაკუთრებით საქართველოსნაირ ქვეყნებში ძალიან ბევრ კითხვებს ბადებს და უამრავ შედეგს ხდის საეჭვოდ. საეჭვო ის სულაც არ არის, რომ ათი სვლის შემდეგ ყაიმი ფიქსირდება, - ასეთ დროს ყველაფერი ნათელია - გარიგება მოხდა, მაგრამ რატომღაც საჭადრაკო სამყაროში მიჩნეულია, რომ ეს დაუწერელი კანონია და ამაზე ხმაურის ატეხვა არ ღირს(?!) აი, სხვა საქმეა, თუ ქულას დაუთმობ მეტოქეს. როგორც წესი, ძალიან რთულია, თუ საერთოდ შეუძლებელი არა, ვინმეს დაუმტკიცო, რომ ქულა შეგნებულად დათმო. ასეც რომ იყოს, კანონიც არ არსებობს, რათა შესაბამისად დაისაჯოს ვინმე და მხოლოდ პოსტფაქტუმ თუ მიიღებენ კონკრეტულ გადაწყვეტილებას ორგანიზატორები. ამ ლოგიკით, რასაკვირველია, ყაიმის „გაკეთებასაც“ ვერავინ დაუშლის მოჭადრაკეებს. ვითარება რთულია და პრობლემის გადასაჭრელად საერთაშორისო ფედერაციის მესვეურები ბევრს ფიქრობენ. განსაკუთრებით აქტიურობს ფიდეს ამჟამინდელი პრეზიდენტი **კირსან ილუმჟინოვი.** ბევრი რამ მოისინჯა და ვგონებ, ოპტიმალურ ვარიანტს მიაგნეს, თუმცა, ეს წესი კარგად დავიწყებული ძველის გახსენებაა: 2008 წლის ნოემბერში დრეზდენში გამართულ 38-ე საჭადრაკო ოლიმპიადაზე აიკრძალა 30-ე სვლამდე ყაიმის შეთავაზება. ნოვაციამ გაამართლა და, როგორც საჭადრაკო სამყაროში ლაპარაკობენ და ქართველებიც ეთანხმებიან, დიდად განაპირობა საქართველოს ქალთა ნაკრების გაჩემპიონება. მიზეზი მარტივია: **მაია ჩიბურდანიძე** იძულებული ხდებოდა ბოლომდე ეთამაშა და ადრეულ ეტაპზევე არ შეთანხმებოდა მეტოქეებს ყაიმზე. მაიას ასეთი რამ სჩვეოდა - არავისთვის იყო უცხო, რომ ასაკის მატებასთან ერთად მისი ბრძოლისუნარიანობა იკლებდა და თუ დებიუტიდანვე გამოკვეთილ უპირატესობას არ მიიღებდა, დაზავებას არჩევდა. დრეზდენში კი მცირე უპირატესობის გაღვივებაზე ზრუნავდა და ამადაც აჩვენა ფანტასტიკური შედეგი... თუმცა ჩვენ დღეს საქართველოს ჩემპიონატზე ვლაპარაკობთ. ორი ტურის განმავლობაში, ვაჟთა შორის, სადაც შვიდი წყვილი ასპარეზობს, ლამის ნახევარი ადრეული, „დიდოსტატური“ ყაიმებით დასრულდა. თანაც ამ საქმეში ლიდერები, რეიტინგფავორიტები ფიგურირებენ, რაც საქართველოს ჩემპიონატს დიდ მორალურ ზარალს აყენებს; მეტოქეების უპატივცემულობა ერთია და მაყურებლის სრული იგნორირება რომ ხდება, კიდევ ცალკე და უმთავრესი სათქმელია. როგორც გითხარით, ასე მოქცევას მათ კანონით ვერავინ დაუშლის, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, რომ ფიდეს წესით ეხელმძღვანელა ფედერაციას და 30 სვლამდე ყაიმის შეთავაზება აეკრძალა. მით უფრო, რომ ბატონმა კირსანმა ჩემთან ინტერვიუში აღნიშნა, - ამიერიდან ფიდეს ეგიდით გამართული ნებისმიერი ტურნირი ამ წესით იხელმძღვანელებსო. ეროვნული ჩემპიონატები ფიდეს არეალშია, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი წესი ჩვენ არ დავნერგეთ. რამდენჯერმე ვიკითხე კიდეც, რატომ არ მიმართავთ „30 სვლის“ წესს-მეთქი, მაგრამ ერთსა და იმავე პასუხებს ვიღებ გამუდმებით - ფიდესგან ოფიციალური დოკუმენტი არ მიგვიღია და თავად ფიდესაც არ დაუმკვიდრებია საბოლოოდ ეს წესიო. უცნაურია, მაგრამ საერთაშორისო ტურნირების აბსოლუტური უმრავლესობა უკვე ამ წესით იმართება... სტარტზე რომ დაშხოშიანი ანგარიშიანობაა, ხომ წარმოგიდგენიათ, ფინიშსკენ რა მოხდება - გარიგებების კორიანტელი დადგება და გამოდის, რომ საქართველოს ჩემპიონატს კი არა, მალაკნების ბაზარში ჩარჩული ვაჭრობის მხილველნი ვყოფილვართ. ასეთ ტურნირზე როგორ გინდა მოიზიდო მაყურებელი და აამაღლო ჭადრაკის პრესტიჟი საქართველოში?! ფედერაციას შეეძლო, კიდევ ერთი ბერკეტი გამოეყენებინა - წრიული სისტემის ნაცვლად შვეიცარიული დაედგინა და მრავალრიცხოვანი გაეხადა ფინალური ტურნირი. ამ შემთხვევაში პროტესტანტებსაც(გახსოვთ ალბათ ქალთა მოზრდილი ჯგუფის უარი) დააკმაყოფილებდა და გარიგების ალბათობასაც დიდად შეამცირებდა. თუმცა არსებობს კიდევ ერთი თავსატეხი, რომელიც ფედერაციას ხელ-ფეხს უკრავს: მოწინავე მოჭადრაკეები არიან უარს შვეიცარიული სისტემით გამართულ ტურნირში თამაშზე, რადგანაც იქ დიდია ალბათობა, რომ დაბალრეიტინგიანებთან წაიფორხილონ და ასე ნაფერებ რეიტინგებს ზარალი მიადგეს. ეგრეთ წოდებული ელიტის პროტესტი უფრო საფუძვლიანად მიიჩნევა წლების განმავლობაში, რატომღაც მხოლოდ მათ უგდებენ ყურს. არადა, შვეიცარიული სისტემა ისეთია, სადაც ასე იოლად და თანაც ადრეულ ეტაპზე მავანს ყაიმზე ვერ შეუთანხმდები - სხვებს ჩამორჩები და დასაწევად დიდი ჯაფა დაგადგება. სამწუხაროდ, ასეთი რამ ათეული წლების განმავლობაში გრძელდება და მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტი მუდმივად არსებობს და მანკიერებანიც ყოველთვის თვალსაჩინოა, ფედერაცია მაინც ნაცად წრეზე სიარულს განაგრძობს. მე თუ მკითხავთ, ვექტორი აშკარად შესაცვლელია, თუ გვინდა, რომ ჩემპიონატი სამართლიანი და მიმზიდველი გვქონდეს.

- გარიგება საჭადრაკო დაფასთან ქართული ლოგიკით
- რაც კანონით არ იკრძალება ყველაფერი არ უნდა იკადრო
- ეროვნულ ჩემპიონატს ბაზარს ნუ დავამსგავსებთ
- ვექტორი აშკარად შესაცვლელია



საბედნიეროდ, ქალთა შორის ორივე ტურში უკომპრომისო ბრძოლები ვიხილეთ და მოულოდნელი შედეგებიც დაფიქსირდა: **მერი არაბიძე** კი მიიჩნევა ტალანტად, მაგრამ **მირანდა მიქაძე** ოცწლამდე საქართველოს ჩემოიონია და ამ წყვილში ფავორიტი იყო. მერიმ კი არად ჩააგდო მირანდას ტიტულატურა და გაიმარჯვა. **სოფიკო გურამიშვილიც** არ დაეჩაგვრინა დიდოსტატ **სოფიო გვეტაძეს** და ყაიმს გამორჩა. მეორე ტურში ყველაზე დაბალრეიტინგიანმა **მარიამ დანელიამ** ლამის ქულა აართვა ტურნირის უპირველეს ფავორიტს **მაია ლომინეიშვილს**. მაიამ არცთუ სასიამოვნო პოზიცია მიიღო დებიუტის შემდეგ და გადაწყვიტა, რომ აქტიურად, ფიგურის შეწირვით გაეგრძელებინა თამაში. შეწირვა მთლად კორექტული არ აღმოჩნდა, თუმცა მოგებაც ვერ შეძლო დანელიამ - ყაიმი. კვლავ ძალიან კარგად წარმართა პარტია არაბიძემ, - მეორე ნომერ **სალომე მელიასთან** შავებით დიდი უპირატესობა მიიღო და ენდშპილში ლაზიერი და ერთი პაიკი დარჩა მეტოქის ეტლისა და ერთი პაიკის წილ. ენდშპილი აბსოლუტურად მოგებული იყო, მაგრამ რატომღაც მერიმ ვერ შეძლო უპირატესობის გამოყენება და იძულებული გახდა, ყაიმზე შეთანხმებოდა მეტოქეს.

პირველ ტურში ყველაზე საინტერესო ლომინეიშვილ-**ხუხაშვილის** პარტია იყო. მოგეხსენებათ, ორივე საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრი იყო და დრეზდენში ოქროც დაიმსახურეს. თეთრებით მოთამაშე ლომინეიშვილმა შეძლო ამჯერად გამარჯვება, თუმცა ამისთვის დიდი ბრძოლის გადახდა მოუწია.

საინტერესო იყო დიდი **ნონა გაფრინდაშვილის** გამოჩენა „ქართულ სცენაზე“. ნონას პირველივე ტურებში ფავორიტებთან მოუწია შეხვედრამ, რამაც მას ერთგვარად ცუდი სამსახური გაუწია: პირველ ტურში თეთრებით **ნინო ხურციძეს** შეხვდა და დამარცხდა, მეორეში კი შავებით მოუწია ხუხაშვილთან დაპირისპირება. თავდაუზოგავი ბრძოლის მიუხედავად ახალგაზრდა დიდოსტატმა იძალა და გაიმარჯვა. ქალბატონი ნონა ხელს იოლად რომ არ ჩაიქნევს, კარგად ცნობილია, - მისი შეუპოვარი ხასიათი რომ ვიცით, მომდევნო ტურებში შეეცდება დანაკარგის ანაზღაურებას. ქალთა შორის სხვა შედეგებს ჩამონათვალში იხილავთ, ხოლო რაც შეეხება ვაჟებს, ბევრიც აღარ დამრჩა სათქმელი - წერილის დიდი ნაწილი ხომ მათ გარჯას მივუძღვენი, თუმცა ნამდვილი ბრძოლებიც შედგა. პირველ დღეს გაიმარჯვეს **ლევან ფანცულაიამ** და **გიორგი ბაღათუროვმა**, მეორე დღეს კი **თორნიკე სანიკიძემ** და **შოთა აზალაძემ** ჩაიწერეს ქულა აქტივში. სხვათა შორის. **ინგა ჭარხალაშვილმა** გუშინ ბრძოლაში გამოგლიჯა ნახევარი ქულა **მერაბ გაგუნაშვილს**, რაც ასევე მოულოდნელი შედეგია. ბრძოლაში დაფიქსირებული კიდევ ორიოდ ყაიმს თუ მოიძევს კაცი, დანარჩენ შემთხვევაში კი ვითარება ისე განვითარდა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ...

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ტური. ქალები: **მერი არაბიძე - მირანდა მიქაძე - 1:0; ნაზი პაიკიძე - მარიამ დანელია - 1:0; მაია ლომინეიშვილი - სოფიკო ხუხაშვილი - 1:0; ნონა გაფრინდაშვილი - ნინო ხურციძე - 0:1; სოფოკო გურამიშვილი - სოფიო გვეტაძე - 0,5:0,5; სალომე მელია - ქეთი წაწალაშვილი - 1:0.**

მეორე ტური: **სალომე მელია - მერი არაბიძე - 0,5:0,5; მირანდა მიქაძე - ნაზი პაიკიძე - 0,5:ო,5; მარიამ დანელია - მაია ლომინეიშვილი - 0,5:0,5; სოფიკო ხუხაშვილი - ნონა გაფრინდაშვილი - 1:0; ნინო ხურციძე - სოფიკო გურამიშვილი - 1:0; ქეთი წაწალაშვილი - სოფიო გვეტაძე - 0:1.**

ვაჟები. პირველი ტური: **მიხეილ მჭედლიშვილი - დავით არუთინიანი -0,5:0,5; კონსტანტინე შანავა - გიორგი მარგველაშვილი -0,5:0,5; დავით მაღალაშვილი - მერაბ გაგუნაშვილი - 0,5:0,5; ინგა ჭარხალაშვილი - გიორგი ბაღათუროვი -0:1; ლევან ბრეგაძე - თორნიკე სანიკიძე - 0,5:0,5; დავით ბენიძე - შოთა აზალაძე - 0,5:0,5; ლევან ფანცულაია - გაიოზ ნიგალიძე - 1:0.**

მეორე ტური: **ლევან ფანცულაია - მიხეილ მჭედლიშვილი - 0,5:0,5; დავით არუთინიანი - კონსტანტინე შანავა - 0,5:0,5; გიორგი მარგველაშვილი - დავით მაღალაშვილი - 0,5:0,5; მერაბ გაგუნაშვილი - ინგა ჭარხალაშვილი - 0,5:0,5; გიორგი ბაღათუროვი - ლევან ბრეგაძე - 0,5:0,5; თორნიკე სანიკიძე - დავით ბენიძე - 1:0; გაიოზ ნიგალიძე - შოთა აზალაძე - 0:1.**

მესამე ტურში შეხვდებიან. ქალები: **პაიკიძე - მელია; ლომინეიშვილი - მიქაძე; გაფრინდაშვილი - დანელია; გურამიშვილი - ხუხაშვილი; გვეტაძე - ხურციძე; არაბიძე - წაწალაშვილი.**

ვაჟები: **შანავა - ფანცულაია; მაღალაშვილი - არუთინიანი; ჭარხალაშვილი - მარგველაშვილი; ბრეგაძე - გაგუნაშვილი; ბენიძე - ბაღათუროვი; აზალაძე - სანიკიძე; მჭედლიშვილი - ნიგალიძე.**

**ზვიად შათირიშვილი**

სუმო

# ელიტა არა, გაგამარუ კი გვახარებს

იანვრის ბაშოს ნახევარზე მეტი გაილია, ჩვენს ფალავნებს კი არცთუ კარგი სატურნირო მდგომარეობა აქვთ – 8 დღის შემდეგ **კოკაი (ლევან ცაგურია)** და **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** სამ-სამი მოგებით თუ იწონებენ თავს. განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობა ელიტის ყველაზე ახალგაზრდა სუმოისტს აქვს, ტოჩინოშინმა ზედიზედ ხუთი ორთაბრძოლის წაგება „მოახერხა“. კიდევ უფრო გაუჭირდება კოკაის, ვისაც სატურნირო ბადე ამიერიდან მხოლოდ ტიტულოვან სუმოისტებს შეახვედრებს.

კოკაიმ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უცნაური რიკიშია – შაბათს მან ფორმიდან ამოვარდნილ ვეტერან **დეჯიმასთან** წააგო უგერგილოდ, სამაგიეროდ ,გუშინ შესანიშნავად მოასპარეზე მე-7 მაეგაშირა **ჰოკუტორიკი** დაამარცხა და იმედიც ჩაგვისახა. დღეს ქართველის მეტოქე ჩემპიონი (ოძეკი) **კოტომიცუკია**, თუმცა იაპონელი იანვრის ბაშოზე ცუდად გამოდის (2-6), რაც ქართველმა უნდა გამოიყენოს. შარშან კოკაის მხოლოდ ერთხელ მოუწია ოძეკისთან გაჯიბრება და დამარცხდა.

შაბათს, ტოჩინოშინმა ვერაფერი მოუხერხა მთა-კაცს, **იამამოტოიამას** (ორ ცენტნერნახევარი), ხოლო გუშინ 173-კილოიან **ტოიოჰიბიკის** აქცია ზურგი. 21 წლის ტოჩინოშინი აშკარად ვერ არის ჯანზე, შესაძლოა, ამის მიზეზი მარჯვენა ხელის ტრავმაა. დღეს ტოჩინოშინი მე-16 მაეგაშირა **ჰომაშოს** (5-3) გაეჯიბრება, რომელსაც დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად ჰაერივით სჭირდება დადებითი ბალანსი.

ბაშოზე ორი დიდი ჩემპიონის (იოკოძუნა) ბენეფისია, მონღოლები, **ასაშორიუ** და **ჰაკუჰო** ერთმანეთის მიყოლებით ამარცხებენ მეტოქეებს. მათ გარდა 8-0 ბალანსით მხოლოდ მე-12 მაეგაშირა **ტოჩიოძანი** ასპარეზობს. ლიდერებს კუდში ორი ევროპელი რიკიში მიჰყვება, ბულგარელი ოძეკი **კოტოოშუ** და ესტონელი სეკივაკე **ბარუტო**. ტრავმებმა ბაშოს პირველი სერიოზული დანაკლისი მიაყენა, გუშინ ტურნირიდან კომუსუბი **ტოიონოშიმა** მოიხსნა. ის ტიტულს დაკარგავს და რიგით მაეგაშირად ჩამოქვეითდება.

მესამე დივიზიონ მაკუშიტაში ჯერაც დაუმარცხებელია და დივიზიონის ჩემპიონობაზე (იუშო) აცხადებს პრეტენზიას 21 წლის **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)**. გაგამარუმ გუშინ რიკირიუ იორიკირით დაამარცხა. გაგამარუ მაკუშიტას მე-13 ნომერია, მას დადებითი ბალანსი და წინსვლა უკვე გარანტირებული აქვს, თუმცა 7-0-ის შემთხვევაში ძურიოს დივიზიონის საგზურსაც მისწვდება. დღეს გაგამარუს სერიოზული გამოცდა ელის, მისი მეტოქე პირველი მაკუშიტა **ფუკუოკაა**, რომელსაც ასევე 4-0 ბალანსი აქვს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ჰაცუ ბაშო (იანვრის სუპერტურნირი)**
11-25 იანვარი. ტოკიო (იაპონია)

VII დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: **კოკაი (მ 4)-დეჯიმა (მ 7) 0:1 (ჰატაკიკომი); ტოჩინოშინი (მ 11)-იამამოტოიამა (მ 15) 0:1 (იორიკირი).**

VIII დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: **კოკაი (მ 4)-ჰოკუტორიკი (მ 7) 1:0 (იორიკირი); ტოჩინოშინი (მ 11)-ტოიოჰიბიკი (მ 14) 0:1 (იორიტაოში).**

სატურნირო მდგომარეობა: **8-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა); ასაშორიუ (იოკოძუნა); ტოჩიოძანი (მაეგაშირა 12). 7-1: კოტოოშუ (ოძეკი); ბარუტო (სეკივაკე). ... 3-5: კოკაი (მ 4); ტოჩინოშინი (მ 11).**

IX დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: **კოკაი (მ 4)-კოტომიცუკი (ო); ტოჩინოშინი (მ 11)-ჰომაშო (მ 16).**

**სპორტული ფედერაციების საყურადღებოდ!**

**„ლელო“ ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი სპორტის სახეობის დღევანდელობა და წინსვლა, ფედერაციის ღვაწლი.**

**დაწვრილებითი ცნობებისთვის ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. კაცების ბადე

1/64 | 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2

ნადალი (ესპ, 1)
კ. როხესი (ბელ)
ფერა (საფ)
კარანუშიჩი (ხორ)
შვანკი (არგ)
პაასი (გერ)
ჩიპოლა (იტა)
ტურსუნოვი (რუს, 29)
გასკე (საფ, 24)
ხუნკეირა (არგ)
საეიდი (აშშ)
ისტომინი (უზბ)
კანიასი (არგ)
კინდლმანი (გერ)
ჰიუიტი (ავსტრა)
გონსალესი (ჩილ, 13)
მონფილსი (საფ, 12)
ვასალო არგელო (არგ)
იუჟნი (რუს)
კუბეკი (ავსტრია)
გოლუბევი (ყაზ)
ფონინი (იტა)
მასუ (ჩილ)
ალმაგრო (ესპ, 17)
კარლოვიჩი (ხორ, 25)
ხიმენო-ტრავერო (ესპ)
ოდესნიკი (აშშ)
ანჩიჩი (ხორ)
გუჩიონე (ავსტრა)
დევილდერი (საფ)
ანდუხარი (ესპ)
სიმონი (საფ, 6)
მიურეი (ბრიტ, 4)
პაველი (რუმ)
გაბაშვილი (რუს)
გრანოლერსი (ესპ)
ბეკი (გერ)
ებელტაიტი (ავსტრა)
ნიშიკორი (იაპ)
მელცერი (ავსტრია, 31)
შტეპანეკი (ჩეხ, 22)
ნ. ლაპენტი (ეკვ)
ბერერი (გერ)
ბოლი (ავსტრა)
სტახოვსკი (უკრ)
კლემანი (საფ)
მანარინო (საფ)
ვერდასკო (ესპ, 14)
ბლეიკი (აშშ, 9)
დანჩევიჩი (კან)
დე შონაკი (საფ)
დარცისი (ბელ)
მონტანიესი (ესპ)
გულბისი (ლატ)
პოლანსკი (კან)
ანდრეევი (რუს, 18)
შუტლერი (გერ, 30)
სელა (ისრ)
ჰანესკუ (რუმ)
ჰერნიჩი (ჩეხ)
ლუბიჩიჩი (ხორ)
კუნიცინი (რუს)
მონაკო (არგ)
ცონგა (საფ, 5)

1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 | 1/64

როდიკი (აშშ, 7)
რენკვისტი (შვედ)
მალისე (ბელ)
ლოდრა (საფ)
ფერერო (ესპ)
სანტორო (საფ)
კუერი (აშშ)
კოლშრაიბერი (გერ, 32)
რობრედო (ესპ, 21)
რეინოლდსი (აშშ)
მარტინი (ესპ)
ტროიცკი (სერ)
ბელუჩი (ბრა)
ლუ (ტაივ)
ჟიკელი (საფ)
ნალბანდიანი (არგ, 10)
სიოდერლინგი (შვედ, 16)
კენდრიკი (აშშ)
ბენეტო (საფ)
ბაღდატისი (კვიპ)
ბოლელი (იტა)
ვლიეგენი (ბელ)
გროტი (ავსტრა)
ფიში (აშშ, 23)
მატიო (საფ, 28)
ნიემინენი (ფინ)
დენტი (აშშ)
დელიჩი (აშშ)
შარდი (საფ)
დანიელი (ბრა)
სტოპინი (იტა)
ჯოკოვიჩი (სერ, 3)
დელ პოტრო (არგ, 8)
ზვერევი (გერ)
უაჰაბი (გერ)
მაიერი (გერ)
სტარაჩე (იტა)
ტომიჩი (ავსტრა)
მიულერი (ლუქ)
ფ. ლოპესი (ესპ, 27)
ჩილიჩი (ხორ, 19)
ანდერსონი (ს. აფრ)
ერნანდესი (ესპ)
ტიპსარევიჩი (სერ)
ჰრბატი (სლოვაკ)
ისნერი (აშშ)
გრემელმაირი (გერ)
ფერერი (ესპ, 11)
ვავრინკა (შვეიც, 15)
მინარი (ჩეხ)
ფაუ (გერ)
კლეინი (ავსტრა)
დაბული (არგ)
პეტცშნერი (გერ)
ჯინეპრი (აშშ)
ბერდიჩი (ჩეხ, 20)
საფინი (რუს, 26)
ნავარო (ესპ)
გარსია ლოპესი (ესპ)
კალერი (არგ)
კოროლიოვი (რუს)
მოია (ესპ)
სეპი (იტა)
ფედერერი (შვეიც, 2)

australian open
The Grand Slam of Asia/Pacific

**ყველაზე მეტი მოგება (კაცები)**

6 - როი ემერსონი, ავსტრალია (1961, 1963-67)

**ყველაზე მეტი მოგება (ქალები)**

7 - მარგარეტ კორტი, ავსტრალია (1960-66)

**ყველაზე ტიტულოვანები**

**(ერთეულები, წყვილები, მიქსტი)**

კაცები: 3-10-0 - ედრიან კუისტი, ავსტრალია (1936-1950)

ქალები: 11-8-3 - მარგარეტ სმიტ-კორტი, ავსტრალია (1960-1973)

**ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი (კაცები)**

18 წლის და 2 თვის - კენ როზუოლი, ავსტრალია (1953)

**ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი (ქალები)**

16 წლის და 3 თვის - მარტინა ჰინგისი, შვეიცარია (1997)

**ყველაზე ასაკოვანი ჩემპიონი (კაცები)**

37 წლის და 2 თვის - კენ როზუოლი, ავსტრალია (1972)

**ყველაზე ასაკოვანი ჩემპიონი (ქალები)**

35 წლის და 8 თვის - ტელმა ლონგი, ავსტრალია (1954)

**განუთესავი ჩემპიონი (კაცები)**

მარკ ედმონდსონი, ახ. ზელანდია (1976)

**განუთესავი ჩემპიონი (ქალები)**

კრის ო'ნილი, ავსტრალია (1978)

**პირველი უცხოელი ჩემპიონი (კაცები)**

ფრედ ალექსანდერი, აშშ (1908)

**პირველი უცხოელი ჩემპიონი (ქალები)**

დოროტი რაუნდი, ბრიტანეთი (1935)

*ავსტრალიის ღია პირველობა. ექსპერტის აზრი*

# ფედერერი ბოლეტიერის ფავორიტია

**დღეს, თბილისის დროით დილის ოთხ საათზე, 2009 წლის სეზონის პირველი "დიდი სლემი" დაიწყო. ამასთან დაკავშირებით, ჟურნალ Tennis Week-ის ჟურნალისტი ლეგენდარულ მწვრთნელს ნიკ ბოლეტიერის შეხვდა და ავსტრალიის ღია პირველობის მამაკაცთა ტურნირის შესახებ აზრის გამოთქმა სთხოვა. ამერიკელმა სპეციალისტმა საუკეთესო ათი განთესილი მოთამაშის შანსებზე ისაუბრა.**

## №1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)

**რაფაელ ნადალი** შარშან გამოემშვიდობა მეორე როიალის როლს. გასულ სეზონში მისი მიღწევები ნათლად გვიჩვენებს, რა შესაძლებლობები აქვს ესპანელ ჩოგბურთელს. მაგრამ რაფას თამაშის მანერა ფიზიკურად და მორალურად 100 პროცენტით დახარჯვას ითხოვს. კორტის მიღმა როგორც არ უნდა მუშაობდეს ესპანელი თავის ფიზმომზადების მწვრთნელთან, ეს არ აძლევს იმის გარანტიას, რომ ბოლოს და ბოლოს, არ გამოიფიტება.

მელბურნის კორტების საფარი სავსებით შეესაბამება მის თამაშს. გასულ წელს, ავსტრალიის ღიაზე, ნადალი ნახევარფინალში გავიდა და დარწმუნებული ვარ, წელსაც გამარჯვების პრეტენდენტი იქნება. რაფაელისთვის მნიშვნელოვანია, დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ერთ მატჩზე მეტი არ ჩაატაროს და ყოველი შეხვედრის შემდეგ, ზედმიწევნით დაგეგმოს მომდევნო თამაში - ამით ის მაქსიმალურად მეტ ენერგიას შეინარჩუნებს. მე მას ვურჩევ, სწორედ ასეთი ტაქტიკით იმოქმედოს, ვიდრე გაძლიერებულ საწვრთნელ პროცესში ჩაერთოს.

## №2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)

დღე არ გავა, საკუთარ თავს არ ვკითხო, თუ რა ხდება **როჯერ ფედერერის** თავს. ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა არ შემიძლია, მაგრამ ერთ რამეს ვიტყვი. როჯერი ერთ-ერთი საუკეთესოა იმათგან, ვისაც ჩოგბურთი უთამაშია და მისი კარიერა ჯერ შორს არის დასრულებისგან. დარწმუნებული ვარ, შვეიცარიელი "დიდი სლემის" ტურნირებზე მოპოვებული ტიტულების კოლექციის შევსებას აპირებს. ფედერერს წლევანდელი სეზონის წარმატებით დაწყება სურს და რა თქმა უნდა, ავსტრალიის ღია პირველობაზე გამარჯვება კარგად მიესადაგება ამ განსაზღვრებას.



## №3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)

**ჯოკოვიჩთან** მიმართებაში იმის თქმა შეიძლება, რომ ის მოქმედი ჩემპიონია!!! 2008 წლის სეზონი არათანაბარი გამოდგა - წარმატებას ჩავარდნა მოსდევდა, 2009 წელი კი ზედიზედ ორი მარცხით დაიწყო. თუ ამ ორი ნაგებით ვიმსჯელებთ, ჯოკოვიჩის თამაშში თითქოს არ ჩანს განსაკუთრებული სისუსტეები, მაგრამ გაუგებარია, რა ხდება სერბის გონებაში.

გულშემატკივრისთვის მომგებიანია ტურში ჯოკოვიჩის მსგავსი მოთამაშის ყოფნა, მაგრამ მან უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ ხანდახან წესების დაცვა აუცილებელია და მიზნის მისაღწევად არავითარ დავასა და კამათში ჩაბმა არ არის მიზანშეწონილი. ის ბრძოლისთვის კარგად უნდა მოემზადოს და იმ მომენტიდან, როცა კორტზე შედგამს ფეხს, მთელი ძალით ითამაშოს. ჩემი აზრით, მას მართლაც შეიძლება პრობლემები შეექმნას, მაგრამ ტურნირის მეორე კვირას აუცილებლად მიაღწევს.

## №4. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)

დღეს ყველაზე ბევრს **ენდი მიურეის** პიროვნებაზე ლაპარაკობენ. მან წლის დასაწყისში, საჩვენებელ ტურნირზე ფედერერი და ნადალი დაამარცხა, შემდეგ კი იმავე ფედერერსა და **როდიკს** დოჰას ტურნირზე სძლია. "დიდ სლემზე" თავისი პირველი ფინალი მან შარშან, ამერიკის ღია პირველობაზე ითამაშა და ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ამ წელს ის პირველ დიდ ტურნირს მოიგებს. ბოლო სამი წლის განმავლობაში რეკლამას ვუწევდი მიურეის, როგორც ტურის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელს. და ის უკვე ყველას უჩვენებს თავის ძალასა და პოტენციალს. ფედერერის შემდეგ, ჩემი მთავარი ფავორიტი მიურეია.

(გაგრძელება მე-15 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. ექსპერტის აზრი

(მე-14 გვერდიდან)

### №5. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფრანგეთი)

მიყვარს ცონგას თამაშის ყურება. ფრანგი ავტომატურად გადაიყვანს თავის მხარეს ავსტრალიელ გულშემატკივარს. მისი ნიჭი უდავოა და თუ პუბლიკის გართობის თვისებასაც დავუმატებთ, შედეგად ძალიან მაღალი კლასის მოთამაშეს მივიღებთ. გასული წელი ცონგასთვის ჯადოსნური იყო და მას მოუწევს 2009 წელს თავისი რამდენიმე მიღწევის გამეორება. მას ბევრი სარეიტინგო ქულა აქვს დასაცავი, ამიტომაც არ დაუშვებს ავსტრალიაში ადრეული ეტაპიდან გავარდნას. ის ტრავმებსაც უნდა ერიდოს, რადგან სწორედ ამის გამო გამოტოვა 2008 წლის ზაფხული. თუ ცონგა ბოლომდე ჯანმრთელი იქნება, სჯობს უფრთხილდეთ მას!

### №6. ჟილ სიმონი (საფრანგეთი)

**ჟილ სიმონმა** 2008 წელს ყველაზე დიდი პროგრესი განიცადა. პირველად კარიერაში, ის პირველ ექვს განთესილს შორის მოხვდა, ეს კი გარკვეულ პასუხისმგებლობასა და ზეწოლას იწვევს. სიმონი "დიდი სლემის" ტურნირებზე სამ წრეზე შორს არ წასულა. ამიტომაც ის აუცილებლად უნდა გადავიდეს ტურნირის მეორე კვირაში - მხოლოდ ასე დაუმტკიცებს ყველას, რომ სამართლიანად გააჩნია ტოპ-ხუთეულში შესვლის პრეტენზია. სიმონი ჰარდზე კარგად თამაშობს და ამიტომაც ვვარაუდობ, რომ მინიმუმ მერვედფინალში მოხვდება.

### №7. ენდი როდიკი (აშშ)

როდიკს ახალი მწვრთნელი ჰყავს - **ლარი სტეფანკი** და ამას უკვე მოაქვს მისთვის გარკვეული დივიდენდები. სტეფანკი თავისი საქმის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია და მისი ხელმძღვანელობით როდიკმა დოჰას ტურნირის ფინალში გაალწია. ჩვენ ვიცით, რა შეუძლია მის მოწოდებასა და მარჯვნიდან დარტყმას, **ჯიმი კონორსისა და პატრიკ მაკინროის** დახმარებით კი ენდიმ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მარცხნიდან დარტყმა. საოცარია, რომ როდიკს არასოდეს მიუღწევია ამ ტურნირის ფინალამდე, მაგრამ მე მას სათვალავიდან მაინც არ ამოვიღებდი. სატურნირო ბადის მიხედვით, მან ნახევარფინალამდე ფედერერთან, ნადალთან და მიურეისთან შეხვედრა თავიდან აიცილა და შეიძლება, წელს მაინც გატეხოს ნავსი.

### №8. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა)

**დელ პოტრო**, ისევე როგორც სიმონი, 2008 წელს ყველაზე პროგრესირებადი მოთამაშე იყო. მან ამერიკის ლიამდე ზედიზედ ოთხი ტიტული მოიპოვა, ხოლო მოგებათა სერიამ 23 შეხვედრა შეადგინა, რისი წყალობითაც არგენტინელმა ტოპ-ათეულში შეაღწია. მას იმდენი ნიჭი აქვს, ნებისმიერ ტურნირზე გამარჯვებისთვის რომ იბრძოლოს. დელ პოტრო ძალიან ახალგაზრდაა და წინ დიდი მომავალი აქვს. ადრე მას ავსტრალიის ღიას მეორე წრეზე შორს არ გაუღწევია, ახლა კი შეიძლება ეს მისი წელი აღმოჩნდეს.

მე მომწონს დელ პოტრო, მაგრამ საკითხი შემდეგშია: აქვს თუ არა მას საკმარისი ფიზიკური ამტანობა "დიდი სლემის" ტურნირის მოსაგებად? აშშ-ის ღია პირველობაზე მას "სანვავი" გაუთავდა და ეს იმის გამო მოხდა, რომ ფიზიკურად გამოიფიტა. თუ ის თავის ინტენსივობას ერთ დონეზე შეინარჩუნებს, ტურში ნებისმიერს გაუწევს კონკურენციას.

### №9. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)

**ბლეიკს** ბევრი წინაღობის გადალახვამ მოუწია, ახლა კი თავის ასაკს ებრძვის. მას შეუძლია ბრწყინვალე სტილში წარმართოს ცალკეული გათამაშებები, მაგრამ შემდეგ მთელი მატჩი ჩააგდოს. ბლეიკი ბრწყინვალე ადამიანია და კარიერის დასრულების შემდეგ, ნებისმიერ საქმეში მიაღწევს წარმატებას. მიუხედავად იმისა, რომ ჯეიმსი საუკეთესო ათეულში შედის, ჩემს აზროვნებაში ის არ არის ბოლომდე გახსნილი მოთამაშე. თუ ამერიკელი მეორე კვირას მიაღწევს, შეიძლება ყველაზე ხმაურიანი სენსაციის ავტორი გახდეს.

### №10. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)

**ნალბანდიანი** სამგზის მეოთხედფინალისტია, ერთხელ კი ავსტრალიის ღია ნახევარფინალსაც მიაღწია, მაგრამ ბოლო ორი წელია ის მერვედფინალზე შორს ვერ მიდის. ნალბანდიანს ყოველთვის ჰქონდა ზედმეტი წონისა და ფიზმომზადების პრობლემები, რაც ძალიან სამწუხაროა, რადგან ის არნახულად ნიჭიერი ჩოგბურთელი გახლავთ. დავიდი ყოველთვის ფავორიტად ითვლება, მაგრამ ფიზიკური კონდიციები არ ჰყოფნის სატურნირო გზის ბოლომდე გასავლელად.

# ვოლანდრი სამი თვით დაისაჯა



ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, ცნობილმა იტალიელმა ჩოგბურთელმა **ფილიპო ვოლანდრიმ** აკრძალული პერაპარატის - სალბუტამოლის გამოყენებისთვის სამთვიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.

როგორც ირკვევა, აკრძალული პრეპარატი იმ წამლის შემადგენლობაში შედიოდა, რომელსაც ვოლანდრი ასთმის სამკურნალოდ იყენებდა, მაგრამ როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, ამის თერაპიული აუცილებლობა არ არსებობდა.

დოპინგ-სინჯი, რომელმაც დადებითი შედეგი აჩვენა, შარშან მარტში, ინდიან უელსის მასტერსის დროს აიღეს, მაგრამ დისკვალიფიკაციის ათვლა 17 იანვრიდან დაიწყება და მას 14 აპრილს გაუვა ვადა.

ასე რომ, ვოლანდრის მოუწევს ავსტრალიის ღია პირველობის გამოტოვება, არადა, იტალიელი "დიდი სლემის" პირველი ტურნირის ძირითად ბადეში იჯდა და დღეს, პირველ წრეში ხორვატ **მარიო ანჩიჩს** უნდა შეხვედროდა. ახლა მისი ადგილი ამერიკელმა **უეინ ოდესნიკმა** დაიკავა.

გარდა ამისა, ვოლანდრის ჩამოერთვა ყველა ის ქულა, რომელიც მან გასული წლის მარტიდან მოიპოვა. ხოლო ამ დროის განმავლობაში მის მიერ კორტზე გამომუშავებული თანხა ATP-ის დაუბრუნდება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

### 16 იანვარი

**ინდიანა-ტორონტო 111:104**

20:20, 36:22, 33:23, 22:39

ი: გრეინჯერი (23), დანლივი (22), ჯეკი (17+7 პასი), მერფი (15+15 მოხსნა), ფორდი (12), ფოსტერი (11).

ტ: ბოში (25+16 მოხსნა), ბარნიანი (20), ე. პარკერი (16+3 ჩაჭრა), სოლომონი (13).

**ფილადელფია-ს. ანტონიო 109:87**

28:18, 26:29, 31:23, 24:17

ფ: ტ. იანგი (27), იგუოდალა (21+8 პასი), ლ. უილიამსი (14+6 პასი), სპეიტსი (13+9 მოხსნა), ა. მილერი (11+6 პასი), დალემბერი (8+12 მოხსნა).

ს-ა: დანკანი (20+12 მოხსნა), ბონერი (13), ტ. პარკერი (12+6 პასი).

**ვაშინგტონი-ნიუ იორკი 96:89**

31:25, 18:12, 21:35, 26:17

ვ: ჯეიმისონი (28+8 მოხსნა), მ. ჯეიმსი (19), ბლეტჩი (13+11 მოხსნა+3 ჩაჭრა), ნ. იანგი (13), კ. ბატლერი (11+7 პასი).

ნ-ი: ელ ჰარინგტონი (18), ჩენდლერი (16), დ. ლი (15+21 მოხსნა), დუჰონი (13+8 პასი), რობინსონი (12), ჯეფრიზი (8+11 მოხსნა+3 დაფარება).

**საკრამენტო-მილუოკი 122:129**

18:37, 29:30, 36:31, 39:31

ს: სალმონსი (24+6 პასი), მარტინი (24), ტომპსონი (22+11 მოხსნა), ბ. მილერი (20+9 მოხსნა), უდრიხი (14), გარსია (12+4 დაფარება).

მ: რედი (44), ვილანუევა (25+12 მოხსნა), რიდნური (17+10 პასი+3 ჩაჭრა), რ. ჯეფერსონი (16), მბა ა მუტე (16+3 დაფარება).

**გ. სტეიტი-ატლანტა 119:114**

23:20, 33:31, 29:30, 34:33

გ-ს: კროუფორდი (29), მაგეტი (24+16 მოხსნა), ს. ჯექსონი (24+7 მოხსნა+6 პასი+4 ჩაჭრა), აზუბუიკე (11), ბიედრინსი (10+9 მოხსნა).

ა: ჯო ჯონსონი (25+6 პასი), მ. ევანსი (21+7 მოხსნა), ბიბი (20+7 პასი+4 ჩაჭრა), ფაჩულია (14+8 მოხსნა), ჯო სმითი (13).

**ლეიკერსი-ორლანდო 103:109**

23:20, 29:24, 23:30, 28:35

ლ: ბრაიანტი (28+13 მოხსნა+11 პასი), ოდომი (17+9 მოხსნა), რადმანოვიჩი (15), ბინუმი (14), პ. გასოლი (13+9 მოხსნა).

ო: ნელსონი (28+8 პასი), დ. ჰოვარდი (25+20 მოხსნა+3 დაფარება), ლუისი (16+4 ჩაჭრა), თურქოგლუ (13), კ. ლი (12+7 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**კლივლენდი-ნიუ ორლეანი 92:78**

28:17, 23:19, 17:22, 24:20

კ: ლ. ჯეიმსი (29+14 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა), პალვოვიჩი (19), მ. უილიამსი (17), შჩერბიაკი (14).

ნ-ო: დ. უესტი (23), პოლი (18+7 მოხსნა+6 პასი), სტოიაკოვიჩი (15), რ. ბატლერი (10), ტ. ჩენდლერი (2+9 მოხსნა).

**მემფისი-იუტა 91:101**

21:26, 22:28, 26:26, 22:21

მ: მაიო (23), უორიკი (15+3 დაფარება), კონლი (15), მ. გასოლი (12+10 მოხსნა), დ. მაილზი (10+7 მოხსნა).

ი: დ. უილიამსი (27+12 პასი), რ. ბრიუერი (21), კირილენკო (13), ოქური (13+8 მოხსნა).

**ოკლაჰომა-დეტროიტი 89:79**

21:18, 28:28, 22:21, 18:12

ო: დურანტი (32), უილკოქსი (17+11 მოხსნა), დ. მეისონი (11+11 მოხსნა), ჯ. გრინი (9+14 მოხსნა).

დ: ჰემილტონი (18), პრინსი (18), აივერსონი (14+3 ჩაჭრა), რ. უოლასი (12+8 მოხსნა).

**ფინიქსი-მინესოტა 103:105**

23:27, 30:22, 26:24, 24:32

ფ: შ. ო'ნილი (22+11 მოხსნა), ბარბოზა (22), სტაუდმაიერი (19+7 მოხსნა+3 დაფარება).

მ: ელ ჯეფერსონი (22+12 მოხსნა+3 ჩაჭრა), კ. სმითი (18+7 მოხსნა), კარნი (17), ფოიე (15), ტელფეირი (13), ლავი (13+14 მოხსნა).

### 17 იანვარი

**ნიუ ჯერსი-ბოსტონი 85:105**

15:29, 24:39, 24:15, 22:22

ნ-ჯ: ლოპესი (28+10 მოხსნა), ჰეიესი (15), დულინგი (9+8 პასი).

ბ: რ. ალენი (25), პირსი (13), ჰაუსი (13), პოუ (12), გარნეტი (12+10 მოხსნა+6 პასი), სკალაბრინი (11), რონდო (8+9 მოხსნა+14 პასი).

**დეტროიტი-ნიუ ორლეანი 85:91**

20:18, 17:21, 31:28, 17:24

დ: ჰემილტონი (19), პრინსი (13), სტაკი (13+6 პასი), აივერსონი (12), მაქსიელი (11+8 მოხსნა), რ. უოლასი (10+10 მოხსნა), მაკდაისი (5+12 მოხსნა).

ნ-ო: პოლი (23+14 პასი), დ. უესტი (20+7 მოხსნა), პოუსი (13), რ. ბატლერი (12), ტ. ჩენდლერი (11+11 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (10).

**ნიუ იორკი-ფილადელფია 97:107**

25:26, 25:26, 16:24, 31:31

ნ-ი: ელ ჰარინგტონი (26+8 მოხსნა), კ. რიჩარდსონი (19+7 მოხსნა), ჩენდლერი (17), დ. ლი (15+11 მოხსნა).

ფ: იგუოდალა (28+10 მოხსნა+7 პასი), ა. მილერი (27+8 პასი), ლ. უილიამსი (15), ტ. იანგი (10+10 მოხსნა), სპეიტსი (10).

**ჰიუსტონი-მაიამი 93:86**

25:21, 20:15, 24:28, 24:22

ჰ: იაო მინი (26+10 მოხსნა), ელსტონი (22), ვაფერი (17).

მ: უეიდი (29+9 პასი+5 ჩაჭრა), მერიონი (20+10 მოხსნა), ბიზლი (12).

**შარლოტი-პორტლენდი 102:97 (ო)**

24:18, 26:27, 17:22, 23:21, 12:7

შ: ჯ. უოლასი (31+16 მოხსნა), ოკაფორი (22+11 მოხსნა+3 დაფარება), ფელტონი (16+7 პასი), რ. ბელი (10).

პ: ოლდრიჯი (21), როი (17+6 პასი), ფერნანდესი (15), ბეილისი (14), აუთლო (10), როდრიგესი (10), პრჟიბილა (2+10 მოხსნა).

**ჩიკაგო-სან ანტონიო 87:92**

17:28, 26:15, 16:22, 28:27

ჩ: ბ. გორდონი (20), ნოჩიონი (17+15 მოხსნა), დ. როუზი (12+8 პასი), დენგი (12+10 მოხსნა), გუდენი (11).

ს-ა: ჯინობილი (21), ტ. პარკერი (20+8 პასი), დანკანი (18+14 მოხსნა+4 დაფარება), ბონერი (12+11 მოხსნა), ფინლი (11).

**დალასი-იუტა 115:108**

17:23, 38:28, 28:30, 32:27

დ: ნოვიცკი (39+8 მოხსნა), ტერი (22), კიდი (11+7 მოხსნა+15 პასი+4 ჩაჭრა), ა. რაიტი (11+3 ჩაჭრა), ბასი (17+9 მოხსნა).

ი: დ. უილიამსი (30+9 პასი), ოქური (23+11 მოხსნა), მაილზი (15), რ. ბრიუერი (14), კირილენკო (12).

**დენვერი-ორლანდო 88:106**

23:26, 25:21, 22:32, 18:27

დ: კლეიზა (26), ბილაპსი (18), მარტინი (10).

ო: თურქოგლუ (31), ნელსონი (23), ლუისი (23), დ. ჰოვარდი (14+20 მოხსნა+3 დაფარება), კ. ლი (13+3 ჩაჭრა).

**კლიპერსი-მილუოკი 101:92**

32:30, 20:23, 25:23, 24:16

კ: კემბი (18+11 მოხსნა), სკინერი (18+8 მოხსნა+4 დაფარება), ე. გორდონი (14+8 მოხსნა+4 ჩაჭრა), რ. დეივისი (13), ტორნტონი (13+8 მოხსნა+4 დაფარება), მ. კოლინზი (12+11 პასი+4 ჩაჭრა).

მ: რ. ჯეფერსონი (26), რედი (21).

## ცხელი ხაზი

### კალათბურთი

#### საბერძნეთი

| | |
|---|---|
| პანელინიოსი-არისი | 76:55 |
| კოლოსოსი-აეკ | 86:68 |
| პანიონიოსი-პაოკ | 86:78 |
| მარუსი-პანათინაიკოსი | 80:70 |
| ოლიმპიაკოსი-ეგალეო | 106:61 |
| ტრიკალა-ოლიმპია | 63:71 |
| ლარისა-კავალა | 72:80 |

#### ესპანეთი

| | |
|---|---|
| ხუვენტუდი-ბარსელონა | 64:68 |
| კახასოლი-მანრესა | 64:71 |
| ბილბაო-ესტუდიანტესი | 99:65 |
| ვალენსია-სარაგოსა | 81:72 |
| მურსია-ფუენლაბრადა | 70:78 |
| რეალი-უნიკახა | 90:78 |
| ტაუგრესი-მენორკა | 78:66 |
| ბრუესა-გრანადა | 80:87 |

#### იტალია

| | |
|---|---|
| ბენეტონი-ვირტუსი | 81:65 |
| სიენა-მილანი | 78:65 |
| აველინო-კაზერტა | 85:58 |
| ბიელა-სკავოლინი | 99:85 |
| კანტუ-რომა | 77:88 |
| მონტეგრანარო-ფერარა | 69:71 (ო) |
| რიეტი-სნაიდერო | 79:72 |
| ფორტიტუდო-ტერამო | 69:76 |

#### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| ბეზანსონი-ტულონი | 72:74 |
| გრაველინი-ვიში | 53:50 |
| ნანსი-შალონი | 92:72 |
| პო ორტეზი-შოლე | 90:86 |
| რუანი-სტრასბური | 95:83 |
| როანი-ლე მანი | 75:71 |

### ჰოკეი

#### კჰლ

| | |
|---|---|
| მეტალურგი (ნ)-ლადა | 3:1 |
| სპარტაკი-ლოკომოტივი | 3:2 |
| სიბირი-აკ ბარსი | 2:3 |
| ს. იულაევი-დინამო (მნ) | 5:1 |
| ტრაქტორი-მეტალურგი (მ) | 3:2 |
| ვიტიაზი-სევერსტალი | 3:5 |
| დინამო (მ)-ბარისი | 4:3 |
| ტორპედო-ხიმიკი | 6:1 |
| ცსკა-სკა | 4:0 |

#### ავსტრია

| | |
|---|---|
| ალბა-ლინცი | 1:4 |
| ვენა-ზალცბურგი | 3:3 |
| გრაცი-აკრონი | 2:3 |
| ინსბრუკი-ვილახი | 4:2 |
| ოლიმპია-კლაგენფიურტი | 2:4 |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| ინგოლშტადტი-ნიურნბერგი | 2:5 |
| აისბარენი-ჰამბურგი | 4:2 |
| დიუსელდორფი-კიოლნი | 4:1 |
| იზერლონი-კასელი | 3:3 |
| კრეფელდი-შტრაუბინგი | 6:4 |
| მანჰაიმი-აუგსბურგი | 1:5 |

#### დანია

| | |
|---|---|
| ნორდსილანდი-როდოვრე | 4:2 |
| სენდერიისკი-ოდენსე | 1:2 |
| ტოტემპო-ჰერნინგი | 0:9 |

#### ნორვეგია

| | |
|---|---|
| სპარტა-სტიორნენი | 4:5 |
| ვოლერენგა-ფრისკ ასკერი | 2:3 |
| კომეტი-ლილეჰამერი | 4:4 |
| სტავანგერი-ლორენსკოგი | 4:1 |
| სტორჰამარი-ფურუსეტი | 6:0 |

#### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| პოპრადი-კოშიცე | 2:5 |
| ზვოლენი-ბისტრიცა | 2:1 |
| მიკულაში-სლოვანი | 1:3 |
| ნიტრა-კეჟმაროკი | 4:5 |
| სკალიცა-ტრენჩინი | 2:0 |

#### ფინეთი

| | |
|---|---|
| ილვესი-იოკერიტი | 1:1 |
| კალპა-ტპს | 1:1 |
| კერპეტი-ჰპკ | 1:4 |
| კიეკო-პელიკანსი | 1:1 |
| ლუკო-იუვიასკიულა | 1:6 |
| ჰიფკ-სეიპა | 2:0 |
| ესეტი-ტაპარა | 3:1 |

#### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ლიბერეცი-ტრშინეცი | 7:5 |
| სლავია-სპარტა | 3:3 |
| ზნოიმო-პარდუბიცე | 2:4 |
| კლადნო-ბოლესლავი | 4:3 |
| ლიტვინოვი-დუბეოვიცე | 1:3 |
| პლზენი-კარლოვი ვარი | 2:4 |

#### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ბერნი-ლანგნაუ | 6:4 |
| ბილი-ამბრი | 2:3 |
| დავოსი-ცუგი | 3:2 |
| კლოტენი-რაპერსვილი | 4:1 |
| ლუგანო-ფრიბურგი | 1:1 |
| ციურიხი-ჟენევა | 0:3 |
| ამბრი-ბერნი | 4:3 |
| რაპერსვილი-ციურიხი | 3:5 |
| ცუგი-კლოტენი | 2:4 |

#### შვედეთი

| | |
|---|---|
| აიკ-ჰ371 | 2:4 |
| ბრიუნესი-ფრიოლუნდა | 3:1 |
| ტიმრა-სიოდერტალე | 4:2 |
| ფერიესტადი-როგლე | 6:2 |
| იურგორდენი-მოდო | 5:3 |
| ლულეო-ლინჩოპინგი | 0:2 |

### ხელბურთი

#### მსოფლიო ჩემპიონატი

#### კაცები

| | |
|---|---|
| პოლონეთი-ალჟირი | 39:22 |
| ნორვეგია-ს. არაბეთი | 39:23 |
| ესპანეთი-ქუვეითი | 47:17 |
| სლოვაკეთი-არგენტინა | 27:25 |
| გერმანია-რუსეთი | 26:26 |
| სერბეთი-ეგვიპტე | 30:22 |
| უნგრეთი-ავსტრალია | 41:17 |
| შვედეთი-კუბა | 41:14 |
| ტუნისი-მაკედონია | 25:24 |
| დანია-ბრაზილია | 40:27 |
| საფრანგეთი-რუმინეთი | 31:21 |
| სლოვაკეთი-ავსტალია | 47:12 |
| მაკედონია-ალჟირი | 32:19 |
| ნორვეგია-ბრაზილია | 39:21 |
| ესპანეთი-კუბა | 45:20 |
| უნგრეთი-რუმინეთი | 30:27 |
| გერმანია-ტუნისი | 26:24 |
| ეგვიპტე-ს.არაბეთი | 26:18 |
| შვედეთი-ს. კორეა | 31:21 |
| საფრანგეთი-არგენტინა | 33:26 |
| რუსეთი-პოლონეთი | 22:24 |
| დანია-სერბეთი | 37:36 |
| ხორვატია-ქუვეითი | 40:21 |

## TV პროგრამა

### 19 იანვარი. ორშაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

07:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-პორტსმუთი.
09:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-ვალენსია.
11:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-რენი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-ატლეტიკო.
15:10 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ფულჰემი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ოსასუნა.
19:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-პორტსმუთი.
21:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:25 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
23:55 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ევერტონი (LIVE).
01:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-ვალენსია.
03:45 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ევერტონი.
05:35 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-რენი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ატლანტა-ინტერი.
09:45 სპორტული პროგრამა.
10:15 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
10:45 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-ბოსტონი.
12:35 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჰალი-არსენალი.
14:20 ჩოგბურთი. ATP. საჩვენებელი ტურნირი. ფინალი. როჯერ ფედერერი-სტანისლას ვავრინკა. მელბურნი. ავსტრალია.
16:25 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
17:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
17:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-იუვენტუსი.
18:50 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-დეპორტივო.
20:35 სპორტის სამყარო.
21:05 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:15 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ევერტონი (LIVE).
02:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
02:05 პროფესიული კრივი. პოლ უილიამსი-კარლოს კინტანა.
04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
05:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ნეშვილი-ნიუ ჯერსი (LIVE).
07:45 სპორტული პროგრამა.

#### EUROSPORT

12:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. I დღე (LIVE).
16:00 ზამთრის სახეობები. უიქენდის ანონსი.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:45 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი (LIVE).
23:55 ველოსპორტი. არმსტრონგის პლანეტა.
00:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
02:45 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი.
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. II დღე (LIVE).

#### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ბანდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჯგუფური ტურნირი. რუსეთი-ნორვეგია. შვედეთი.
14:00 ახალი ამბები.
14:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. ქალები. VI ტური. ვალჩეა (რუმინეთი)-პოდრავკა (ხორვატია).
15:30 ახალი ამბები.
16:00 ზამთრის სახეობები. უიქენდის ანონსი.
16:15 ახალი ამბები.
17:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. ქალები. VI ტური. ნიდეროსტერაიხი (ავსტრია)-ელდა (ესპანეთი).
18:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. ქალები. VI ტური. ვალჩეა (რუმინეთი)-პოდრავკა (ხორვატია).
18:45 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ოლიმპიაკოსი-ეგალეო.
19:45 ახალი ამბები.
20:00 ტრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი.
21:00 ახალი ამბები.
21:15 ახალი ამბები ავსტრალიის ღია პირველობიდან. დღის შედეგები.
21:30 ზამთრის სახეობები. უიქენდის ანონსი.
21:45 ახალი ამბები.
22:00 ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. საფრანგეთი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ბანდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჯგუფური ტურნირი. შვედეთი-ფინეთი. შვედეთი.
00:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. ქალები. VI ტური. ვალჩეა (რუმინეთი)-პოდრავკა (ხორვატია).
01:00 სნოუბორდი. ევროპის ჩემპიონატი. შვეიცარია.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ახალი ამბები ავსტრალიის ღია პირველობიდან. დღის შედეგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი. დაკარი 2009




# დაკარი მშვიდად დასრულდა

ესპანელი **კარლოს საინსის** ავარიის შემდეგ რალი-რეიდ დაკარის დარჩენილმა ორმა ეტაპმა მშვიდად, ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიარა.

ავტომობილების კლასში საერთო ჩათვლის ლიდერ **ჟინიელ დე ვილიერსსა** და მის უმთავრეს კონკურენტს, ამერიკელ **მარკ მილერს** შორის ბრძოლას ელოდნენ. მილერს სამხრეთაფრიკელის გასწრების შანსი ჰქონდა, მაგრამ დე ვილიერსმა ბოლო ეტაპის მოგებით დღის წესრიგიდან მოხსნა დაკარის გამარჯვებულის საკითხი. მილერმა მასთან ექვსი წუთი წააგო და მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. პრობლემების მიუხედავად, მესამე პოზიცია შეინარჩუნა კიდევ ერთმა ამერიკელმა **რობი გორდონმა.**

მოტოციკლების კლასში გამარჯვებული კარგა ხნის წინ იყო ცნობილი. ესპანელმა **მარკ კომამ** პირველივე ეტაპიდან იგდო ხელთ ლიდერობა და ყოველდღიურად ზრდიდა მას. ბოლოსკენ კი კომა აღარ ცდილობდა მოვლენების ფორსირებას და ზედმეტი რისკის გარეშე ასპარეზობდა. ბოლო ეტაპზე ესპანელმა საუკეთესო შედეგთან ხუთი წუთი წააგო და საბოლოოდ, საერთო ჩათვლაში მისმა უპირატესობამ საათი და 25 წუთი შეადგინა.

პირველ დღეებში წარუმატებლობის გამო, ფრანგმა **სირილ დესპრემ** საკმაოდ დიდი დროით წააგო კომასთან, თუმცა მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, რომ სასტარტო ფიასკო რომ არა, ფრანგი რეალურად გაუწევდა წინააღმდეგობას კომას. საკმარისია აღინიშნოს, რომ დესპრემ წლევანდელ დაკარზე ოთხი ეტაპის მოგება შეძლო და ამის წყალობით, მეორე ადგილზე გასვლა მოახერხა.

მაშ ასე, დაკარის გამარჯვებულები გახდნენ:

კვადროციკლი - იოზეფ მაჩაცეკი;

მოტოციკლი - მარკ კომა;

მსუბუქი ავტომობილი - ჟინიელ დე ვილიერსი (პილოტი), დირკ ფონ ზიცევიცი (შტურმანი);

სატვირთო ავტომობილი - ფირდაუს კაბიროვი (პილოტი), აიდარ ბელიაევი (შტურმანი), ანდრეი მოკეევი (მექანიკოსი).

**XIII ეტაპი**

**ლა რიოხა-კორდობა. 631 კმ**

**ავტომობილები**

1. **რომა** (ესპანეთი, MITSUBISHI RACING LANCER) - 2:33,48; 2. **პოლოვჩიკი** (პოლონეთი, NISSAN NAVARA) - +7.18; 3 **შიშერი** (საფრანგეთი, BMW X3 CC) - +7.27; 4. **დეპინგი** (გერმანია, VOLKSWAGEN TOUAREG) - +10.00; 5. **ნოვიცკი** (რუსეთი, BMW X3 CC) - +10.33; 6. **მილერი** (აშშ, VOLKSWAGEN TOUAREG) - +14.13.

**მოტოციკლები**

1. **დესპრე** (საფრანგეთი, KTM 690 RALLYE) - 2:33:35; 2. **კომა** (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - +1.45; 3. **ფრეტინი** (საფრანგეთი, YAMAHA WRF 450) - +2.37; 4. **ვილადომსი** (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - +3.52; 5. **კასტო** (საფრანგეთი, KTM 690) - +3.55; 6. **დუკლო** (საფრანგეთი, KTM 690 RALLYE) - +4:05.

**XIV ეტაპი**

**კორდობა-ბუენოს აირესი. 792 კმ**

**ავტომობილები**

1. **დე ვილიერსი** (ს. აფრიკა, VOLKSWAGEN TOUAREG) - 1:35.43; 2. **ნოვიცკი** (რუსეთი, BMW X3 CC) - +0.02; 3. **პოლოვჩიკი** (პოლონეთი, NISSAN NAVARA) - +0.17; 4. **რომა** (ესპანეთი, MITSUBISHI RACING LANCER) - +0.38; 5. **შიშერი** (საფრანგეთი, BMW X3 CC) - +0.50; 6. **მილერი** (აშშ, VOLKSWAGEN TOUAREG) - +6.39.

**მოტოციკლები**

1. **როდრიგესი** (პორტუგალია, KTM 690 RALLY) - 1:42.37; 2. **ულევალსეტერი** (ნორვეგია, KTM 690 RALLYE) - +2.07; 3. **დესპრე** (საფრანგეთი, KTM 690 RALLYE) - +2.41; 4. **ვილადომსი** (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - +3.31; 5. **კასტო** (საფრანგეთი, KTM 690) - +4.37; 6. **კომა** (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - +5.06.

**საერთო ჩათვლა**

**ავტომობილები**

1. **დე ვილიერსი** (ს. აფრიკა, VOLKSWAGEN TOUAREG) - 48:10.57; 2. **მილერი** (აშშ, VOLKSWAGEN TOUAREG) - +8.59; 3. **გორდონი** (აშშ, HUMMER H3) - +1:46.15; 4. **ტოლეფსენი** (ნორვეგია, NISSAN NAVARA) - +6:04.34; 5. **პოლოვჩიკი** (პოლონეთი, NISSAN NAVARA) - +6:37.49; 6. **დეპინგი** (გერმანია, VOLKSWAGEN TOUAREG) - +8:43.29.

**მოტოციკლები**

1. **კომა** (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - 52:14.33; 2. **დესპრე** (საფრანგეთი, KTM 690 RALLYE) - +1:25.38; 3. **ფრეტინი** (საფრანგეთი, YAMAHA WRF 450) - +1:38.56; 4. **კასტო** (საფრანგეთი, KTM 690)

მძლეოსნობა

# ბოლტი 400 მეტრით დაიწყებს

იამაიკელი სპრინტერი **უსაინ ბოლტი** 2009 წლის სეზონს მისთვის უჩვეულო 400-მეტრიანი დისტანციით გახსნის. პირველი ტურნირი, რომელშიც პეკინის სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი მიიღებს მონაწილეობას, იამაიკის დედაქალაქ კინგსტონში გაიმართება.

*"უსაინი Camperdown Classic-ში რიკარდო ჩემბერსთან და იოჰან ბლეიკთან ერთად გამოვა. 21 თებერვალს ის კიდევ ერთხელ გაირბენს 400 მეტრს, ხოლო ერთი კვირის შემდეგ, ასევე იამაიკაში ესტაფეტაში მიიღებს მონაწილეობას"*, - აცხადებს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე ბოლტის მწვრთნელი **გლენ მილსი.**

უსაინს ჯერ არ შეუმუშავებია ბერლინში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი ზუსტი გრაფიკი.

გარდა ამისა, ირკვევა, რომ სპრინტში ბოლტის ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი, იამაიკელი **ასაფა პაუელი** სეზონს ასევე სამშობლოში გახსნის და უსაინის მსგავსად, ისიც 400 მეტრ დისტანციაზე გამოვა.

ველოსპორტი

# ლენსს დღეში სამჯერ შეამოწმებენ




ხვალ ავსტრალიაში პრო-ტურის სერიის პირველი რბოლა - Tour Down Under იწყება. ექვსეტაპიანი შეჯიბრება, პირველი რიგში, იმით იქცევს ყურადღებას, რომ მასში მონაწილეობას მიიღებს ოთხწლიანი პაუზის შემდეგ დიდ სპორტში დაბრუნებული ლეგენდარული ამერიკელი **ლენს არმსტრონგი.**

რბოლის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ 20-დან 25 თებერვლის ჩათვლით, დაახლოებით 200 დოპინგტესტის ჩატარებას აპირებენ.

განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ, რა თქმა უნდა, ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონი არმსტრონგი მოექცევა, რომელსაც დღეში სამჯერ შეამოწმებენ.

ავსტრალიის სპორტის ფედერალური მინისტრის **კეიტ ელისის** სიტყვებით, რბოლის დროს სპორტსმენები სისხლისა და შარდის დოპინგზე შემოწმდებიან. განსაკუთრებულ ყურადღებას კი ადამიანის ზრდის ჰორმონებისა და ერეტროპოეტინის კვალის გამოვლენას მიაქცევენ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**16 იანვარი**

**კოლამბუსი-ნიუ ჯერსი 1:2**

0:0, 1:0, 0:2

**გოლები:** 1:0 მალორტა-5 (პუსელიუსი-16, მოდინი-12), 1:1 ზაიაცი-13, 1:2 მადენი-5 (კლარკსონი-10).

**პიტსბურგი-ანაჰაიმი 3:1**

1:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 კუკი-6 (მალკინი-50, გილი-3), 2:0 კუკი-7 (რაიან უიტნი-4, მალკინი-51), 2:1 გეტცლაფი-17 (რაიანი-15, ს. ნიდერმაიერი-22), 3:1 გილი-1 (ჯ. სტაალი-11).

**ატლანტა-ტორონტო 4:3 (ო)**

0:3, 2:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 სტემპნიაკი-7 (ტ. კაბერლე-25, კუბინა-14), 0:2 მური-9 (მენი-4, ტლუსტი-4), 0:3 პაგმანი-13 (ანტროპოვი-22, გრაბოვსკი-12), 1:3 კოვალჩუკი-17 (პევერლი-8, კ. არმსტრონგი-6), 2:3 ლიტლი-20 (ტ. უაიტი-29, შნაიდერი-6), 3:3 კოვალჩუკი-18 (პევერლი-9, პეინსი-18), 4:3 პევერლი-3 (კოვალჩუკი-28, პეინსი-19).

**ფლორიდა-ფილადელფია 2:3 (ბ)**

0:2, 2:0, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ჯ. კარტერი-30 (ქობურნი-13, პარტნელი-16), 0:2 საიმონ განიე-19 (მ. რიჩარდსი-29, ნუბლი-12), 1:2 მაკეიბი-8 (ბალარდი-13, ფროლიკი-11), 2:2 ბოუმისტერი-9 (სტილმანი-11, უეისი-21).

**ბულიტები გაიტანეს:** საიმონ განიე (ფილადელფია).

**ჩიკაგო-რეინჯერსი 2:3 (ო)**

1:0, 0:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ტეუვზი-13 (ვერსტეეგი-23, ბ. კემპბელი-23), 1:1 დრური-14 (როჟსივალი-15, გომესი-22), 1:2 დუბინსკი-7 (კორპიკოსკი-4, ჟერდიოვი-26), 2:2 სიბრუკი-5 (ბარკერი-15, ტეუვზი-23), 2:3 დრური-15 (რედენი-15, როჟსივალი-16).

**კოლორადო-ედმონტონი 2:3**

1:2, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 სტაიოსი-2 (ე. კოული-10, სემ განიე-13), 1:1 არნასონი-3 (ლაილსი-16, მაკლეოდი-2), 1:2 შილბერტი-3 (სურეი-19, პუიო-6), 2:2 ჰენსიკი-3 (კ. სტიუარტი-4, სვატოსი-11), 2:3 პორკოფი-11 (გრებეშკოვი-17, ბროძიაკი-5).

**17 იანვარი**

**დალასი-ლოს ანჯელესი 3:2 (ბ)**

0:0, 0:0, 2:2, 0:0

**გოლები:** 0:1 დ. ბრაუნი-15 (კალდერი-9, ო'დონელი-8), 1:1 ლეპტინენი-2 (რიბეირო-28, რობიდასი-15), 2:1 რიბეირო-8 (სიდლრი-7, ლეპტინენი-7), 2:2 ფროლოვი-18 (კოპიტარი-23, დ. ბრაუნი-15).

**ბულიტები გაიტანეს:** რიბერო (დალასი).

**ბაფალო-კაროლინა 3:1**

2:0, 1:0, 0:1

**გოლები:** 1:0 კონოლი-3 (ლიდმანი-10, ვანეკი-13), 2:0 ნუმინენი-2 (პომინვილი-22, დ. როი-26), 3:0 კონოლი-4 (ვანეკი-14), 3:1 რეი უიტნი-14 (კულენი-6, ს. უოკერი-10).

**ოტავა-მონრეალი 4:5 (ბ)**

1:2, 0:1, 3:1, 0:0

**გოლები:** 0:1 კოვალიოვი-12 (მარკოვი-28, ლანგი-19), 1:1 კელი-6 (ი. რუუტუ-9, ვინჩესტერი-8), 1:2 ა. კოსტიცინი-16 (ლანგი-20, ს. კოსტიცინი-12), 1:3 დ'აგოსტინი-7 (გ. სტიუარტი-1), 2:3 პიტლი-18 (ლი-5), 2:4 კოსტოპულოსი-4, 3:4 პიტლი-19 (სპეცა-19, ალფრედსონი-28), 4:4 ფიშერი-5 (ნილი-4).

**ბულიტები გაიტანეს:** კოვალიოვი (მონრეალი), ლაპიერი (მონრეალი).

**აილენდერსი-ნიუ ჯერსი 1:3**

0:1, 0:2, 1:0

**გოლები:** 0:1 ზაიაცი-14 (პარიზე-26), 0:2 პარიზე-26 (ლანგენბრუნერი-25, ელიაში-32), 0:3 კლარკსონი-9 (მადენი-9, როლსტონი-4), 1:3 კომო-4 (მარტინეკი-1, კომრი-9).

**ვაშინგტონი-ბოსტონი 2:1**

0:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 0:1 სავარი-16 (კობესიუ-15, ხარა-17), 1:1 მ. გრინი-12 (ნიულანდერი-18, ლეიჩი-14), 2:1 სიომინი-18.

**ტამპა ბეი-ფლორიდა 3:4**

3:1, 0:3, 0:0

**გოლები:** 1:0 ლეკავალიე-19 (სმები-2, პროსპალი-18), 2:0 პროსპალი-10 (სენტ ლუისი-26, ლეკავალიე-22), 2:1 გ. კემპბელი-9 (პელტონენი-12, დვორაკი-14), 3:1 მელოუნი-13 (სენტ ლუისი-27, მეზაროში-12), 3:2 სტილმანი-10 (პორტონი-11, ბოუმისტერი-16), 3:3 ზედნიკი-6 (ბუტი-11, პორტონი-12), 3:4 ბოუმისტერი-10 (სტილმანი-12, პორტონი-13).

**ნეშვილი-ატლანტა 2:7**

0:4, 1:1, 1:2

**გოლები:** 0:1 პერენი-4, 0:2 კ. არმსტრონგი-13 (ბოგოსიანი-1, პევერლი-10), 0:3 კოვალჩუკი-19 (პევერლი-11), 0:4 ლიტლი-21 (ტ. უაიტი-30, ვიაჩ. კოზლოვი-26), 0:5 შნაიდერი-4 (ენსტრიომი-9, კოვალჩუკი-29). 1:5 ტუტუ-4 (არნოტი-12, ერატი-20), 1:6 ბოგოსიანი-1 (კრისტენსენი-11, რისონერი-7), 1:7 სლეიტერი-5 (პევერლი-12), 2:7 შ. უებერი-14 (არნოტი-13, სალივანი-2).

**სენტ ლუისი-ჩიკაგო 1:2 (ო)**

0:1, 0:0, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ბროუერი-6 (ბარკერი-16, ბიფულინი-10), 1:1 ბეკსი-15 (ბერგლუნდი-15, კოლაიაკოვო-10), 1:2 პავლატი-14 (სიბრუკი-9, ბოლანდი-17).

**მინესოტა-ანაჰაიმი 0:3**

0:0, 0:1, 0:2

**გოლები:** 0:1 პერი-12 (ებეტი-6, ბ. მორისონი-10), 0:2 რაიანი-13 (მონტადორი-9, რ. ნიდერმაიერი-5), 0:3 პერი-13 (გეტცლაფი-38, მილერი-2).

**კალგარი-ფინიქსი 3:4**

0:1, 1:2, 2:1

**გოლები:** 0:1 პეილი-2 (ბოდკერი-12, პანჟალი-13), 0:2 მიულერი-11 (პანჟალი-14, ზ. მიხალეკი-14), 1:2 კამალერი-18 (ლომბარდი-14, ა. ოკუანი-12), 1:3 ო. იოკინენი-16 (მიულერი-17), 2:3 ლომბარდი-4 (იგინლა-31, პერდი-5), 2:4 ბოდკერი-8 (კლი-7), 3:4 კამალერი-19 (ფანოფი-25, იგინლა-32).

**სან ხოსე-დეტროიტი 6:5**

2:1, 2:3, 2:1

**გოლები:** 1:0 ბოილი-13 (ქლოუ-16, დ. მიურეი-4), 1:1 ფილპულა-6 (ჰუდლერი-21, კრონვალი-21), 2:1 პაველსკი-13 (მ. მიხალეკი-17, დ. მიურეი-5), 2:2 მარიან ჰოსა-22 (დაციუკი-34, რაფალსკი-27), 2:3 ფრანცენი-21 (დაციუკი-35, ჰოლმსტრიომი-16), 3:3 ერჰოფი-3 (მ. მიხალეკი-18, ქლოუ-17), 3:4 ზეტერბერგი-17 (კლირი-15, მარიან ჰოსა-22), 4:4 ჩიჩუ-7 (ქლოუ-18, ვლასიჩი-20), 5:4 მ. მიხალეკი-11 (ბოილი-25, ერჰოფი-16), 6:4 მარლო-24 (ქლოუ-19, ვლასიჩი-21), 6:5 რაფალსკი-7 (ზეტერბერგი-25, მარიან ჰოსა-23).




გამოვიდა ახალი ნომერი